# სარბიელი

სპორტული გაზეთი — შაბათი 26 თებერვალი 2000 №35 (1057) — ფასი 50 თეთრი


8

დღეს მადრიდში:

რეალი VS ბარსელონა

8

იყიდეთ, იყიდეთ, ჩქარა...



დევიდ ბექჰემის მსურველთა რიცხვს „ინტერიც" შეემატა

10

კახა შენგელია: გზა მაკაბისკენ



შენდობილმა შენგელიამ უნგრული „ფალკო" მიატოვა

14

ზერაგბი

ჯონი ჯონა და სხვა სამხრეთელნი ზეტურნირს იწყებენ



# ვაჰ, აკადემია!

## ტორპედომ პოლიციელები დაარბია, დინამომ კი გურია



ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ ავლაბარში: „აკადემია" — „ტორპედო" 0:5. გია მეგრელაძე (№10) და მამუკა ვაშაკიძე

## საქართველოს თასი

მერვედფინალი

25 თებერვალი, პარასკევი

| | |
|---|---|
| დინამო | 6 |
| გურია | 0 |
| აკადემია | 0 |
| ტორპედო | 5 |

*გუშინ საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ" და თასის მფლობელმა ქუთაისის „ტორპედომ" რეგიონალლიგელები დაჩაგრეს. საქართველოს თასის პირველ მერვედფინალურ მატჩში ამ ზამთარს შემადგენლობაშეთხელებულ „დინამოს" არ გასჭირვებია ძველდიდებადაკარგული ლანჩხუთის „გურიას" ძლევა. „ტორპედომაც", გუშინ ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი რომ აკლდა, იოლად მოუგო პირველ ტაიმშივე კაცნაკლულად დარჩენილ „აკადემიას": პოლიციელებს მსაჯმა მოთამაშე გაუძევა. დანარჩენი მერვედფინალები ორშაბათს და სამშაბათს გაიმართება. სამშაბათსვე „დინამო" და „ტორპედო" სუპერფინალში ითამაშებენ.*

იხილეთ მეორე გვერდი

# ან ბოდიში, ან შერისხვა

## ფედერაცია კიკერს ემუქრება

— ყველა რედაქცია, გაზეთისა თუ ჟურნალისა, დაბეჭდილ მასალაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს. ჟურნალისტმა ტყუილი არ უნდა დაწეროს, მით უმეტეს, ისეთი, მთელი ქვეყნის ავტორიტეტს რომ შელახავს. თუ ერთ კვირაში გერმანულმა ჟურნალმა „კიკერმა" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არ მოუბოდიშა, გარწმუნებთ, ჩვენ, ფიფასა და უეფას ხომ თავისთავად, ასევე უეფას ყველა წევრი ქვეყნის ფედერაციას ოფიციალურ წერილს მივწერთ. შევატყობინებთ, „კიკერი" ცრუობს და ხვალზეგ, შესაძლოა, ისეთივე ინფორმაციამ, როგორიც ქართულ ფეხბურთზე „კიკერში" დაიბეჭდა, თქვენვე შეურაცხგყოთ — ეს სიტყვები ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ მას შემდეგ გვითხრა, რაც გერმანიიდან „კიკერის" გამომცემლის კარლ ჰაინც ჰაიმანის ხელმოწერილი ფაქსი მიიღო: „დიდად ვნანობ, რომ ჩვენი ძალისხმევა, მოგვეკვლია ის ბელგიური გაზეთი, საიდანაც მოხმობილი იყო ეს გახმაურებული ციტატა, ჯერჯერობით უშედეგოდ დამთავრდა. დღესდღეობით ბელგიიდან არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს" — წერს „კიკერის" გამომცემელი.

ყოველივე ზემოთქმული 10 თებერვლის გერმანულ ჟურნალ „კიკერში" დაბეჭდილი ბელგიელი ჟურნალისტის კრისტიან მარტელურის წერილის გამო ითქვა. ჟურნალისტს, მისი თქმით, ერთ-ერთ ბელგიურ გაზეთში ამოკითხული საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელის იოჰან ბოსკამპის სიტყვები აქვს გამოყენებული — მე შემიძლია მთელი წიგნი დავწერო ქართული ფეხბურთის მაფიურ მეთოდებზე. თავად ბოსკამპმა კი ეს განცხადება იუარა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ახლა „კიკერს" სთხოვს პასუხს. ჰაიმანის წუხანდელ ფაქსში ესეც იკითხება: „ამ საქმეში უკეთ გასარკვევად ბელგიის სპორტულ ჟურნალისტთა კავშირიც ჩავრიეთ. მე და ჩემს მეგობრებს ქართულ ფეხბურთთან კარგი კონტაქტები გვაქვს. ძალიან ვწუხვართ, რომ „კიკერში" გამოქვეყნებულმა ციტატამ თქვენი გასაგები განაწყენება გამოიწვია. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ამ საქმეს ნათელი მოეფინოს".

სხვათა შორის, „კიკერში" დაბეჭდილი წერილის ავტორს „სარბიელიდანაც" არაერთხელ შევეხმიანეთ. გუშინწინ, გისმენთო, გვიპასუხა და... კავშირი გაწყდა... გუშინდლიდან კი, კრისტიან მარტელურს შვებულება აქვსო, გვითხრეს.

ქოგა ინასარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს თასი
## მერვედფინალი

# ვავა, აკადემია!

თბილისი
25 თებერვალი
15 საათი
ისანი
500 (ტევადობა 3 000)

**აკადემია 0:5 ტორპედო**

0:1, 0:2 იონანიძე (28, 44), 0:3 მეგრელაძე (45), 0:4 ბობოხიძე (63), 0:5 ჩხეტიანი (69)
**აკადემია:** ჩაჩიბაია, მ. ვაშაკიძე (ბინაძე 46), თ. ჯაფარიძე, არზიანი, თ. გოგიჩაიშვილი, ჩადუნელი, მჭედლიშვილი, ჯულელი (ქანთარია 46), გ. ბაბუნაშვილი (გ. ხიზანიშვილი 70), რობაქიძე, გ. ა. მიქაძე
*სათადარიგონი:* კ. დავითაშვილი; კახნიაშვილი
**ტორპედო:** ჭანტურია, მაღლაკელიძე, ამისულაშვილი, ხვადაგიანი, ახვლედიანი, ჩხეტიანი (ვაჩიბერაძე 75), გოგიაშვილი, ასათიანი (მახვილაძე 60), იონანიძე (მ. ბობოხიძე 60), მეგრელაძე, იმედაძე
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; შეყრილაძე, თავბერიძე, თურმანიძე
**გაფრთხილება:** მჭედლიშვილი (31), ვაშაკიძე (43), ჩაჩიბაია (44), გოგიაშვილი (60)
**გაძევება:** გოგიჩაიშვილი (44)
**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); გ. მარლიშვილი (ქარელი), ლ. რაზმაძე (გორი); დ. სანაია (სოხუმი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

**ხვიჩა სანიკიძე**

სეზონის განახლება ავადმოსაგონარ თარიღს დაემთხვა. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველო ძალით გაასაბჭოეს. თოვლსა და სუსხში წითელ არმიას ვერ გაუმკლავდნენ ქართველი იუნკრები. ძალთა შეფარდება ერთი ათზე ყოფილა. მოუმზადებელი შეხვდა ჟორდანიას მთავრობა ჩრდილოელი ურჩხულის აგრესიასო, ამასაც წერენ ისტორიკოსები.

გუშინაც ურევდა თოვლს და გვარიანი სიცივეც დაიჭირა. წყვეტილად დახაზული „ისანი" საცოდავ მდგომარეობაში დაუხვდა საფეხბურთო სეზონს. შეხვედრის მიწურულს გადაყვითლებული ბალახეული აზელილ ტალახში გამქრალიყო და თეთრი ხაზებიც არსად მოჩანდა. ალბათ გაზაფხულის მოსვლასთან ერთად დათბება კიდეც, მაგრამ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, „ისანზე" თავმოყვარე ბალახი თავს არ ამოყოფს.

ასეთ პირობებში „აკადემიას" თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა ცოტა გოლის გაშვებაზე ზრუნვა. ტორპედოელებს კი პირიქით, ბევრის გატანა უნდა გაძნელებოდათ, მაგრამ ძალთა თანაფარდობა ორნიშნა ციფრით გამოიხატებოდა. თავად განსაჯეთ, აკადემიელებმა სულ სამჯერ დაარტყეს ჭანტურიას კარის მიმართულებით და ისიც მხოლოდ პირველ ტაიმში. მსაჯზე სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის გაძევებული გოგიჩაიშვილის გარეშე დარჩენილებმა კი მეორე ნახევარში ქუთაისელთა საჯარიმოსთან მიახლოებაც ვერ მოახერხეს.

„ტორპედომ" გოლების გარდა თხუთმეტამდე სახიფათო მომენტი შექმნა. გადახალისებული შემადგენლობით მოთამაშე ყიფიანის შეგირდებმა მარტო ექვსჯერ ხარიხასა თუ ძელს მოარტყეს ბურთი. ერთი ამდენჯერ „აკადემია" ჩაჩიბაიას ოსტატობამ იხსნა, დანარჩენ შემთხვევებში კი ქუთაისელები ხან კარში დარტყმას აყოვნებდნენ, ხანაც მიზანს აცილებდნენ.

ტორპედოელებმა ხუთივეჯერ თამაშიდან შეძლეს კარის დალაშქვრა. განსაკუთრებით ლამაზი იონანიძის მეორე გოლი და ბობოხიძის თავური გამოდგა.




გუშინ „ისანზე": შეხვედრის უიშვიათესი მომენტი. აკადემიელები „ტორპედოს" კარს დაემუქრნენ

იონანიძემ მცველისკენ მიმავალი ბურთი გადაიჭირა, მეტოქე იოლად ჩამოიცილა და წინ გამოსულ მეკარეს თავს ზემოთ გადაატარა.

ბობოხიძე ახვლედიანის მიერ ფლანგიდან ჩამოწოდებულ ბურთს გვარიანი ნახტომით შეეგება და თავით საკმაოდ ძლიერი და აულებელი დაურტყა ჩაჩიბაიას.

ისე, დანარჩენ სამ გოლსაც არაფერი დაეწუნებოდა. ანგარიშის გახსნა ასათიანი — იონანიძე — იმედაძე — იონანიძის მოკლე პასებიან კომბინაციას მოჰყვა. ტორპედოელმა დაახლოებით 12 მეტრიდან დააგვირგვინა შეტევა.

მეგრელაძის გოლს კი გოგიაშვილის იუველირის სიზუსტით გაკეთებული გრძელი გადაცემა უძღოდა წინ. მეკარესთან მარტოდ მარტო დარჩენილმა თავდამსხმელმაც აულევებლად გაიტანა, თუმცა ბურთი ძელს შეეხო და მერე აღმოჩნდა ბადეში.

ტორპედოელთა მეხუთე გოლშიც ჩხეტიანს გოგიაშვილი ასისტენტობდა. საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილმა ჩხეტიანმა შორეულ კუთხეში დაბალი დაურტყა ჩაჩიბაიას და ხუთ წუთში ასპარეზი ვაჩიბერაძეს დაუთმო.

მაყურებელთა შორის მრავლად იყვნენ ქართული ფეხბურთის სპეციალისტები. მათი სტუმრობის მიზეზი, ბუნებრივია, საჩემპიონო ამბიციებით შეპყრობილი „ტორპედოს" ხილვა გახლდათ. „ისანს" სუპერთასის ფინალის მომლოდინე „დინამოს" ერთ-ერთი მწვრთნელი გელა ჭანტურიაც ეწვია სქელტანიანი რვეულით. ალბათ მეტოქის დაზვერვა ეწადა, მაგრამ...

ყიფიანმა გუშინდელ შეხვედრაში ოთხი ძირითადის ფეხბურთელი — თურმანიძე, შეყრილაძე, ჯანაშია და კვეტენაძე არ გამოიყენა. თუმცა ვინც ითამაშა, იმათაც ვერ შეამჩნევდით, აქაოდა, მთელ ძალებს აქსოვენ საქმეშიო. მერე კიდევ საშინელი ტალახი და აკადემიელთა ინერტულობა დაემატა ყველაფერს...

პოლიციის აკადემიის კურსანტთა საკმაო რაოდენობაც ადევნებდა თვალს შს სამინისტროს პირმშოსა და ქუთაისელთა პაექრობას. ერთი სასულიერო ორკესტრი და მომღერალთა გუნდი აკლდა საალუმო კოსტიუმებში გამოწყობილ მომავალ წესრიგის დამცველებს. კიდევ კარგი, არ იყვნენ, თორემ ცნობილ „ვივა აკადემიას" ნაცვლად, უცილოდ ჩაუმეგრულებდნენ — „ვავა აკადემიას".

თბილისი
25 თებერვალი
15 საათი
დიღმის ბაზა
100

**დინამო 6:0 გურია**

1:0 წიტაიშვილი (39), 2:0 ვაშაკიძე (48), 3:0 წიტაიშვილი (52), 4:0 ვაშაკიძე (62), წიტაიშვილი (72), 6:0 ჯინჭარაძე (85)
**დინამო:** გრიშიკაშვილი (ჩხეიძე 65), ი. ვაშაკიძე, დიდავა, ა. სახვაძე, რუხაძე, წიტაიშვილი, სიჭინავა, პ. ჯინჭარაძე, გ. შენგელია (ო. გველესიანი 59), გუჩუა, შაშიაშვილი (გ. ვ. მიქაძე 46)
**გურია:** სამსონია, მაჩიტიძე, განევი, წილოსანი, ფირცხალაიშვილი, იმნაიშვილი (ბერძენიშვილი 46), ქიქავა, ლომაძე, ფაცურია, პატარაია, კუკულაძე (გოგიტიძე 46)
*სათადარიგონი:* ჩხაიძე, გუჯაბიძე
**გაფრთხილება:** ქიქავა (49), სამსონია (54), პატარაია (61), განევი (63)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; ნ. რუსიშვილი, კ. გაბრიაძე; ა. შალამბერიძე (ყველა ქუთაისი)
**სფფ-ის დელეგატი:** ჯ. თანანაშვილი

**ვანო ოქროპირიძე**

# ბოლო გასეირნება?!

თბილისის „დინამომ" სეზონი ღირსეულად განაახლა. პირველივე ოფიციალურ მატჩში მეტოქე 6:0 გაანადგურა, თუმცა...

ასეთი თამაშით დინამოელებს წლეულს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება ძალიან გაუჭირდებათ.

გუშინ ქვეყნის ათგზის ჩემპიონი საქართველოს თასის მერვედფინალურ მატჩში რეგიონალური ლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერ (დრონი მეფობენო, ამაზეა ნათქვამი) ლანჩხუთის „გურიას" დაუპირისპირდა. ამ შეხვედრას პროგნოზირება არ სჭირდებოდა. „დინამო" რომ გაიმარჯვებდა, ყველამ უწყოდა. ერთი საბოლოო ანგარიში იყო საკითხავი. თბილისელებმა მეტოქეს ექვსი გოლი გაუტანეს, ბოლომდე რომ მოენდომებინათ ერთ ამდენს კიდევ შეაგდებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, დინამოელთა თამაშს კარგს მაინც ვერ უწოდებს კაცი. თუმცა ამას თავისი მიზეზებიც ჰქონდა, ერთი ის, რომ ჩემპიონებს ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი აკლდათ. მცველები — ოთარ ხიზანეიშვილი და რევაზ ქემოკლიძე შეუძლოდ იყვნენ, ნახევარმცველი რევაზ არველაძე და თავდამსხმელი დავით დათუაძე კი განაცხადში ვერ შეიყვანეს. ამ ფეხბურთელთა კლუბები გერმანული „ობერჰაუზენი" და ბოლნისის „სიონი" სატრანსფერო ფურცლის გამოგზავნას აგვიანებენ. დინამოელთა ცუდი თამაშის გამართლება იმითაც შეიძლება, რომ სეზონი არ გახურებულა და ფეხბურთელებიც ფორმაში არ შესულან და კიდევ: დიღმის ბაზის ატალახებული მინდორი, უფრო სწორად მოედანი.

მოედანი და მატჩის ორგანიზაცია საერთოდ ცალკე საუბრის თემა უფროა. თუ გახსოვთ, მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი საშინაო მატჩი სამტრედიის „იბერიამ" ნეიტრალურ სტადიონზე ჩაატარა. მიზეზი? ფედერაციამ სამტრედიელებს სარბიელი დაუწუნა, ჯერ მოაწესრიგეთ და შინ თამაშზეც მერე იფიქრეთო, ასეთი იყო ვერდიქტი. ახლა კი... მოედანი მოედნად არ ვარგოდა, შეცვლაზე ვინ შედიოდა და ვინ გამოდიოდა, ვერ გაიგებდი (მეოთხე მსაჯს არც ელექტროტაბლო ჰქონდა და არც ფეხბურთელთა ნომრის მაჩვენებელი დაფები), გასახდელისკენ მიმავალი შეცვლილი მოთამაშეებიც მოკლეზე გადადიოდნენ, ანუ მოედნის ნაწილს ჭრიდნენ, როცა თამაში იყო გაჩაღებული, ამას კი ყურადღებას არავინ აქცევდა.

ყველაზე მეტად თავდასხმა მადარდებსო, უთხრა „სარბიელს" ორი დღის წინ „დინამოს" თავკაცმა ოთარ კორღალიძემ. მწვრთნელის საწუხარი გასაგები გახლდათ, გუნდს ხომ სეზონის წინ ორი ბომბარდირი — მიხეილ აშვეთია და რატი ალექსიძე გამოაკლდნენ. ამ თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ერთი ამათგანის ღირსეული შემცვლელი კორღალიძეს უკვე ჰყავს — კობა წიტაიშვილი გუშინდელ შეხვედრაში საუკეთესო გახლდათ. მან ჰეთ თრიქი შეასრულა.




„გურიის" კარში სამი გოლის გამტანი კობა წიტაიშვილი

თამაში, რა თქმა უნდა, „დინამოს" დიდი უპირატესობით წარიმართა. 90 წუთი ისე გაილია, „გურიას" ერთი აზრიანი კომბინაცია არ გაუთამაშებია, კარში დარტყმაზე არას ვამბობთ. მასპინძელთა კარს ჯერ გრიშიკაშვილი იცავდა, მერე ჩხეიძე. ატალახებული მინდვრიდან ორივე მეკარე სუფთა ფორმით გამოვიდა. სამაგიეროდ, სამსონიას ვერ იცნობდით. ლანჩხუთელთა ახალგაზრდა მეკარემ გვარიანად იხტუნა აქეთ-იქით, თუმცა ექვსჯერ მაინც ვერას გახდა.

ანგარიში საკმაოდ გვიან გაიხსნა. „გურია" „დინამოს" 39-ე წუთამდე გაუძალიანდა. ამ ხნის განმავლობაში მასპინძლებს რამდენჯერმე შეეძლოთ გატანა, მაგრამ ვერ ივარგეს. 39-ე წუთზე კი რუხაძემ წიტაიშვილი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და კობამაც თავი არ შეირცხვინა. ტაიმიც „დინამოს" მოკრძალებული გამარჯვებით დასრულდა — 1:0.

52-ე წუთზე კი ანგარიში უკვე 3:0 იყო. ჯერ ვაშაკიძემ გამოიყენა სამსონიას შეცდომა, მერე კი ისევ წიტაიშვილმა ითამაშა კარგად, სახვაძის ჩაწოდებული შეუჩერებლივ გაგზავნა კარში, მეოთხე ისევ ვაშაკიძემ გაიტანა — რუხაძის პასი თავურ გოლად აქცია. 72-ე წუთზე კი ულამაზესი გოლი გავიდა, ჯინჭარაძემ მარჯვენა ფლანგზე გაილაღა და საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ბურთს წიტაიშვილი დაუხვდა. მას ბევრი არ უფიქრია, მაკრატელათი ჰეთ თრიქი შეასრულა. მატჩს წერტილი ჯინჭარაძემ დაუსვა.

ასე რომ, „დინამომ" იოლად მოიგო და საპასუხო მატჩს აზრი დაუკარგა. ახლა თბილისელებს სუპერთასზე „ტორპედოსთან" შეხვედრა ელით, მერე კი ჩემპიონატის მეორე ეტაპიც დაიწყება. იქ დინამოელები ისე ველარ გაისეირნებენ, როგორც ეს გუშინ „გურიასთან" გააკეთეს.

საქართველოს 11 ჩემპიონატი I ეტაპი სტატისტიკა

# «ბ» ზონა

*საფეხბურთო სეზონის განახლებამდე იხილეთ მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის „ბ" ზონის სრული სტატისტიკა. თითქმის ყველაფერი რისი დათვლაც და ციფრებით გადმოცემა შეიძლება*

## ზონის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 14 |
| მატჩი | 56 |
| გოლი | 139 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,48 |
| გოლი საშუალოდ ერთ ტურში | 9,92 |
| მასპინძელთა მოგება | 28 (50%) |
| ფრეები | 12 (21%) |
| სტუმართა მოგება | 16 (28%) |
| საერთო დასწრება | 74 900 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 337 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | III: 8 500 |
| მწირი დასწრება ტურზე | XII: 3 400 |
| უხვგოლიანი ტური | X: 16 |
| გოლმწირი ტური | VIII: 5 |

## გუნდების ბომბარდირები

| № | გუნდი | ბომბარდირი | გოლი | გუნდის % |
|---|---|---|---|---|
| 1 | დილა | ხორგუაშვილი | 5 | 26 |
| 2 | გორდა | ვ. კილასონია | 6 | 35 |
| 3 | იბერია | გეგეშიძე | 3 | 33 |
| 4 | ხობი | ვ. ჩიტაია | 5 | 33 |
| 5 | კოლხეთი | შალამბერიძე | 4 | 21 |
| 6 | მერანი | თოლორდავა | 3 | 21 |
| 7 | ტორპედო | იონანიძე | 11 | 33 |
| 8 | თსუ | გ. გვაზავა | 4 | 30 |

## უხვმაყურებლიანი მატჩები

| № | მატჩი | დასწრება | ტურის № |
|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო — კოლხეთი 4-1 | 3500 | 7 |
| 2 | ტორპედო — ხობი 0-0 | 3000 | 13 |
| 3 | ტორპედო — იბერია 5-0 | 3000 | 10 |
| 4 | დილა — ტორპედო 0-5 | 3000 | 9 |
| 5 | ტორპედო — მერანი 3-1 | 3000 | 4 |
| 6 | ტორპედო — დილა 2-2 | 3000 | 2 |
| 7 | მერანი — ტორპედო 0-1 | 2500 | 11 |
| 8 | ხობი — გორდა 5-1 | 2500 | 10 |
| 9 | მერანი — თსუ 1-1 | 2500 | 3 |
| 10 | დილა — კოლხეთი 3-0 | 2500 | 3 |

## უხვგოლიანი მეოთხედი

| № | | დროის მონაკვეთი | გოლი | % |
|---|---|---|---|---|
| 1 | VI მეოთხედი | 75-90 წუთი | 43 | 30 |
| 2 | IV მეოთხედი | 46-60 წუთი | 24 | 17 |
| 3 | V მეოთხედი | 61-75 წუთი | 24 | 17 |
| 4 | III მეოთხედი | 31-45 წუთი | 22 | 15 |
| 5 | II მეოთხედი | 16-30 წუთი | 15 | 10 |
| 6 | I მეოთხედი | 01-15 წუთი | 11 | 7 |

## ყველა ანგარიში

| | დილ | გორ | იბე | ხობ | კოლ | მერ | ტორ | თსუ | თ | მ | ფ | წ | ბურთები | ქულა | № |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | | 1-2 | 2-0 | 1-0 | 3-0 | 3-2 | 0-5 | 1-1 | 14 | 6 | 2 | 6 | 19:24 | 20 | 3 |
| გორდა | 2-0 | | 4-0 | 4-1 | 0-1 | 0-0 | 0-2 | 3-1 | 14 | 5 | 1 | 8 | 17:18 | 16 | 5 |
| იბერია | 2-1 | 1-0 | | 2-1 | 1-0 | 1-1 | 0-3 | 0-1 | 14 | 5 | 3 | 6 | 9:20 | 18 | 4 |
| ხობი | 2-3 | 5-1 | 0-1 | | 0-3 | 1-1 | 1-2 | 0-0 | 14 | 2 | 4 | 8 | 15:24 | 10 | 8 |
| კოლხეთი | 3-0 | 2-0 | 1-0 | 2-3 | | 1-0 | 0-0 | 1-0 | 14 | 8 | 1 | 5 | 19:15 | 25 | 2 |
| მერანი | 3-1 | 2-1 | 0-0 | 0-0 | 1-2 | | 0-1 | 1-1 | 14 | 3 | 6 | 5 | 14:15 | 15 | 7 |
| ტორპედო | 2-2 | 1-0 | 5-0 | 0-0 | 4-1 | 3-1 | | 3-0 | 14 | 11 | 3 | 0 | 33:5 | 36 | 1 |
| თსუ | 0-1 | 1-0 | 1-1 | 4-1 | 3-2 | 0-2 | 0-2 | | 14 | 4 | 4 | 6 | 13:18 | 16 | 6 |

## მოგებათა სერია

| № | გუნდი | მოგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 10 | დ | 3 | 12 |
| 2 | კოლხეთი | 3 | დ | 8 | 10 |
| 3 | დილა | 2 | დ | 5 | 6 |
| 4 | გორდა | 2 | დ | 11 | 12 |
| 5 | იბერია | 2 | მ | 13 | 14 |
| 6 | ხობი | 1 | დ | 10 | 10 |
| 7 | მერანი | 1 | დ | 13 | 13 |
| 8 | თსუ | 1 | დ | 13 | 13 |

## უფრეო სერია

| № | გუნდი | უფრეოდ | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კოლხეთი | 13 | დ | 1 | 13 |
| 2 | დილა | 12 | მ | 3 | 14 |
| 3 | ტორპედო | 10 | დ | 3 | 12 |
| 4 | თსუ | 10 | მ | 5 | 14 |
| 5 | გორდა | 8 | მ | 7 | 14 |
| 6 | იბერია | 6 | მ | 9 | 14 |
| 7 | მერანი | 5 | მ | 10 | 14 |
| 8 | ხობი | 4 | დ | 5 | 8 |

## ფრეთა სერია

| № | გუნდი | ფრე | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | თსუ | 4 | დ | 1 | 4 |
| 2 | მერანი | 3 | დ | 1 | 3 |
| 3 | დილა | 2 | დ | 1 | 2 |
| 4 | იბერია | 2 | დ | 1 | 2 |
| 5 | ტორპედო | 2 | მ | 13 | 14 |
| 6 | გორდა | 1 | დ | 6 | 6 |
| 7 | ხობი | 1 | დ | 13 | 13 |
| 8 | კოლხეთი | 1 | მ | 14 | 14 |

## წაუგებელი სერია

| № | გუნდი | არწაგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 14 | მ | 1 | 14 |
| 2 | მერანი | 5 | დ | 6 | 10 |
| 3 | თსუ | 4 | დ | 1 | 4 |
| 4 | დილა | 3 | დ | 1 | 3 |
| 5 | კოლხეთი | 3 | დ | 8 | 10 |
| 6 | გორდა | 2 | დ | 11 | 12 |
| 7 | იბერია | 2 | მ | 13 | 14 |
| 8 | ხობი | 2 | დ | 9 | 10 |

## წაგებათა სერია

| № | გუნდი | წაგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გორდა | 4 | დ | 7 | 10 |
| 2 | ხობი | 4 | დ | 5 | 8 |
| 3 | დილა | 3 | დ | 9 | 11 |
| 4 | იბერია | 2 | დ | 9 | 10 |
| 5 | მერანი | 2 | დ | 11 | 12 |
| 6 | თსუ | 2 | დ | 5 | 6 |
| 7 | კოლხეთი | 1 | დ | 13 | 13 |
| 8 | ტორპედო | 0 | დ | 0 | 0 |

## უგოლო სერია

| № | გუნდი | უგოლოდ | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გორდა | 5 | დ | 5 | 9 |
| 2 | იბერია | 3 | დ | 8 | 10 |
| 3 | თსუ | 3 | დ | 4 | 6 |
| 4 | დილა | 2 | დ | 9 | 10 |
| 5 | ხობი | 2 | მ | 13 | 14 |
| 6 | მერანი | 2 | დ | 11 | 12 |
| 7 | ტორპედო | 2 | მ | 13 | 14 |
| 5 | კოლხეთი | 1 | მ | 13 | 14 |

## მოუგებელი სერია

| № | გუნდი | არმოგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხობი | 8 | დ | 2 | 9 |
| 2 | გორდა | 6 | დ | 5 | 10 |
| 3 | მერანი | 6 | დ | 1 | 6 |
| 4 | თსუ | 6 | დ | 1 | 6 |
| 5 | იბერია | 4 | დ | 1 | 4 |
| 6 | დილა | 3 | დ | 9 | 11 |
| 7 | კოლხეთი | 2 | მ | 13 | 14 |
| 8 | ტორპედო | 2 | მ | 13 | 14 |

## მშრალი სერია

| № | გუნდი | მშრალად | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 7 | მ | 8 | 14 |
| 2 | კოლხეთი | 3 | დ | 8 | 10 |
| 3 | მერანი | 3 | დ | 8 | 10 |
| 4 | დილა | 2 | დ | 5 | 6 |
| 5 | გორდა | 1 | დ | 12 | 12 |
| 6 | იბერია | 1 | მ | 14 | 14 |
| 7 | ხობი | 1 | დ | 13 | 13 |
| 8 | თსუ | 1 | დ | 9 | 9 |

## ამპლუათა შედეგიანობა და მეოთხედებში ბურთების შეფარდება

| გუნდი | დაცვა გოლი | დაცვა % | შუახაზი გოლი | შუახაზი % | თავდასხმა გოლი | თავდასხმა % | 01-15 გატ | 01-15 გაშ | 01-15 სხვ | 16-30 გატ | 16-30 გაშ | 16-30 სხვ | 31-45 გატ | 31-45 გაშ | 31-45 სხვ | 46-60 გატ | 46-60 გაშ | 46-60 სხვ | 61-75 გატ | 61-75 გაშ | 61-75 სხვ | 76-90 გატ | 76-90 გაშ | 76-90 სხვ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 0 | 0 | 10 | 55 | 8 | 45 | 0 | 2 | -2 | 0 | 4 | -4 | 2 | 4 | -2 | 4 | 9 | -5 | 4 | 2 | 2 | 9 | 3 | 6 |
| გორდა | 4 | 23 | 3 | 18 | 10 | 59 | 1 | 0 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 7 | 6 | 6 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 6 | 0 | 6 |
| იბერია | 4 | 45 | 3 | 33 | 2 | 22 | 0 | 2 | -2 | 1 | 2 | -1 | 2 | 1 | 1 | 1 | 4 | -3 | 0 | 3 | -3 | 5 | 8 | -3 |
| ხობი | 1 | 7 | 8 | 53 | 6 | 40 | 0 | 1 | -1 | 1 | 3 | -2 | 4 | 3 | 1 | 2 | 6 | -4 | 2 | 4 | -2 | 6 | 7 | -1 |
| კოლხეთი | 2 | 11 | 10 | 53 | 7 | 36 | 3 | 1 | 2 | 1 | 3 | -2 | 4 | 2 | 2 | 5 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 4 | 7 | -3 |
| მერანი | 4 | 28 | 7 | 50 | 3 | 22 | 1 | 3 | -2 | 3 | 1 | 2 | 1 | 3 | -2 | 4 | 3 | 1 | 1 | 2 | -1 | 4 | 3 | 1 |
| ტორპედო | 3 | 9 | 16 | 48 | 14 | 43 | 5 | 0 | 5 | 4 | 0 | 4 | 7 | 0 | 7 | 7 | 2 | 5 | 5 | 1 | 4 | 5 | 2 | 3 |
| თსუ | 1 | 8 | 2 | 15 | 10 | 77 | 1 | 2 | -1 | 3 | 1 | 2 | 1 | 2 | -1 | 3 | 3 | 0 | 1 | 3 | -2 | 4 | 7 | -3 |

**შენიშვნა** სერიათა ცხრილებში დ: დასრულებული, მ: მიმდინარე; ამპლუთა შედეგიანობის და მეოთხედებში ბურთების შეფარდების ცხრილში გატ: გატანილი, გაშ: გაშვებული და სხვ: სხვაობა

# ალანიამ აშვეთიას დუბლით მოიგო

კვიპროსის ქალაქ ლარნაკაში ვლადიკავკაზის „ალანიამ“ ვლადიმერ გუცაევის ხელმძღვანელობით მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა და კვლავ ქართველის წყალობით მოიგო. ამჯერად თავი ქუთაისელმა მიხეილ აშვეთიამ გამოიჩინა. „ალანიამ“ 3:1 აჯობა ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივს“.

ანგარიში ამ შეხვედრაში მე-17 წუთზე თედეევმა გახსნა. 10 წუთში და შემდეგ 88-ეზე მიხეილ აშვეთიამ დუბლი გააფორმა.

ამ მატჩში ხუთი ქართველი მონაწილეობდა. „ალანიაში“ შედგა თბილისის დინამოელი გიორგი ანჩაბაძის დებიუტი. იგი მეორე ტაიმში ჩაიკას ნაცვლად შევიდა მინდორზე და ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. კიკნაძემ პირველი ტაიმი ითამაშა და შემდეგ სლოვაკმა ჰოლიმ გამოცვალა. წერეთელიც შესვენებამდე შეცვალეს, სილაგაძე და აშვეთია კი მთელი მატჩის განმავლობაში იყვნენ მოედანზე.

ვოვა გუცაევი კვლავაც განაგრძობს ახალი ფეხბურთელების ძიებას. ანჩაბაძის გარდა გუცაევმა ამ შეხვედრაში ნიგერიელი ბაბალაბი და ორი რუმინელი — მირია და არხირე გამოცადა.

შეგახსენებთ, რომ დღემდე გუცაევმა არაპოსტსაბჭოთა სივრციდან მხოლოდ სლოვაკი ჰოლი აიყვანა, ისიც ბოლოს რუსეთში თამაშობდა, მანამდე კი რამდენიმე ნიგერიელი და ბრაზილიელი ფეხბურთელი დაიწუნა.

**სიმონ მენაბდე**



მიხეილ აშვეთია

# ფაზისზე ბალახი ბიბინებს, მერანს კი ლანჩხუთში ელიან

გუშინწინ ფოთის „კოლხეთმა“ ბოლო საკონტროლო მატჩი გამართა და ამით ეროვნული ჩემპიონატისა და თასისთვის მზადებაც დაასრულა. მისი მეტოქე საქართველოში სტუმრად მყოფი ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცი“ გახლდათ. „კოლხეთმა“ მატჩი ძირითადი შემადგენლობით დაიწყო, მერე კი გია ტყებუჩავამ, რახან მატჩი საცდელი იყო, ყველას მისცა თავის გამოჩენის საშუალება. საბოლოოდ ფოთელებმა ლევან შავგულიძისა და დავით ხუჭუას გოლებით რუს სტუმრებს 2:1 მოუგეს.

ახლა „კოლხეთი“ 29 თებერვლის თასის მერვედფინალური მატჩის მოლოდინშია. იგი თბილისურ „მერანს“ ხვდება. ეს მატჩი ლანჩხუთში გაიმართება, და არა „ფაზისზე“, რაც კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოიავამ ასე ახსნა:

— სტადიონზე ერთი თვის წინ ახალი ბალახი დავთესეთ, რომელიც ახლაღა ამობიბინდა. ამიტომაც მოვერიდეთ მის გაფუჭებას და გადავწყვიტეთ, „მერანს“ ლანჩხუთში ვუმასპინძლოთ. ამის შესახებ თავად „მერანმაც“ იცის და ფეხბურთის ფედერაციასაც შევატყობინეთ. მათ საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. „მერანი“ ყვავილნარშია შეკრებაზე და პირდაპირ იქიდან გადმოვა ლანჩხუთში.

„კოლხეთის“ მიზნებზე კი ვიცე-პრეზიდენტის აზრი ასეთია:

— პირველ ეტაპზე ჩვენი ამოცანა საუკეთესო 8 გუნდში მოხვედრა იყო. ეს შესრულდა. ხომ გაგიგიათ, მადა ჭამაში მოდისო, ჰოდა, „კოლხეთიც“ ახლა საპრიზო ადგილისა და თასის მოპოვებას შეეცდება. ერთი სიტყვით, თვალი უეფას საგზურისკენ გვიჭირავს.

ასე რომ, ფოთელები, როგორც ყოველთვის, მაღალი ადგილისთვის იბრძოლებენ, რამდენად გამოუვათ, ამას მომავალი გვიჩვენებს, თასის მერვედფინალი, „კოლხეთი“ — „მერანი“ კი 29 თებერვალს ლანჩხუთში გაიმართება.

**გიორგი ვაშაკიძე**

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I–VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი(სიონი),ჩხაბერიძე,სტურუა(სამგურალი),ვ.მაისურაძე(თბილისი),კ.ჯანაშია(იბერია) | გ.გოგოლაძე,თავბერიძე(ინტერი) | ქოიზმეთესფორი(თურქეთი)5:0,შინიკი(რუსეთი)0:1,ნოსტა(რუსეთი)2:2,ვენტსპილსი(ლატვია)2:1,ანთალია 2(თურქეთი)3:1,იესილი (ყაზახეთი)0:0,ლევსკი(სოფია,ბულგარეთი) 1:2,ყაზახეთი2:2,დუსტლიკი(უზბეკეთი)4:3,სპარტაკი(ვარნა,ბულგარეთი) 1:3,სამგურალი4:0 |
| **დინამო** *ოთარ კორღალიძე* | აშვეთია,ანჩაბაძე(ალანია,რუსეთი),ალექსიძე(ჩელსი,ინგლისი),ლომაია(ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (ბელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი(ბათუმი),თ. კობიაშვილი(ვიტ ჯორჯია),ვ.გოგიაძე,ს.გოგიაძე(ანჟი,რუსეთი) | ქემოკლიძე,ო.გველესიანი,ზამთარაძე,რუხაძე,გ.ვ.მიქაძე,ა.ჩიხრაძე (თბილისი),დათუაძე(სიონი),შელია(მანჩესტერსიტი,ინგლისი),რ.არველაძე(ობერჰაუზენი,გერმანია),გოგიჩაიშვილი(არსენალი),ჩხეიძე (არ თამაშობდა) | ვიტ ჯორჯია3:2,ლოკომოტივი 1:2, საქართველოU212:2,(ცაგდინამო(ყირგიზეთი)5:2,ვარზობი(ტაჯიკეთი)3:5,ირტიშპავლოდარი(ყაზახეთი) 5:2, მერანი 0:0, დებრეცენი (უნგრეთი) 0:1, რუბინი (რუსეთი) 2:3, დინამო (რუმინეთი) 4:2, პოლონია (პოლონეთი) 2:3 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | დ.გოგოლაძე(ვენტსპილსი,ლატვია),ჭოხონელიძე(თსუ),მელაძე(გორდა),ბოლქვაძე,გ.გიორგაძე(თამამშიატოვეს) | მ.ქობულაძე,შავგულიძე(ლოკომოტივი),გ.ჩიტაია(დილა),ფანჩულიძე,შ.ჩხენკელი(ტრავმის გამო არ თამაშობდნენ),დ.კვირკველია,კრასოვსკი(კოლხეთი2),რ.ახალკაცი(შუმენი,ბულგარეთი) | ნივა(ტერნოპოლი,უკრაინა) 1:1,სტალი(ალჩევსკი,უკრაინა) 0:1, 1:1,პოლიგრაფტეხნიკა (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2, 0:2, ობოლონ პპო (კიევი, უკრაინა) 0:0, ჩკალოვეცი (რუსეთი) 2:1 |
| **ბათუმი** *ჯემალ ქარჩხაძე* | პაპიძე, გადელია(თბილისი),კანტიძე(თამამშიატოვეს),უგაკვე (?) | ხომერიკი(დინამო),ჩლაიძე,თარგამაძე(არსენალი),პეტრიაშვილი(სამგურალი),სიდამონიძე(სიონი) | რუშიცა (რუმინეთი) 1:2,არეცო(იტალია)3:1,სტიაუა(რუმინეთი)3:4,არჯეში(რუმინეთი) 1:2,ზაგლებიე(პოლონეთი) 4:1,ვისლა(პოლონეთი)3:2,თსუ 1:2 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კუტივაძე* | კ.ალადაშვილი(გორდა),მაზიაშვილი(თსუ),ა.ბოკერია(სიონი) | ლ.მელქაძე(თბილისი),ი.ხაჭაპურიძე(სამგურალი),თ.კობიაშვილი(დინამო) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0, არსენალი 2:1, ფენერბახჩე (თურქეთი)3:1,სპორტულ(რუმინეთი) 1:1,სლოგა(მაკედონია) 3:0, ნოდერლერი (ავსტრია) 0:0, პოგონი (პოლონეთი) 1:1, ჭიათურა 1:0 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე(დინამო),დ.გოდერძიშვილი(ლოკომოტივი),ნ.მინდიაშვილი,ი.ნადირაძე (არსენალი), ლ. გაგუა (ლეჰ, ლოძი, პოლონეთი), სიდამონიძე (ბათუმი) | მაზანიშვილი(ტორპედო),ისიანი(თბილისი),დაუშვილი(არსენალი),ბ.შენგელია(იბერია),კ.გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი), ა. ბოკერია (ვიტ ჯორჯია) | ვიტ ჯორჯია0:1,არსენალი 1:1, 1:3,გორდა 1:1,0:0, ზოოვეტი 8:2, თბილისი4:1 |
| **დილა** *მერაბ კოჭლამაზაშვილი* | გ.ჩიტაია(კოლხეთი),თაყაძე(შერიფი,მოლდოვა) | საყვარელიძე (დილას სკოლა) | ვიტ ჯორჯია0:1,ლოკომოტივი3:1,თსუ0:0,თბილისი0:2, 1:0,მერანი0:0,0:5,არსენალი 1:1 |
| **იბერია** *ხოხო ერიაძე* | კ.მეტრეველი (დნეპრი, უკრაინა), ზ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა),დარსაძე(სამგურალი),გ.ლურსმანაშვილი(ცხინვალი),ქველაძე(?) | გ.ნოზაძე,კ.ალანია(თსუ),კ.ჯანაშია(ტორპედო) | სამგურალი 1:0 |

| IX–XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი** *რევაზ ძოძუაშვილი* | მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (როკლისი, საბერძნეთი),ბარამიძე(პეროკოსი, საბერძნეთი),დ.ჯანელიძე,ნიენიავაძე(არსენალი),ჩომახიძე(ნივა, ტერნოპოლი,უკრაინა),კ.მელქაძე,ამაშუკელი(თბილისი),ნემსაძე(პორტსმუთი,ინგლისი),დოლაბერიძე, ბარნოვი,გოგიჩაიშვილი(?) | ლომაია(დინამო),კვარაცხელია, აბრამიძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი),ხუროძე(სკონტო,ლატვია),ძოძუაშვილი(სამგურალი),დ.გოდერძიშვილი(სიონი),პარამონოვი(თბილისი2),ქოქჩიშვილი(ალანია,რუსეთი),თოლორდავა(მერანი),ა.ჯელაძე(ალიტიბადი, საუდეთი),გ.გვაზავა(თსუ),ონიანი (ხობი),ნიკურაძე,გულორდავა(გურია),მორჩილაძე,არეშიძე(ლოკომოტივი2),დევდარიანი(ცხუმი),გამცემლიძე(არ თამაშობდა) | დინამო2:1,დილა 1:3,მერანი2:2, 0:1,თსუ 1:0,2:2,ასკ(ხაბაროვსკი, რუსეთი) 2:1, აეკ (ლარნაკა, კვიპროსი) 1:0, შერიფი (მოლდოვა)0:2,ლადა 333(ტოლიატი,რუსეთი) 1:3 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | ინასარიძე (თორი), ლ. ალადაშვილი (აპოლონი, საბერძნეთი),გ.ხიზანიშვილი(აკადემია),თელიაშვილი (?) | კ.ალადაშვილი(ვიტ ჯორჯია),ბედიაშვილი(თბილისი),გაბარაევი(მამული),დ.ნიკლაური, სულაშვილი, ძებისაშვილი, ლ. კაპანაძე (ხალიბი), ლ. სილაგაძე (სკონტო 2, ლატვია), მელაძე (კოლხეთი),ბურნაძე, გ. კილასონია, შ. მეტრეველი, თ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ) | სიონი 1:1,0:0,ხალიბი4:3,3:2,2:0, ზოოვეტი2:0 |
| **თსუ** *თენგიზ კაცია* | ნინუა(ბელასიცა,პეტრიჩი,ბულგარეთი),გ.გვაზავა(ლოკომოტივი),ჯობაძე(არსენალი),გ.ა.მიქაძე(აკადემია) | მაზიაშვილი(ვიტ ჯორჯია),ებრალიძე(თბილისი),სულავა(ნორჩი დინამოელი),ჭოხონელიძე(კოლხეთი) | ვიტ ჯორჯია 4:6, ლოკომოტივი0:1, 2:2,ამირანი 1:0, ზოოვეტი 4:2,დილა0:0, ზუგდიდი6:1,ბათუმი2:1 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი), დავითაშვილი (არსენალი, ტულა, რუსეთი),ბ.ამბიძე,ლ.ამბიძე(დინამო,ასტრახანი,რუსეთი) | კოშკაძე,ავალიანი,მელიქია,კვანტალიანი,მიკუჩაძე(ამირანი),გ.ილურიძე,აბულაძე(განთიადი),ბოლქვაძე(გურია),ა.ხორხელი (არ თამაშობდა) | ვიტ ჯორჯია0:0,ლოკომოტივი2:2, 1:0,დინამო0:0, ჭაბუკიანი 1:1,ცხუმი6:0,3:1,დილა0:0,5:0,ლოკომოტივი23:1,მეტალურგი 3:0,აკადემია 1:0,2:0 |
| **თბილისი** *რამაზ შენგელია* | ქემოკლიძე,ო.გველესიანი,ზამთარაძე,რუხაძე,გ.ვ.მიქაძე,ა.ჩიხრაძე(დინამო),კვარაცხელია,აბრამიძე, ზ.ხიზანიშვილი (ლოკომოტივი), ისიანი(სიონი),ლ.მელქაძე(ვიტ ჯორჯია),ჯალერიკაგუა(სკონტო, ლატვია),ბედიაშვილი(გორდა),ებრალიძე(თსუ) | ვ.მაისურაძე(ტორპედო),პაპიძე(ბათუმი),ნორაკიძე,ჩივაძე,ახალაია(თბილისი2),კოხრეიძე(სამგურალი),კ.მელქაძე,ამაშუკელი(ლოკომოტივი),ხუციშვილი(შერიფი,მოლდოვა),გადელია(ბათუმი),ყუფარაძე,(არსენალი),გ.ლუდუშაური, თ.დოლიძე(არ თამაშობდნენ) | დილა 2:0,0:1,საქართველოU18 0:0,ს.ა.იბერია0:0,ჭაბუკიანი 3:1,აკადემია2:1,სიონი 1:4 |
| **სამგურალი** *იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია),პეტრიაშვილი (ბათუმი), კოხრეიძე (თბილისი), კოპალიანი(XXI საუკუნე) | ჩხაბერიძე,სტურუა(ტორპედო),გაბუნია(მეტალურგი),გ.ჯანელიძე(ტრავმის გამო არ თამაშობდა),გიორგობიანი(ლუჩი,ვლადივოსტოკი,რუსეთი),დარსაძე(იბერია),ვადაჭკორია, კვერნაძე,ბაბუნაშვილი,ფუტკარაძე(ინტერი) | ინტერი 8:0,გაგრა 5:1,ტორპედო 0:4,იბერია 0:1 |
| **ხობი** *უმწვრთნელოდ* | ლ.გვაზავა(ზიმბრუ, მოლდოვა), ონიანი (ლოკომოტივი),ნიქაბერიძე,ბაბუაძე,გოგიტაძე, ზ.კვეკვესკირი,თორია (?) | | |
| **არსენალი** *ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე,თარგამაძე(ბათუმი),გოგიჩაიშვილი(დინამო),დაუშვილი(სიონი),ყუფარაძე(თბილისი),მ.მაისურაძე(?);მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი,დაითხოვეს) | ხარებავა,ე.ალადაშვილი(მერანი),დ.ჯანელიძე,ნიენიავაძე(ლოკომოტივი),ქოიავა(არაგვი),ი.კაპანაძე,ნ.მინდიაშვილი(სიონი),გ.ტულუში(ცხინვალი),ჯობაძე(თსუ),შუკაკიძე(ზოოვეტი);ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | სიონი 3:1, 1:1,ვიტ ჯორჯია 1:2,არსენალი 23:0,აკადემია 3:0; დილა 1:1,მეტალურგი4:0,ლოკომოტივი 23:1 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**



პირველ წრეში, 1999 წლის 17 ოქტომბერს „იუვენტუსმა“ რომში 1:0 მოიგო

## იტალია

იტალიაში დღეს ერთი მატჩი ექვს ქულად ფასობს. ესე იგი, მოგებული გუნდი განა მხოლოდ სამ ქულას ამატებს თავის მონაგარს, კონკურენტს სამსაც ართმევს. კონკურენცია კი სერია A-ში იცოცხლეთ, დიდია.

ასეთ ფონზე „იუვენტუსისა“ და „რომას“ მატჩი განსაკუთრებულ ელფერს იძენს. ჩავხედოთ ცხრილს. „ბებერი ქალბატონი“ ლიდერია, 22 თამაშიდან 47 ქულა აქვს და მდევარ „მილანს“ სამით უსწრებს. „მილანი“ თავის მხრივ ერთით სჯობია „ლაციოს“, ხოლო „ლაციოს“ ზუსტად ასეთივე უპირატესობა აქვს 42 ქულიან „რომასთან“.

მაშ ასე, „იუვენტუსი“ „რომას“ მასპინძლობს და თუ გაიმარჯვებს, გარდა იმისა, რომ ლიდერობას შეინარჩუნებს ერთ-ერთ სერიოზულ კონკურენტთაგანს საფუძვლიანად, უკვე მთელი 8 ქულით ჩამოიტოვებს. ახლა, რაც შეეხება „რომას“. „სტადიო დელლე ალპიზე“ მისი გამარჯვების შემთხვევაში, სხვაობა მას და „იუვენტუსს“ შორის ორ ქულამდე შემცირდება.

ასეთ შემთხვევაში ტურინის გუნდს შესაძლოა „მილანი“ გაუტოლდეს, რომელსაც ამ ტურში სტუმრად „კალიარისთან“ უწევს თამაში. „მილანი“, ალბათ, მართლაც მოიგებს, ვინაიდან „კალიარი“ ცხრილში ბოლოს წინა ადგილზეა და მიუხედავად იმისა, რომ გააფთრებით იბრძოლებს, ბოლოხანს მეტად გაძლიერებულ შავ-წითლებს წესით ვერ უნდა მოერიოს.

„ლაციო“ „უდინეზეს“ მასპინძლობს. უდინელები 33 ქულით მეშვიდე ადგილზე გახლავან და ძრავშესუსტებულ რომაელებს, ცხადია, იოლად არაფერს დაუთმობენ, იმიტომ, რომ თავად უეფას თასზე გამსვლელი ადგილი აქვთ მიზანში ამოღებული.

„იუვენტუსი“ შეუვალი დაცვის მქონე გუნდია. ტურინელებს სულ ერთი თამაში აქვთ წაგებული, ხოლო გაშვებით მხოლოდ 10 გაუშვიათ აქედან 4 შინ და 6 სტუმრად. შედარებისთვის: ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზეა „ინტერი“, რომელსაც 20, ანუ ორჯერ მეტი სიხარულის საბაბი აქვს მეტოქეთათვის მიცემული. თუმცა ლიდერს შედარებით თავდასხმას უკრიტიკებენ. მისი 31 გატანილი გოლი „მილანის“ და „რომას“ 48-ზე, როგორც ხედავთ, გაცილებით ნაკლებია, მაგრამ მწვრთნელს, კარლო ანჩელოტის საგანგებო ღელვის მიზეზი მაინც არ აქვს. ჯერ ერთი, გუნდის გოლნაკლულობაში ყველაზე მეტად დადანაშაულებულმა ფილიპო ინძაგიმ ნავსი გატეხა და ბოლო ტურში ჰეთ-თრიკი შეასრულა, ხოლო გამთამაშებელი და ლიდერი, ფრანგი ზინედინ ზიდანი საუცხოო ფორმაშია.

მოკლედ, ანჩელოტი დარწმუნებულია, რომ მისი ფეხბურთელები ჩემპიონატის ყველაზე გადამწყვეტ ფაზაში არ შედრკებიან და როდესაც ყველაზე მეტად არის საჭირო, სწორედ მაშინ გაიმარჯვებენ.

„არანაირი საჩუქრების დარიგებას არ ვაპირებთ — ამბობს მწვრთნელი — სეზონის ამ ეტაპზე თითოეული გამარჯვება მართლაც არად ფასობს, ხოლო „იუვე“ სწორედ ასეთ დროს ძალთა მოკრებით გახლავთ ცნობილი. მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ“.

კაცმა რომ თქვას, საკუთარი თავის რწმენა არც „რომას“ აკლია, მით უფრო თუ გავიხსენებთ ვინ არის მისი მწვრთნელი — ფაბიო კაპელო. გავიხსენოთ ბოლო ტურში მიღწეული შედეგიც — 4:0 „ფიორენტინასთან“ და დავამატოთ, რომ კაპელოს სტუმრად ოთხი თამაში უკვე აქვს მოგებული, წაგებული კი მხოლოდ სამი.

„რომას“ სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ „იუვენტუსთან“ შეხვედრაში მას დაუბრუნდება გუნდის ლიდერი ფრანჩესკო ტოტიც, რომელმაც „ფიორენტინასთან“ ტრიუმფალური შეხვედრა გამოსტოვა, ხოლო „დელლე ალპიზე“ ვინჩენცო მონტელას უკან ჩვეულებრივ ადგილს დაიკავებს.

„მილანმა“ და „ლაციომ“ წინა ტურში ერთმანეთთან ითამაშეს. „მილანმა“ გაიმარჯვა — 2:1.

„მილანში“ დამარცხება ბევრს არ წყვეტს — უთხრა ჟურნალისტებს „ლაციოს“ პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ — ამ წაგებამ მხოლოდ დროებით დაგვაბრკოლა“.

კიდევ, „პარმა“ „ფიორენტინას“ მასპინძლობს, ხოლო მეხუთე ადგილზე მყოფი ურონალდოო „ინტერი“ „ვენეციას“. ამ დროს რონალდო ბრაზილიაში ისვენებს და ტრავმას იშუშებს.

# ფრთხილად ბოსმანო, იდეა საინტერესოა

„სანვრთნელი კონტრაქტის“ შემოღების ნებართვა — აი, რა სთხოვა მსოფლიო ფეხბურთის ცენტრმა, ფიფამ, ევროკომისიას. ეს კი იმისთვისაა საჭირო, რომ კლუბები, რომლებიც ახალგაზრდა ფეხბურთელებს გაზრდიან, მათი სხვაგან გადასვლის შემთხვევაში უკომპენსაციოდ არ დარჩნენ.

ფიფასა და უეფას ერთობლივ დელეგაციას, რომელსაც ფიფას მრჩეველი, წარსულში ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი მიშელ პლატინი ხელმძღვანელობდა, უეფას მხრივ კი გენერალური მდივნის თანაშემწე მარკუს შტუდერი ახლდა, ევროკავშირის რამდენიმე მნიშვნელოვანი კომისიის აღმასრულებელ პირებთან ჰქონდა შეხვედრა. მსჯელობის საგანი, ბუნებრივია, ევროპული ფეხბურთის სტრუქტურაში 1995 წელს დამანგრევლად შევარდნილი ბოსმანის წესი გახლდათ.

„ფიფამ სანვრთნელი კონტრაქტის იდეა წამოაყენა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ფეხბურთელი რომელიმე კლუბში ვარჯიშობდა, კლუბს მისი რამდენიმე წლით დატოვების უფლება მიეცემა ან სხვაგან გადასვლის შემთხვევაში კომპენსაციას მიიღებს“ — აუხსნა სააგენტო „როიტერს“ ევროკომისიის პრესატაშემ.

შეგახსენებთ, რომ 1995 წელს ევროსასამართლომ კონტრაქტის ვადა ამოწურულ ფეხბურთელებს კლუბიდან კლუბში თავისუფლად გადასვლის ნება დართო, რის შემდეგაც მთელ კონტინენტზე მცირე კლუბებმა დაიწყეს ჩივილი, რომ მათი აღზრდილი მოთამაშეები მდიდარ გუნდებში გარბიან, ხოლო მათ კომპენსაცია არ ხვდებათ.

ევროკომისიამ ფიფასა და უეფას უცხოელ ფეხბურთელთა რაოდენობის ლიმიტირებაზე უარი უთხრა. „სანვრთნელი კონტრაქტის იდეა კი საინტერესოა, მაგრამ პასუხის გაცემამდე დაფიქრება გვჭირდება“ — დასძინა ზემოხსენებულმა პრესატაშემ.

შეხვედრისას აგრეთვე განიხილეს ევროკავშირის სპორტში მეტად ჩარევის იდეა, რომლის თანახმადაც წამყვან სახელმწიფოთა ფედერაციები 17 აპრილს შეიკრიბებიან და დოპინგისა და განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენელთა ექსპლოატაციის საკითხებს განიხილავენ.

## ფეხბურთის რუკასთან



ინგლისურ „ჩელსიში“ მოასპარეზე რუმინელმა მცველმა დან პეტრესკუმ კლუბთან კონტრაქტი ორი წლით გააგრძელა. მისი თქმით, კარიერას ალბათ პრემიერლიგაში ჩაამთავრებს, რადგან ინგლისში თამაში დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ფეხბურთელის გადაბირებას რამდენიმე წამყვანი ევროპული კლუბი ცდილობდა, მაგრამ რუმინელმა „ჩელსი“ ამჯობინა. „გადავწყვიტე, ლონდონში დავრჩე. აქ ბედნიერი ვარ, ინგლისში თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის საამაყოა. გაბრიელ ბატისტუტას მაგალითი აიღეთ, სურს, კარიერა პრემიერლიგაში დაასრულოს“ — განაცხადა პეტრესკუმ. როდესაც პეტრესკუს „ჩელსისთან“ კონტრაქტის ვადა გაუვა, 34 წელი შეუსრულდება და ალბათ აღარც ითამაშებს.

**არგენტინელი თავდამსხმელის გუსტავო აბელ ბალბოს განცხადებით, მისი თანაგუნდელი და თანამემამულე გაბრიელ ბატისტუტა ალბათ „მანჩესტერ იუნაიტედში“ არ გადავა და „ფიორენტინაში“ დარჩება. „რამდენადაც ვიცი, ბატიგოლს „ფიორენტინაში“ დარჩენა სურდა, თუ ამ ბოლო დღეებში აზრი არ შეიცვალა“ — განუცხადა ბალბომ იტალიურ „გაძეტა დელლო სპორტს“. თავად ფლორენციული კლუბის მდივანი ჯანკარლო ანტონიონი ამბობს, რომ ბატისტუტა ვერსად გადავა, სანამ „ფიორენტინას“ პრეზიდენტის, ვიტორიო ჩეკი გორის თანხმობას არ მიიღებს. „მანჩესტერ იუნაიტედი“ დიდი გუნდია და ბატისტუტას გადაბირება რომ მოისურვა, სულაც არ გამკვირვებია. თუმცა არგენტინელის გუნდიდან წასვლა მხოლოდ ჩეკი გორის გადასაწყვეტია“. შეგახსენებთ, რომ ბატისტუტა პირადად ჩეკი გორიმ 1991 წელს არგენტინული „ბოკა ხუნიორსიდან“ შეიძინა. თავდამსხმელი მას შემდეგ „ფიორენტინაში“ თამაშობს და ფლორენციელ ქომაგთა უსაყვარლესი ფეხბურთელია.**

შოტლანდიური „გლაზგო „რეინჯერსის“ ვეტერანი მცველი კოლინ ჰენდრი საბოლოო სამედიცინო შემოწმებას გაივლის და პრემიერლიგელი „ქოვენთრის“ რიგებში ჩაირიცხება. 34 წლის გამოცდილი მცველი „პაიფილდ როუდზე“ სეზონის ბოლომდე უნდა დარჩენილიყო, თუმც ბოლო მომენტში გადაწყდა, რომ კონტრაქტს 2002 წლის ზაფხულამდე გააფორმებს. „ჰენდრი გამოცდილი მოთამაშეა, პრემიერლიგაში უკვე ასპარეზობდა, მისი გადმობირება სეზონის ბოლომდე გვსურდა, თუმცა მერე გადავწყვიტეთ, მასთან უფრო ხანგრძლივად გვეთანამშრომლა“ — განაცხადა „ქოვენთრის“ თავმჯდომარემ, ბრაიან რიჩარდსონმა.

**ნიგერიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯო ბონფრერემ გუნდის წევრებს — ნვანკვო კანუსა და სელესტინ ბაბაიაროს არაპროფესიონალები უწოდა. აფრიკის თასზე ასპარეზობის შემდეგ, რომელიც 13 თებერვალს დასრულდა, ისინი თავიანთ კლუბებში დროზე არ დაბრუნდნენ. „მათი საქციელი აშკარად გაუმართლებელია. თავიანთ გუნდებს დათქმულ დროს არ დაუბრუნდნენ, ამით ნიგერიულ ფეხბურთს რეპუტაცია შეელახა“ — განაცხადა ბონფრერემ. ამჟამად ორივე ფეხბურთელი ინგლისშია. კანუს „არსენალი“ ამ უქმეებზე „საუთჰემპტონს“ უმასპინძლებს, ხოლო ბაბაიაროს „ჩელსი“ „სტემფორდ ბრიჯზე“ „უოტფორდს“ მიიღებს.**

იტალიური „ფიორენტინას“ თავკაცმა ჯოვანი ტრაპატონიმ სერია A-ს ბოლო ტურში „რომასთან“ 0:4 დამარცხების მიუხედავად, პოსტი შეინარჩუნა. მატჩის შემდეგ გუნდს საწვრთნელ ბაზაზე „ფიორენტინას“ პრეზიდენტი ვიტორიო ჩეკი გორი ეწვია და ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს შეხვდა. იტალიური პრესა ვარაუდობდა, რომ იგი ტრაპატონის დაითხოვდა, თუმცა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გამოცდილ მწვრთნელს ეს ჯერჯერობით არ ემუქრება. „ჯოვანის გათავისუფლება არც მიფიქრია, არაფერია იმაზე ადვილი, ყველაფერი მას გადააბრალო — ამბობს ჩეკი გორი და დასძენს — წარსულის გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ შუა სეზონში მწვრთნელის გათავისუფლება გუნდზე ცუდად იმოქმედებს. ამიტომ ტრაპატონი ივნისამდე დარჩება, მერე კი ყველაფერს გადავწყვეტთ“.

**ინგლისურმა „ნიუკასლმა“ პერუელ ნახევარმცველ ნოლბერტო სოლანოს ორი კვირის ხელფასი დაუქვითა. სოლანო თავისი ქვეყნის ნაკრებში კონკაკაფის ოქროს თასის გათამაშებისთვის მიიწვიეს, იქ კი ფეხბურთელი დაშავდა და ნატკენი ფეხი კიდევ უფრო გაუმიზეზდა. მომდევნო ტურში იგი „შეფილდ უენსდეის“ ვერ დაუპირისპირდება, თუმცა იმედოვნებენ, რომ „ჩელსისთან“ მატჩისთვის უკვე გამოჯანმრთელდება. სოლანოს ტრავმა ამერიკაში წასვლამდეც აწუხებდა, ამიტომ „ნიუკასლის“ ხელმძღვანელობამ ის გააფრთხილა, რომ არ ეთამაშა, მხოლოდ იქაურ ექიმებთან გასინჯულიყო, მაგრამ სოლანომ ეს მოთხოვნა არ შეასრულა. „სოლანოს დღეს ვესაუბრე, ის სადისციპლინო სასჯელით ორი კვირის ხელფასით დაჯარიმდება“ — განაცხადა „კაჭკაჭთა“ თავკაცმა ბობი რობსონმა.**

ესპანური ვიგოს „სელტას“ რუსმა ნახევარმცველმა ვალერი კარპინმა თქვა, რომ გუნდი მომდევნო სეზონის ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის საბრძოლველად მზად არ არის. „გულახდილად გეტყვით, „სელტა“ შარშანდელივით ძლიერი გუნდი აღარაა, ამიტომ ლიგის საგზურის მოპოვების შანსები ნაკლებია“ — განუცხადა ვალერიმ რუსეთის ერთ-ერთ სატელევიზიო არხს და დასძინა — სათადარიგო შემადგენლობაში მხოლოდ სამი ან ოთხი ფეხბურთელი გვყავს, რამდენიმე წამყვანი მოთამაშე ტრავმის გამო სეზონის დაწყებამდე დაგვაკლდა, გუნდიც დასუსტდა“. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგაში „სელტა“ ვერც შარშან გავიდა, ეს შესაძლებლობა ბოლო ტურში დაკარგა.

**გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილმა ვარსკვლავმა პაულ ბრაიტნერმა გერმანულ ფეხბურთში წარმოქმნილი კრიზისის გამო ფედერაცია გააკრიტიკა. „მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ორი წელია, მხოლოდ ლაპარაკობენ, საქმე კი არ კეთდება. იმის გახსენება, რომ სამგზის მსოფლიოს ჩემპიონები ვართ, არ კმარა — განაცხადა 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა და დასძინა — თუ ასე გაგრძელდა, ხუთ წელიწადში მხოლოდ მოლდოვას ნაკრებს თუ დავამარცხებთ, მეტს, ალბათ, ვერ შევძლებთ“. 1998 წლის მსოფლიოს პირველობაზე გერმანიის ნაკრების წარუმატებლობის შემდეგ მთავარი მწვრთნელის, ბერტი ფოგტსის შესაძლო შემცვლელად სწორედ ბრაიტნერს ასახელებდნენ. თუმცა ფეხბურთის ფედერაციამ ეს საპატიო და საპასუხისმგებლო პოსტი ერიხ რიბეკს არგუნა.**

ესპანური მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტ ხესუს ხილს გულმა უმტყუნა, რის გამოც სასწრაფოდ ქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს. შეგახსენებთ, რომ შარშან დეკემბერში ხილი ფინანსურ მაქინაციებში ამხილეს, თანამდებობიდან გადააყენეს და დააპატიმრეს კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეალი VS ბარსელონა

ესპანეთის ნაკრები პირინეელთა ეროვნული სიამაყეა და მისი ყოველი (თუნდაც ამხანაგური) მატჩი უდიდეს ინტერესს იწვევს. მით უმეტეს, ხოსე ანტონიო კამაჩოს მისვლის შემდეგ გუნდი საუკეთესო ფორმაშია და ევროპის ჩემპიონობას უმიზნებს. ბოლო შეხვედრა ნაკრებმა ოთხშაბათს ხორვატების წინააღმდეგ გამართა, თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბროთ. ამგვარი შესავალი კი იმიტომ დამჭირდა, რომ მეთქვა, ხორვატია-ესპანეთის მატჩი ჩრდილში მოექცა, ესპანელები ხომ მთელი კვირის განმავლობაში „რეალი“ — „ბარსელონას“ დიდი ბრძოლის მოლოდინით ცხოვრობდნენ...

ორი ესპანური გრანდის დაპირისპირების მნიშვნელობის განმარტება ფეხბურთის მოყვარულთათვის ზედმეტია. ამიტომ მხოლოდ მატჩის წინ გამოთქმულ რამდენიმე მოსაზრებას გაგაცნობთ და ორიოდე სიტყვა ტრავმირებულ-გამოჯანმრთელებულ ფეხბურთელებზეც ვთქვათ. მაშ ასე...

*„რეალი“ და „ბარსელონა“ მადრიდში 69-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. მასპინძლებმა 45-ჯერ იმარჯვეს, სტუმრებმა — 12-ჯერ.*

*„რეალმა“ „ბარსელონას“ ყველაზე დიდი ანგარიშით — 8:2 1934-35 წლების სეზონში მოუგო. 1973-74 წლების სეზონში კი კრუიფისდროინდელმა „ბარსელონამ“ „ბერნაბეუზე“ 5:0 იმარჯვა.*

*„რეალის“ უძვირესი მოთამაშეა 35 მილიონ დოლარად შეძენილი ნიკოლა ანელკა, ვისაც პრიმერა დივიზიონში ჯერ გოლი არ გაუტანია, „ბარსელონაში“ კი ასეთი რივალდოა. ის „დეპორტივოდან“ 26 მილიონად შეიძინეს და ახალ კლუბში 54 ბურთი შეაგდო.*

*„რეალი“ ესპანეთის ჩემპიონი 27-ჯერ იყო. „ბარსელონა“ კი ქვეყნის 16-გზის ჩემპიონია.*

*მიმდინარე სეზონში გუნდების პირველი მატჩი „კამპ ნოუზე“ 2:2 დასრულდა გოლები რაულმა — ორი, ლუის ენრიკემ და ლუიშ ფიგუმ შეაგდეს.*

## ლუის ვან გაალი:

„დღევანდელი მატჩი მთლიანად ესპანურ ფეხბურთში ერთ-ერთი უდიდესი იქნება. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თამაში ჯერ კიდევ „აიაქსში“ მუშაობისას, კარგად მაქვს დაცდილი (შეგახსენებთ, ჩემპიონთა ლიგის 1995-96 წლების გათამაშებაში ჰოლანდიელებმა „ბერნაბეუზე“ 2:0 მოიგეს). ჩემი გუნდები მადრიდში ყოველთვის გამარჯვებისთვის იბრძვიან, რაც კარგი თამაშის აუცილებელი პირობაა.

დღეს „ბარსელონა“ საუკეთესო ფორმაშია. გვყავს უმაღლესი კლასის ფეხბურთელები, რომელთაც ძალუძთ, ნებისმიერ მომენტში გადაწყვიტონ თამაშის ბედი. აქვე, გულახდილად ვიტყვი, ამ მატჩისთვის მომზადება გაგვიჭირდა. იმას ვგულისხმობ, რომ დღეს განსხვავებულ „რეალს“ ვიხილავთ. გეხსომებათ, როგორც თამაშობდნენ მადრიდელები ბოლო ერთი თვის განმავლობაში. ისინი იგებდნენ, თუმცა ნაკლებ შთამბეჭდავად. ვეჭვობ, დელ ბოსკემ „ბარსას“ წინააღმდეგ ის ახალბედა ფეხბურთელები ათამაშოს, რომლებსაც სასტარტო შემადგენლობაში აყენებდა. ვიცი, რომ რეალელი ვარსკვლავები აპირებენ მინდორზე დაბრუნებას. დავუმატებ იმასაც, რომ „რეალი“ — „ბარსელონას“ მატჩის გარშემო შექმნილი უაღრესად დაძაბული ატმოსფერო ფეხბურთელებს აიძულებს თავდაუზოგავად იბრძოლონ და მთელი თავისი ნიჭი ამოაფრქვიონ.

მე ყოველთვის ვამბობდი, ერთი მატჩი არასდროს არ არის გადამწყვეტი, თუმცა მადრიდულმა შეხვედრამ შესაძლოა, საპირისპირო დაამტკიცოს. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ საკუთარი ძალა და თამაშის სტილი, რათა კარგ შედეგს მივაღწიოთ. ეს კი შესაძლებლობას მოგვცემს, ერთხელ და სამუდამოდ დავივიწყოთ ბოლოდროინდელი წარუმატებლობები.

წლეულს „ბარსელონას“ დიდი მიზნები აქვს. ოთხ ტურნირზე — პრიმერა დივიზიონში, სამეფო თასზე, ჩემპიონთა ლიგაში და კატალონიის თასზე ვასპარეზობთ და ყველგან უპირველეს ფავორიტებად ვითვლებით.

ერთი სასიხარულო ამბავიც. ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც გვარდიოლა, ფრანკ დე ბური, სიმაო, სერხი და ნანო არიან, მწყობრში ჩადგნენ. ესეც ოპტიმიზმის ერთ-ერთი დამატებითი ფაქტორია“.

ლუის ვან გაალის მიერ ჩამოთვლილი ფეხბურთელების მინდორზე გამოსვლა ვისენტე დელ ბოსკეს დიდ თავსატეხს გაუჩენს. ჩვენ კი ერთი მათგანი გამოვარჩიოთ — კატალონიელთა კაპიტანი

## ხოსეპ გვარდიოლა სალა

რამდენიმე დღის წინ კატალონიის თასის ნახევარფინალში „ბარსელონა“ „ბალაგუერს“ შეხვდა. ლუის ვან გაალმა მეტოქის ძალა სათანადოდ შეაფასა და „ბალაგუერის“ წინააღმდეგ „ბარსას“ სარეზერვო გუნდი გაიყვანა. ამ თამაშის გახსენება კი იმიტომაა საჭირო, რომ ახალბედების მხარდამხარ 60 წუთი ხოსეპ გვარდიოლა სალამ, იგივე პეპ გვარდიოლამ ითამაშა.

კატალონიელთა უპირველესი გუნდის კაპიტანი 26 იანვარს დაშავდა — მუხლის ტრავმა მიიღო. იმ დღეს ესპანეთის ნაკრები პოლონეთს ეთამაშა. მაშინვე გაჩნდა კითხვა, მომჯობინდებოდა თუ არა გვარდიოლა ზუსტად ერთ თვეში, 26 თებერვლამდე. ექიმთა პასუხი ასეთი იყო — საეჭვოა. და აი, ვან გაალის საბედნიეროდ და დელ ბოსკეს საუბედუროდ, გვარდიოლა ჩვეულ ფორმაშია და ამბობს: „თავს ჩინებულად ვგრძნობ“, თუმცა მწვრთნელთან შეთანხმებით „ბალაგუერის“ წინააღმდეგ მატჩის სრულად ჩატარებას მოვერიდე“.

ასე რომ, „ბარსელონას“ ქომაგები კმაყოფილნი უნდა იყვნენ — ლუის ვან გაალი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უძლიერესი შემადგენლობის გაყვანას გეგმავს, თუმცა ჰოლანდიელი დილემის წინაშე დგას — ვინ დააყენოს ცენტრში, რონალდ დე ბური თუ გვარდიოლა?

კიდევ ერთი პიროვნების მოსაზრებასაც გავეცნოთ. როგორც წესი, ის მხოლოდ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს უკეთებს კომენტარს. „რეალი“ — „ბარსელონას“ მატჩიც ასეთია. აქვე ვთქვათ, რომ ეს კაცი ყველაზე დიდი „ბარსელონელია“ და მისი სახელია

## ხოსეპ ლუის ნუნიესი

„გუნდების დღევანდელი ძალების გათვალისწინებით, ფავორიტები ჩვენ ვართ — ამბობს „ბარსას“ პრეზიდენტი — ამიტომ „ბარსელონამ“ თუ მოიგო, ნუ გაიკვირვებთ. თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ თვითკმაყოფილება უნდა დაგვეუფლოს. რასაკვირველია, ამჟამად უკეთეს ფორმაში ვართ, მაგრამ „რეალთან“ ხუმრობა არ შეიძლება. მით უმეტეს, ისინი მასპინძლები არიან. ისიც კარგად გვესმის, რომ მოგების შემთხვევაში „ბარსელონა“ ჩემპიონობისთვის კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს, თუმცა ჩვენთვის ფრეც უკეთესი შედეგი იქნება, ვიდრე მადრიდელთათვის“.

„ბარსელონაზე“ საუბარი აქ შევწყვიტოთ და „რეალის“ ბანაკში გადავინაცვლოთ. თუკი ლუის ვან გაალმა თამაშის წინ დრო გამონახა და ბევრი ილაპარაკა, ვისენტე დელ ბოსკეს, პირიქით, არაფერი უთქვამს. ცადია, „რეალთან“ დაკავშირებით უპირველესად რაულის და ანელკას ამბავი გვაინტერესებს. შეგახსენებთ, ფრანგმა თავდამსხმელმა ადრე თქვა, ჩემი მკურნალობის საქმე კარგად მიდის და „ბარსელონას“ წინაალმდეგ უეჭველად ვითამაშებო. დღეს კი... არა, ეშმაკი კაცია

## ვისენტე დელ ბოსკე

როგორ იქნებოდა, მისთვის რაულის და ანელკას შესახებ არ ეკითხათ. ის კი იღიმება და პასუხს თავს არიდებს. ეს ერთ რამეს უნდა ნიშნავდეს — შეხვედრის დაწყებამდე ვერ შევიტყობთ, არიან თუ არა ეს ფორვარდები სასტარტო შემადგენლობაში. მწვრთნელი მხოლოდ იმას ამბობს, რომ მადრიდელთა გამარჯვება დაცვაში და ნახევარდაცვაში მათ კარგ თამაშზეა დამოკიდებული. დიდი დაპირისპირება იქნება — აქეთ რობერტო კარლოსი და მიგელ სალგადო, იქით რივალდო და ლუიშ ფიგუ. მოედნის ცენტრში კი გუტი რონალდ დე ბურს ან პეპ გვარდიოლას შეებრძოლება. აქვე ვთქვათ, რომ რაულის არყოფნაში ახალბედებმა — დევიდ მეკამ და როლანდო სარატემ თავი არ შეირცხვინეს, მაგრამ... აქ ისევ რაულის გაყვანა-არგაყვანის თემას მივადექით. ამ საკითხს ცოტაოდენი ნათელი იქნებ მადრიდელთა პრეზიდენტ ლორენცო სანსის სიტყვებმა მოჰფინოს. მან განაცხადა, რაულმა მითხრა, რომც მოვკვდე, „ბარსელონას“ წინააღმდეგ უნდა ვითამაშოო.

ზემოთ ვთქვი, ორი ესპანური ფეხბურთის გრანდის დაპირისპირების მნიშვნელობის განმარტება ზედმეტია-მეთქი, თუმც საინტერესო უნდა იყოს უცხოელის თვალით დანახული დიდი შეტაკება. „ასეთ აჟიოტაჟს ნამდვილად არ მოველოდი“ — ამბობს „რეალის“ ინგლისელი ნახევარმცველი

## სტივ მაკმანამანი

„გაოცებული ვარ. ცხადია, „რეალი“ — „ბარსას“ უშელავათო ბრძოლაზე ბევრი მსმენია, მაგრამ... თუნდაც ინგლისის ასოციაციის თასის ფინალი ავიღოთ. იქ გაზეთები მატჩის წინა დღესღა იწყებენ საუბარს. ესპანეთში კი... მთელი კვირაა, ხალხს სხვა სალაპარაკო თემა არ აქვს“. მაკმანამანი თავის თამაშსაც შეეხო. „ტრავმებმა ცოტა გამაწვალა. ახლა თავდაუზოგავად ვმუშაობ, რათა საუკეთესო ფორმა აღვიდგინო. თუმც ვფიქრობ, „ბარსელონას“ წინააღმდეგ თამაში შემიძლია. ვიმედოვნებ, მწვრთნელი მინდორზე გასვლის საშუალებას მომცემს“.

## დაბოლოს,

ზემოთ სანაკრებო მატჩი ვახსენე. დღევანდელი მეტოქეები — იერო „რეალიდან“ და ბარსელონელი ლუის ენრიკე და აბელარდო ხორვატთა წინააღმდეგ მხარდამხარ თამაშობდნენ. მათ გარდა რობერტო კარლოსი და რივალდო ბრაზილიის, ფიგუ პორტუგალიის, კლუივერტი, რაიციგერი, ბოგარდი, კოკუ, ზენდენი და რონალდ დე ბური ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებებში იყვნენ გამოძახებულნი.

აქვე ერთი საინტერესო ამბავიც ვთქვათ. ფრანც ბეკენბაუერს უწინასწარმეტყველებია, „რეალი“ 2:1 მოიგებსო. ვნახოთ...

**გიორგი დარჯანია**



„ბარსას“ მწვრთნელთა ბანაკი (მარცხნიდან): ხოსე მარი ბაკერო, ჟოზე მაურინიო და ლუის ვან გაალი



რეალელები დღევანდელი მატჩისთვის ემზადებიან



მადრიდელთა დამრიგებელი ვისენტე დელ ბოსკე

# „ბარსელონა“ ხშირად ლამაზად ვერ თამაშობს

*სეზონის დასაწყისში კარლეს პუიოლი, რომელთანაც ინტერვიუსაც დღეს გთავაზობთ, კინაღამ „მალაგაში“ გადავიდა, მაგრამ, ბოლოწამს, „ბარსელონა B“-ში დარჩენა ამჯობინა. როგორც გაირკვა, ეს იღბლიანი გადაწყვეტილება იყო — „ბარსას“ მწვრთნელმა, ლუის ვან გაალმა თანდათან პუიოლს მთავარ გუნდში მოუძებნა ადგილი. მართალია, ეს ერთ დღეში არ მომხდარა, მაგრამ ლეიდას მახლობლად, ლა პობლა დე სუგერში დაბადებულმა ფეხბურთელმა ჰოლანდიელი მწვრთნელის ნდობა დაიმსახურა. როგორც ჩანს, „ბარსას“ ყმაწვილთა სკოლის აღზრდილს ჩინებული კარიერის დასაწყისი უდგას.*


SPORT

კარლეს პუიოლი (წინა პლანზე)

**— კარლეს, სეზონის დასაწყისში თქვენს „მალაგაში“ გადასვლას წინ არაფერი უდგა. მაშინ თქვენთვის ვინმეს რომ ეთქვა ცოტა ხანში ვან გაალის ერთ-ერთი ფავორიტი გახდებითო, დაუჯერებდით?**

— მართალი რომ გითხრათ, არ დავუჯერებდი. მაშინ გუნდიდან ჩემი წასვლა უფრო რეალური ჩანდა, ვიდრე დარჩენა. და განა მარტო „მალაგა“ მეპატიჟებოდა? „რასინგი“ და „სევილიაც“ იყვნენ დაინტერესებული, მაგრამ „ბარსელონა B“-ში დარჩენა რომ გადავწყვიტე შეფმა ყურადღება მომაქცია და პირველ გუნდში გადასვლის შანსი მომცა. მე კი მაინც ვერ დავიჯერებდი, რომ ძირითადში ამდენი თამაშის ჩატარება მომიწევდა. ვან გაალმა მითხრა, რომ ასარჩევად ბევრი ფეხბურთელი ჰყავდა, მაგრამ თუ მუშაობას არ დავიზარებდი ძირითადში მოხვედრის შანსი მექნებოდა. ეს სიტყვები რომ მოვისმინე, ყველა ვარჯიშს განსაკუთრებული მონდომებით მივუდექი და როგორც ხედავთ, დღეს ჩემი საქმეები კარგად მიდის.

**— თავს უკვე ვან გაალის ბანაკის შეუცვლელ წევრად აღიქვამთ?**

— არა, ნამდვილად არა. „ბარსელონაში“ ჩემზე გაცილებით მნიშვნელოვანი ფეხბურთელები თამაშობენ. მე ძირითად გუნდში ახალი მისული გახლავართ და საკუთარ როლსა და შესაძლებლობათა ზღვარზე ჯერ მკაფიო წარმოდგენა არ მაქვს. ამ ეტაპზე, რასაც მეუბნებიან იმის ზუსტად შესრულებას ვცდილობ.

**— გვერწმუნეთ, დღეს თქვენ ძირითად გუნდში მართლაც კარგად თამაშობთ. იქნებ თავს სეზონის აღმოჩენად მიიჩნევთ?**

— არ გამოვრიცხავ, რომ ასეც იყოს. ამდენ თამაშს თუ გავწვდებოდი, არავინ ელოდა. უფრო სწორად, თავად არ მეგონა. და მაინც, ჩემს გარდა უამრავი ფეხბურთელია მე კი ვიმედოვნებ, რომ მათთან ერთად საერთო საქმეში მცირე წვლილი მიმიძღვის.

**— რას ნიშნავს „რეალის“ და „ბარსელონას“ მაგვარ გუნდებთან თამაში?**

— ჩინებულია, ახდენილი ოცნებაა. ყოველთვის მსურდა პრიმერა დივიზიონის შეხვედრებში „ბარსას“ მაისურით მონაწილეობა და სირთულეების მიუხედავად ამას მივაღწიე.

**— პირველ გუნდში მოხვედრამ თუ შეგცვალათ და როგორ?**

— მგონი, დიდად არ შევუცვლივარ. თუმცა, შესაძლოა ხალხმა უფრო გამიცნო, რადგან ქუჩაში ხშირად მაჩერებენ, მაგრამ მე ძველებური პუიოლი ვარ.

**— ალბათ, თქვენი და „ბარსას“ სკოლის სხვა აღზრდილების კერპი პეპ გვარდიოლაა.**

— დიახ, ის დიდი ფეხბურთელი და დიდი პიროვნებაა. როდესაც ახალგაზრდებს დახმარება გვჭირდება, არასდროს იზარებს. სანამ პირადად გავიცნობდი, ვიცოდი, რომ დიდებული მოთამაშე იყო, მაგრამ მის ადამიანურ თვისებებზე წარმოდგენა არ მქონდა. გვარდიოლას ჩვენთან ცხვირი არასდროს აუბზუებია.

**— „ბარსას“ მომავალი, ალბათ, არნაუზე, პუიოლზე, გაბრიზე, ხავიზე, ნანდოზე და სხვა ახალგაზრდებზე ჰკიდია.**

— იმედი მაქვს, რომ ასეა. ამ ეტაპზე ასე ჩანს და იქნებ მომავალშიც ასე იყოს.

**— ვან გაალი ახალგაზრდობისადმი ინტერესს იჩენს?**

— დიახ, მან ეს აშკარად გამოხატა. ბევრ ჩვენგანს დებიუტი მის ხელში ჰქონდა. ვან გაალი უამრავ შესაძლებლობას გვაძლევს.

**— ამბობენ, რომ კარლეს პუიოლი ახალი ალბერტ ფერერია.**

— ასე, ალბათ, ფუნქციის გამო ამბობენ, თორემ ფერერის დონემდე ჯერ ბევრი მაკლია. ის დიდი ფეხბურთელია რომლისგანაც ბევრი უნდა ვისწავლო. იმედი მაქვს, მეც მივაღწევ იმდენს, რამდენსაც მან მიაღწია.

**— „ბარსელონა“ ჩემპიონთა ლიგაში ჩინებულად თამაშობს, მაგრამ სრული სიმძლავრით ძრავს თითქოს მაინც ვერ ამუშავებს. რატომ?**

— ძნელი სათქმელია. მატჩები სხვადასხვანაირია. ვგონებ, პრიმერადივიზიონში „ალავესთან“ და „ბეტისთან“ ჩავარდნების გარდა ცუდად არ გვითამაშია. ხშირად, იქნებ, განსაკუთრებით ლამაზ ფეხბურთს ვერც ვთამაშობთ, მაგრამ ვიმარჯვებთ. ვფიქრობ, რაღაც რაღაცეების მოგება შეგვიძლია.

**— „ბარსას“ მოტივაცია ხომ არ აკლია? რა სისუსტეები აქვს გუნდს?**

— არა მგონია დამატებითი მოტივაცია გვჭირდებოდეს. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ ძალიან ხშირად გვიწევს თამაში და მოწინააღმდეგეებიც არნახულად ძლიერები არიან. იქნებ, სწორედ ამიტომაც არის გამარჯვება ასე ძნელი. „ბარსელონას“ წინააღმდეგ მეტოქეები ჩაკეტილ ფეხბურთს ამჯობინებენ და მათი დაცვის გარღვევა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

**— გარკვეული პრობლემები აქვს მადრიდის „რეალსაც“. ეს რაიმეთი გეხმარებათ?**

— პირადად ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ კონკრეტულ მოწინააღმდეგეებზე უნდა ვიფიქროთ და არა სხვა გუნდებზე. თუ „რეალზე“ ან „დეპორტივოზე“ დავიწყებთ ფიქრს, ჩემპიონობა ერთიორად გაგვიძნელდება. ყველაფერზე მნიშვნელოვანი ქულების დაგროვება გახლავთ და მაშინ სხვებზე ღელვა აღარ მოგვიწევს. თუმცა, ბუნებრივია, ძალიან კარგი იქნება თუ „რეალი“ და „დეპორტივო“ ხშირად დამარცხდებიან. მწამს, სეზონის ბოლოს ცხრილის სათავეში „ბარსა“ იქნება.

**— და ბოლოს, თქვენი ვარცხნილობის შესახებ. მაგ გაწეწილი თმით მეტოქეებს აშინებთ?**

— არა, ეს ჩემი მუდმივი ვარცხნილობაა. თუმცა ისიც მართალია, რომ გაწეწილ კაცს მოწინააღმდეგე ხშირად გლადიატორად აღიქვამს. კიდევ, ასეთივე შთაბეჭდილებას გადახოტრილები ტოვებენ.

თარგმნა პაპუნა ძიდიამ

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

***— დამტკიცდა, რომ „ბარსა“ მსოფლიოს საუკეთესო გუნდია.***

— რით დამტკიცდა?

***— რაღა რით? დუბლებით მოუგო გერმანიის ნაკრებს.***

— ესე იგი, ჰოლანდიის ნაკრები „ბარსელონას“ დუბლებია?

***— ლუის ენრიკე აკლდათ?***

— დიახ.

***— ფიგუ და გვარდიოლა?***

— კი.

***— რივალდო?***

— აკლდა.

***— მერე დუბლები არ გამოდის?***

— ახლა დავფიქრდი, არცთუ ბევრი ჰოლანდიელი ყოფილა „ბარსელონაში“.

***— ტყუილად ამბობდი, ბარსელონას „აიაქსიო“, არა?***

— ხო, მაგრამ „ბარსა“ მაინც არ არის მსოფლიოს საუკეთესო გუნდი.

***— გერმანიის ნაკრებს უგებს დუბლებით და მეტი რა ქნას?***

— ეგ რა გერმანიის ნაკრებია? ვეტერანთა კლუბია, ნაკრები კი არა.

***— ერთი მათეუსი... სხვა ვინ?***

— ეჰ, ჩამოთვლაც მეზარება. სულ მეგონა, შუსტერი და რუმენიგე გამოვლენ-მეთქი.

***— ამით რისი თქმა გინდა?***

— რომ „რეალი“ არ არის ვეტერანთა კლუბი.

***— სამაგიეროდ „რეალს“ ვიღაც უცნობი ტიპები გამოყავს. ეგენ არც არიან ფეხბურთელები...***

— სარატე არ არის ფეხბურთელი?

***— „ბარსელონასთვის“ არა აქვს მნიშვნელობა, როგორი ფეხბურთელია სარატე.***

— აბა რასა აქვს მნიშვნელობა?

***— „ბარსას“ შეუძლია ხუთით ნოლი მოუგოს „რეალს“!***

— „ბერნაბეუზე“?

***— „ბერნაბეუა“, კონცლაგერი ხომ არა?***

— „ბარსასთვის“ კონცლაგერზე უარესია.

***— რატომ?***

— იმიტომ რომ გერმანიის ვეტერანთა ნაკრებს კი არ ეთამაშება, არამედ „რეალს“.

***— ეგ რომელი „რეალია“?***

— რომელი და მადრიდის.

***— ჰოოო. მე „რეალ სოსიედადი“ მეგონა.***

— ბოდიში მოიხადე დიადი კლუბის წინაშე.

***— „ბარსაც“ დიადი კლუბია.***

— კი, მაგრამ ფორმა აქვს მუქი ფერის.

***— მერე, რა?***

— არც არაფერი. „რეალს“ თეთრი აქვს და უფრო ლამაზია.

***— და გაზა?***

— გაზა რაღა შუაშია?

***— გაზას „ბარსა“ უფრო მოსწონს.***

— საიდან იცი?

***— შეუძლებელია, გაზას „რეალი“ მოსწონდეს.***

— შენც ნახე რაღა ჭკვიანი.

***— რა ვიცი, შევეჭამე ამ გაზათი და...***

— ჰო, მაგრამ, გაზამ რა იცის ესპანური ფეხბურთი?

# ოლიმპიადა ხომ ოლიმპიადაა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი, ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი და რამდენიმე წამყვანი ევროპული კლუბის წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდებიან და მიმდინარე წელს სიდნეიში გასამართ ოლიმპიურ თამაშებზე საფეხბურთო ტურნირის ჩატარების ავ-კარგზე იმსჯელებენ.

სამარანჩმა ბლატერი ლოზანაში მიიწვია, სადაც 1 მარტს საგანგებო სხდომა შედგება.

კომიტეტი ბოლო ხანს ოლიმპიურ თამაშებზე საფეხბურთო ტურნირის პოპულარიზაციას ცდილობს. ამ შეჯიბრზე ქვეყნების 23-წლამდელთა ასაკის ნაკრებები ასპარეზობენ. 1984 წლიდან ხსენებული ტურნირისადმი ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა. 1992 წელს შეჯიბრი ერთობ სოლიდური გახდა, ხოლო უკანასკნელი, 1996 წლის ოლიმპიადის ფინალურმა მატჩმა ნიგერიისა და არგენტინის ნაკრებებს შორის (ნიგერიამ 3:2 გაიმარჯვა) დიდი ინტერესი გამოიწვია. მატჩს მრავალი გულშემატკივარი დაესწრო, ხოლო ტელეეკრანებიდან მილიონობით ადამიანმა ადევნა თვალყური. ცნობილია, რომ 23-წლამდელთა ნაკრებებში სამი ასაკგადაცილებული ფეხბურთელის ასპარეზობაა ნებადართული. ოლიმპიური კომიტეტი კი ამ რიცხვის შვიდამდე გაზრდას მოითხოვს.

ეს ფაქტი გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ოლიმპიადა სექტემბერში ტარდება, ფეხბურთელები კი სხვადასხვა ევროპულ კლუბებში არიან მიმოფანტულნი. სექტემბერში წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში ახალი სეზონი იწყება. ამიტომ მოთამაშეთათვის ნაკრებში ასპარეზობა ძალიან რთულია. ბევრი კლუბი ამგვარ დათმობაზე ალბათ არ წავა და მათ არ გაათავისუფლებს, რაც უდავოდ შექმნის პრობლემებს.



ზეპ ბლატერი (მარცხნივ) და ხუან ანტონიო სამარანჩი

უეფას გენერალურმა მდივანმა გერხარდ აიგნერმა განაცხადა, ოლიმპიადა უდიდესი ტურნირია, მაგრამ კლუბების ხელმძღვანელთა უმრავლესობას ფეხბურთელების გათავისუფლება ადარდებსო.

რამდენიმე გუნდმა უეფას ოფიციალური თხოვნით მიმართა, ოლიმპიადის მიმდინარეობის დროს საფეხბურთო ჩემპიონატებში არდადეგები გამოცხადდეს. ამ დათმობაზე კი თავად უეფა არ წავიდა.

მოკლედ, 1 მარტს ლოზანაში მრავალი საჭირბოროტო საკითხი გადაწყდება. ალბათ იმაზეც იზრუნებენ, რომ საერთაშორისო კალენდარი ჰარმონიული გახდეს.

ნიკა შუგლაძე

# ბექემის მსურველთა რიცხვს ინტერი შეემატა

აი, რა იცის სამსახურის გაცდენამ. საკმარისი იყო, დევიდ ბექემს „მანჩესტერ იუნაიტედის" ერთი ვარჯიში გამოეტოვებინა, რომ სერ ალექს ფერგიუსონს იმნამსვე დაესაჯა — „ლიდს იუნაიტედის" წინააღმდეგ უპრინციპულეს მატჩში ბექჰი განაცხადში ვერ მოხვდა და „წითელი ეშმაკუნების" თამაშს ტრიბუნებიდან ადევნა თვალი. პარასკევს ვარჯიშზე დევიდის გამოუცხადებლობის მიზეზი თითქოს საპატიო იყო. ხუთშაბათს მის პატარა ვაჟიშვილს, ბრუკლინს ოდნავ სიცხემ აუწია და მზრუნველმა მამამ მთელი ღამე თეთრად გაათია ჩვილის სასთუმალთან. სად იყო ამ დროს ბრუკლინის დედა, იგივე დევიდის მეუღლე, მისის ვიქტორია ადამსი-ბექემისა? მანაც ღამე გატეხა? ნურას უკაცრავად, ლონდონში მაღალი მოდის ჩვენებაზე გახლდათ, ეტყობა, თავისი გარდერობისთვის ახალ კაბას ირჩევდა...

სერ ალექსი გამოცდილი კაცია, ასეთებს ვერ გამოაპარებ. ეტყობა, იგრძნო, ყველაფერი წესრიგში რომ ვერ იყო და სამსახურში გამოცხადებული დევიდი ვარჯიშიდან გააძევა. უფრო მეტიც, „ლიდსთან" არ ათამაშა. ნუთუ უკვე კონფლიქტზე შეიძლება საუბარი?

ისე, დევიდი კარგი ფეხბურთელია, მისთანებს დღეს სანთლით ეძებენ, არც ერთი გრანდი არ იტყოდა უარს ბექემის შეძენაზე. „იუვენტუსი", „ლაციო", „ფიორენტინა", „ბარსელონა", „არსენალი", „ბაიერნი" — ამ კლუბებს სხვადასხვა დროს გაკვრით მაინც უხსენებიათ სიტყვა „ბექემი" და მისი შეძენის სურვილი გამოუთქვამთ.

ევროპულ გრანდთა არმიას არც მილანის „ინტერი" გამოაკლდა, რომელმაც გუშინ ბექემის გადაბირების სურვილი ოფიციალურად დაადასტურა. თუმცა მაშინვე უარყო მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს „მანჩესტერ იუნაიტედს" რაიმე შეთავაზება უკვე გაუგზავნა.

„სხვა დიდ ევროპულ კლუბთა მსგავსად, ბექემით მართლაც დავინტერესდით, თუმც ჯერჯერობით არც „მანჩესტერ იუნაიტედთან", არც თავად ბექემთან არ გვისაუბრია, შესაბამისად, თანხაც არავისთვის შეგვითავაზებია" — განაცხადა „ინტერის" პრესატაშემ.

იტალიურმა „გაძეტა დელო სპორტმა"კი პარასკევს გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს მილანურმა კლუბმა ინგლისის ჩემპიონს 54 მილიონი დოლარი შეაძლია.



დევიდ ბექემი

# ბრწყინვალეა, საუცხოოა

ფიფას ინსპექტორთა გუნდი ამ დღეებში 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის ერთ-ერთ კანდიდატს, მაროკოს ესტუმრა.

„ჩვენ მაროკოელთა შემოთავაზებული პირობები შევამოწმეთ და დავასკვენით, რომ შესანიშნავია. მათ დიდი, ბრწყინვალე სამუშაო ჩაუტარებიათ" — განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ ალან როტენბერგმა.

შეგახსენებთ, რომ მაროკოს გარდა იმავე მიზნისთვის ინგლისი, გერმანია, ბრაზილია და სამხრეთ აფრიკაც იბრძვიან.

„ჩვენ კასაბლანკაში ყველაფრის სანახავად და მოსასმენად ჩამოვედით, შევხვდით ოფიციალურ პირებს და ვნახეთ, რომ ისინი ძალიან მონდომებულნი არიან. დიდი ენთუზიაზმი აქვს ყველას რიგითი მოქალაქით დაწყებული სამეფო ოჯახით დასრულებული" — დასძინა როტენბერგმა.

ინსპექტორებმა იხილეს კასაბლანკას გუნდების „რაჯასა" და „ვიდადის" თამაში, რომელიც მუჰამედ V-ის სტადიონზე გაიმართა. ალსანიშნავია, რომ ეს სტადიონი ამასწინათ შეაკეთეს და რემონტი 3,4 მილიონი დოლარი დაჯდა.

მაროკოში ვიზიტის დღეებში ფიფას კომისია სხვადასხვა ქალაქის, მათი სტადიონების, ტელეკომუნიკაციათა, სასტუმროების და უსაფრთხოების პირობების შემოწმებას აპირებს.

„ფიფას მოთხოვნები ძალიან მნიშვნელოვანია, რის გამოც ამ ორგანიზაციასთან მუდმივ კონტაქტში გახლდით. ჩვენი მოქმედებანი მასთან იყო შეთანხმებული" — განაცხადა მაროკოელთა კამპანიის თამჯდომარის მოადგილემ, დრის ბენიმამ.

შეგახსენებთ იმასაც, რომ მაროკო მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის 1994 და 1998 წლებშიც იბრძოდა.

„ახლა მაროკომ დიდი ნაბიჯი გადადგა. ფიფას წარმომადგენლები ნახავენ, რომ ქვეყანა წინა წლებთან შედარებით შეიცვალა" — ეს სიტყვები კი სპორტის მინისტრმა აჰმედ მუსაუმ წარმოსთქვა.

მისივე დასტურით ქვეყანამ ინფრასტრუქტურის მოსაწყობად ჯამში 560 მილიონი დოლარი დახარჯა.

REUTERS კასაბლანკადან



ფიფას დელეგაცია მაროკოში (მარცხნიდან): ავსტრალიელი რიჩარდ რიდი, ჩინელი ჟანგ ჟილონგი, კანადელი უოლტერ სიბერი, მაროკოელი დრის ბენიჰმა, ამერიკელი ალან როტენბერგი, არაბი იუსუფ სერკალი და შვეიცარიელი ურს კნოიბიულერი

## კონკაკაფის ოქროს თასი

ნახევარფინალი

**კოლუმბია 2:1 პერუ**

1:0 სალასარი (39), 2:0 ბონილია (53), 2:1 რობერტო პალასიოსი (75)

**კანადა 1:0 ტრინიდადი**

1:0 უოტსონი (68)

*ფინალში 27 თებერვალს ერთმანეთს კოლუმბია და კანადა შეხვდებიან*

## ბრაზილია

სან პაულუს ტურნირი

ნახევარფინალი. II მატჩები

**ვასკუ და გამა 2:1 სან პაულუ (3:0)**

**პალმეირასი 3:1 ბოტაფოგო (0:0)**

*ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „ვასკუ და გამა" და „პალმეირასი"*

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

**კაენი 1:2 სოშო**

## ესპანეთი

თასის ნახევარფინალის წილისყრა

რეალი — ესპანიოლი; ატლეტიკო — ბარსელონა

*პირველი მატჩები გაიმართება 12 აპრილს, საპასუხოები — 26 აპრილს*

*ფინალი 27 მაისს, მადრიდში*

## ლიბერტადორესის თასი

VIII ჯგუფი. I ტური

**ბელა ვისტა (ურუგვაი) 1:1 კობრელოა (ჩილე)**

0:1 ვივარი (59), 1:1 დიეგო ემანუელი (87)

## აზიის ჩემპიონთა თასი

აღმოსავლეთის ჯგუფი

I ტური

**კაშიმა ანთლერსი (იაპონია) 1:1 სავონ ბლუვინგსი (კორეა)**

0:1 კუნ ჰა (45), 1:1 ოგასავარა (81)

**ჯუბილო ივატა (იაპონია) 2:0 სინტანა (ტაილანდი)**

1:0, 2:0 რადჩენკო (74, 90)

*II ტური. 27.02. ჯუბილო ივატა — კაშიმა ანთლერსი; სავონ ბლუვინგსი — სინტანა*

*აღმოსავლეთის ჯგუფის ორი საუკეთესო ნახევარფინალში შეხვდებიან საუდეთის „ალ ჰილალს" და ირანის „ფირუზს".*

გიო ახვლედიანის

სვეტი

# კლასიკოსები

აი, ოთხშაბათს გარდაიცვალა სერ სტენლი მეტიუზი. წარსული დროის კიდევ ერთი ჯადოქარი გამოაკლდა დღევანდელ ქვეყანას. ძველ ვარსკვლავთა იმქვეყნიურ ლეგიონს ერთი რაინდი შეემატა. ჯვარი სწერიათ და ნახევარი საუკუნის წინანდელი ვარსკვლავთაგან კვლავაც ბევრია ჯანზე: ალფრედო დი სტეფანო, დიდი, ფერენც პუშკაში...

ყოველ შაბათ-კვირას, როცა ევროპის ქვეყნებში შიდა ჩემპიონატები იმართება და ჩვენ ტელევიზორში ვუყურებთ დღევანდელ ვარსკვლავებს, არ იქნება ფიქრმა არ წაგიღოს და იმ ძველთა თამაშზე არ დაგაფიქროს.

როგორები იყვნენ ისინი?

შავ-თეთრი კადრები, თამაშების ნაკუწები, თუ მთლიანი ჩანაწერები გვარწმუნებენ — ისინი დიდებული ფეხბურთელები იყვნენ. არა მხოლოდ დიდებული, მეტიც... დღევანდელ გულშემატკივართა უმრავლესობა ურწმუნოდაა განწყობილი წარსულის ვარსკვლავთა მიმართ. შეხედავენ თამაშს და იტყვიან, რა ტემპია, რამხელა სივრცეებია მინდორზეო და ა.შ. მათი მთავარი შეკითხვა კი ასეთია: რას გააწყობდნენ დღევანდელ მინდორზე ხენტო და ტომი ტეილორი? ათ წუთში სიქა გაძვრებოდათო, მცველები „პატკატებით" და მუჯლუგუნებით დაჩაგრავდნენო და კიდევ ათასი რამ.

მაგრამ დღევანდელი თვალით იმ თამაშის ყურება ხომ სისულელეა?

დაგესვა დღევანდელ ტრენაჟორებზე, დაგეწესებინა კუპერი და დი ლივიო თუ აბარებს, ადემირი და სკიაფინო ვერ ჩააბარებდნენ?

იმ წარსულის ვარსკვლავებმა მოიგონეს თითქმის ყველა ილეთი, სტილი, ხერხი, რითაც ასე მდიდარია დღევანდელი ფეხბურთელის ალქაურვილობა. ჩვენებურ ქომაგთა შორის ახლახან გამოგონილი სიტყვა „შეუსრულა", ეგებ სწორედ იმას გულისხმობდეს, რომ თავდამსხმელი ზუსტად და გემრიელადასრულებს კლასიკურ ილეთს. კლასიკური ილეთები კი ფეხბურთში იგივეა, რაც ლიტერატურაში ტოლსტოი და დიკენსი. როცა დევიდ ბექემი ჰკიდებს მარჯვენა ფრთიდან, ის უახლოვდება მეტიუზის კლასიკურ სიზუსტეს და ოსტატობას. როცა რობერტო კარლოსი ახერხებს და არანორმალური ტრაექტორიით გზავნის ბურთს კარში, ეს სხვა არაფერია თუ არა მიახლოვება დიდის კლასიკურ ხმელ ფოთოლთან. როცა ბატისტუტა ახერხებს და საჯარიმოში შეჭრილი ახლო კუთხის ცხრიანში ურტყამს ბურთს, ეს პუშკაშის კლასიკაა...

ასეთ დროს საერთო ფიზიკურ მომზადებაზე ლაპარაკი უცნაურია, რადგან ფეხბურთი ყოველი თამაშის კლასიკურ ილეთებთან მიახლოების ცდა და ამ ილეთთა ვარიანტების მოხერხებაა.

რა თქმა უნდა, არიან გენიოსებიც...

მაგრამ ისინი ცოტანი არიან.

# პროფესია — მოწუწუნე



ევგენი კაფელნიკოვი

**ლონდონი. ინგლისი. AXA CUP. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 800 ათასი $**

საფირმო, ხაზს გაყოლებული ბექჰენდების შემდეგ ევგენი კაფელნიკოვს ყველაზე უკეთ წუწუნი ეხერხება. ხუთშაბათს წარბშეკრული სოჭელის მრისხანება ლონდონის ტურნირის ორგანიზატორებს, საფარსა და ჩოგბურთელთათვის გამოყოფილ სასტუმროს დაატყდა თავს.

„კორტი წესიერად არ არის დაგებული. საფარი საშინელია, ბურთი ხან მაღალზე ხტება, ხან დაბალზე და ამას წინათ კინაღამ კოჭიც მოვიტეხე, რადგან იატაკი ფეხქვეშ მოძრაობს. აქ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმს ვერ ვაჩვენებთ. ყოველი თამაშის შემდეგ ზურგი, კოჭი და ლამის სხეულის ყველა ნაწილი მტკივა, ერთ საათს ექიმთან ვატარებ“ — ჩიოდა რუსი მეორე წრის შეხვედრის დასრულების შემდეგ.

კაფელნიკოვის პრეტენზიები იქნებ უსაფუძვლო სულაც არ იყოს. ტურნირი სარკოფაგის მაგვარ „ლონდონ არენაზე“ წლეულს გადაბარგდა ტემზის პირას მდებარე კარვიდან, კორტი კი გასულ ხუთშაბათს დააგეს ყინულის ზევიდან სახელდახელოდ მოწყობილ ხის კონსტრუქციაზე. ოთხშაბათს საფარი მასპინძელმა გრეგ რუზეცკიმაც გააკრიტიკა, რომელიც ერთ მომენტში მეტად უხერხულად დაეცა.

„რაიმე უნდა ილონონ, რათა ვინმე სერიოზულად არ დაშავდეს. ხომ შეიძლება, ფეხი მოვიტეხო. თანაც მარტო მე არ ვფიქრობ ასე. რა თქმა უნდა, თვითონ დარბაზი ძველ კარავს კი სჯობს, მაგრამ მთლიანობაში მე მაინც ტემზის პირას თამაში მერჩივნა, ცივილიზებულ უბანში მაინც ვიყავით“ — განაცხადა რუსმა, რომელსაც ლონდონის მუშათა დოკლენდსის უბანში ყოფნაც არ ეჭაშნიკა.

ბოლოს კი კაფელნიკოვმა ჩოგბურთელთა ოთხვარსკვლავიან სასტუმროს უკბინა: „სასტუმრო საშინელია, იქ ცხოვრება — თითქმის შეუძლებელი. ვფიქრობ, ყველა ყველა ჩემი კოლეგა დიდი სიამოვნებით დაბრუნდებოდა ძველ ადგილზე“.

ტურნირის ორგანიზატორმა პატრიციო ეპიმ ვინძლო გვარიანადაც აგინა გულში რუსს, მაგრამ ჟურნალისტების თვალწინ ზრდილობის ნიღაბი ჩამოიფარა: „კორტს რაც შეეხება, დღეს ბოლო მატჩის შემდეგ აუცილებლად შევამოწმებთ და თუ ყველაფერი რიგზე არ იქნა, გამოვასწორებთ. შეიძლება კაფელნიკოვს მადლობაც კი ვუთხრათ, შეცდომაზე რომ მიგვითითა“.

სასტუმროს კი წლეულს აღარაფერი ეშველება: „ეს საჩოთირო პრობლემაა. შარშან ჩოგბურთელები წუწუნებდნენ, კორტიდან ძალიან შორს არისო, ახლა კი სულ რამდენიმე წუთის ფეხით სავალია. როდესაც ამდენ მოთამაშეს, ჟურნალისტსა და მომსახურე პერსონალს ერთად უნდა მიუჩინო ადგილი, დიდი არჩევანი არ გვაქვს, თანაც ახლომახლო მხოლოდ ეს სასტუმრო იყო. ისე, თავად კაფელნიკოვს ერთ-ერთი საუკეთესო ოთახი გამოვუყავით.“

ამ აურზაურის ატეხვამდე კი მერვედფინალში სოჭელმა ზედმეტი გაწამაწიის გარეშე აჯობა თავის ყოფილ მეწყვილეს, დანიელ ვაცეკს — 6:2, 7:5: „ჩვენ ისე კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, რომ გამორიცხულია მეტოქეს რაიმე სიურპრიზი შესთავაზო. დღეს მე უფრო სტაბილურად ვითამაშე და ამიტომ გავიმარჯვე“.

მოგვიანებით თავის ახალ მეწყვილესთან, ტიმ ჰენმანთან ერთად ჟენია მეოთხედფინალში დამარცხდა და ინგლისელიც დაგესლა: „ტიმს შევთავაზე, უიმბლდონსა და სხვა დიდი სლემის ტურნირებზეც ერთად ვითამაშოთ-მეთქი, მაგრამ უარი მტკიცა, მსურს, ერთეულებზე გავამახვილო ყურადღებაო. არასოდეს მიგვრძვნია, რომ წყვილებში თამაში ერთეულებისას უშლის ხელს, ეს ვარჯიშის და ფორმის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა“.

კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი მერვედფინალში 18 წლის როჯერ ფედერერმა. თავის დროზე უიმბლდონის იუნიორთა ფინალში ჩვენებური ირაკლი ლაბაძის მძლეველმა შვეიცარიელმა მსოფლიოს მეოთხე ჩოგნის, ნიკოლას კიფერის გზას ამჯერად ხორვატი გორან ივანიშევიჩი გაუყენა.

ჩოგბურთში პროგნოზების კეთება უმადური საქმეა (თუ პიტ სამპრასსა და უიმბლდონს გამოვრიცხავთ), მაგრამ მაინც სასწაული უნდა მოხდეს, რომ გარეგნობით ღმერთისგან დაჩაგრულმა, თუმცა უდავოდ ნიჭიერმა შვეიცარიელმა უკვე გაისად საუკეთესოთა ათეულში არ შეაღწიოს, ადრე თუ გვიან კი მსოფლიოს პირველ ჩოგნობასა და დიდი სლემის ტიტულებს არ გამჰკრას ხელი.

ამ მცირე ასაკში ფედერერს უკვე შესანიშნავი მიღება-მოწოდება, მკვლელი ფორჰენდი და ბადესთან თამაშის უზადო ტექნიკა გააჩნია, მაგრამ რაც კიდევ უფრო დასაფასებელია, საზრიანობით დიდი ხნის ვეტერანებსაც არ ჩამოუვარდება და კორტზე ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებებს იღებს.

საპენსიოდ გამზადებული ივანიშევიჩი ჯერაც ნებისმიერი ჩოგბურთელისთვის უხერხული მეტოქეა, მაგრამ შვეიცარიელთან შეხვედრაში იგი სრულიად უმწეოდ გამოიყურებოდა. ფედერერმა ყველანაირად დაჩაგრა პოპულარული ხორვატი (მოწოდების ჩათვლით), მატჩის განმავლობაში უამრავი ლამაზი გათამაშება მოიგო და ბოლოსწინა ქულაზე ისეთი შემოვლებული დაარტყა, ტრიბუნებზე მოკალათებული მცირერიცხოვანი მაყურებლების უმეტესობა ფეხზე წამოაყენა.

„რა მეთქმის, ის ჩოგბურთის მომავა[illegible]ია. ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდა, მგონი, არასოდეს შემხ[illegible]რია“ — ხელები გაასავსავა ივანიშევიჩმა.

მეოთხედფინალში ფედერერს ყველაზე უსიამოვნო მეტოქე ელის მეგობრისა და დამრიგებელის, მარკ როსეს სახით.

**მერვედფინალი:** **გრეგ რუზეცკი** (5, ინგლისი) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 7:6 (7:4); **მარკ როსე** (შვეიცარია) — დომინიკ ჰრბატი (7, სლოვაკეთი), 6:3, 7:6 (10:8); **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — ჰიშამ არაზი (8, მაროკო) 6:4, 6:2; **ტომას ენკვისტი** (4, შვედეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:3, 3:6, 6:4; **სედრიკ პიოლინი** (6, საფრანგეთი) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 6:3, 6:4; **მარიანო ზაბალეტა** (არგენტინა) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 6:4, 6:1

**მეხიკო. მექსიკის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 800 ათასი $**

**მერვედფინალი:** **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) 3:6, 7:6 (10:8), 6:4; **ნიკოლას ლაპენტი** (2, ეკვადორი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 7:5, 4:6, 6:1; **გილერმო კანასი** (არგენტინა) — ფერნანდო მელიგენი (3, ბრაზილია) 6:2, 4:6, 6:3; **შტეფან კუბეკი** (4, ავსტრია) — რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) 6:7 (5:7), 6:4, 6:4; **ფრანკო სკილარი** (7, არგენტინა) — რონალდ აგენორი (ჰაიტი) 7:5, 6:2

**ოკლაჰომა სითი. აშშ. IGA CLASSIC ჰარდი. საპრიზო 170 ათასი $**

თითქმის ექვსთვიანი შესვენების შემდეგ, რომელიც მარჯვენა ფეხის ძვლის გაბზარვით იყო გამოწვეული, წარმატებით დაბრუნდა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მონიკა სელეში.

სელეშმა ჯერ მერვედფინალში ნაკლებად ცნობილ იტალიელ ფრანჩესკა ლუბიანის მოუგო 6:3, 6:3, მეოთხედფინალში კი საშუალო დონის ფრანგი სარა პიტკოვსკი (8) გააცამტვერა 6:0, 6:0 42 წუთში.

„სწორედ ასე უნდა ვითამაშო ყოველთვის, თუ ისევ მინდა დიდი სლემის ტურნირების მოგება. ამდენი ხნით იძულებით დასვენება ძალიან უსიამოვნო იყო, მაგრამ რაც მთავარია, ახლა ფეხი ოიტისოდენადაც არ მტკივა“ — აღნიშნა მონიკამ, რომელიც კლასიფიკაციაში ამჟამად მეთოთხმეტეა.

**მერვედფინალი:** **ამანდა კუტცერი** (3, სამხრეთ აფრიკა) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 7:6 (7:2), 7:6 (7:4); **ემი ფრეზერი** (4, აშშ) — მაშონა ვაშინგტონი (აშშ) 6:1, 6:4; **ნატალი დეში** (5, საფრანგეთი) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:4, 6:3; **ლაიზა რეიმონდი** (6, აშშ) — კორინა მორარიუ (აშშ) 2:6, 6:0, 6:3.

**ავთანდილ სვანიძე**



მონიკა სელეში



ეროვნული ბიბლიოთეკა



ოსკარ ფრეირე

# პანტანიმ, ცოტა მაცალეთო

ველორბოლმა მარკო პანტანიმ, მეტსახელად „მეკობრემ“, ფაქტობრივად ჩააგდო „ვალენსიის ტურის“ პირველი და მეორე ეტაპები, ხოლო მესამეზე საერთოდ არ გამოვიდა, რაც იმით ახსნა, რომ ჩვეულ ფორმაში არ არის. „არა, არა, რას ამბობთ“ — ხელები გაასავსავა პანტანის მენეჯერმა, როცა ჟურნალისტები სპორტსმენის ჯანმრთელობამ დააეჭვა — „ის მშვენივრადაა“. უპანტანოდ დარჩენილი მესამე ეტაპი მსოფლიოს ჩემპიონმა, ესპანელმა ოსკარ ფრიერემ მოიგო, მაგრამ ისე ვერა, რომ საერთო ჩათვლის პირველ ათეულში გამოჩენილიყო. ხავიტასა და კასტელონს შორის გაშლილი 187-კილომეტრიანი ტრასის ფინიშთან პელეტონი მივიდა. ველომრბოლებს ასიოდე მეტრი დარჩენოდათ გასავლელი, როცა ფრიერემ აიწყვიტა და გაიმარჯვა კიდეც. პელოტონშივე მოხვდა საერთო ჩათვლის ლიდერი, იტალიელი ჯუზეპე დი გრანდე და ამიტომ პირველობაც შეინარჩუნა. არც დანარჩენი საპრიზო ადგილების პატრონთა ვინაობა შეცვლილა; მეორე ფრანგი ლორან ჟალაბერია, ამას ესპანელი ხავიერ ლორენტი მოჰყვება, „ვალენსიის ტურის“ პირველი ეტ[illegible]პის მომგები.

**დავით გულუა**

**საერთო ჩათვლა**

1. ჯუზეპე დი გრანდე („ფესტინა“, იტალია) — 13:35:34
2. ლორან ჟალაბერი („ონსე“, საფრანგეთი) — +2 წამი
3. ხავიერ ლორენტე („კელმე“, ესპანეთი)
4. ხოსე ალბერტო მარტინესი („ეუსკატელი“, ესპანეთი)
5. აბრაამ ოლანო („ონსე“, ესპანეთი) ყველას იგივე დრო



# ლინარესი: ფიდე VS საბჭო

ორშაბათს ესპანურ ლინარესში წლის მთავარი საჭადრაკო მოვლენა დაიწყება. ეს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი უნდა იყოს და არა სუპერტურნირი, თუნდაც უმაღლესი კატეგორიისა, მაგრამ დრომ ასე მოიტანა — ლას ვეგასში შარშან აგვისტოს ჩატარებული ფიდე-ს მსოფლიოს ჩემპიონატი შემადგენლობის დონით ახლოსაც ვერ მივა ლინარესთან. მეორე მხრივ, მსოფლიოს საჭადრაკო საბჭომ ფინალურ მატჩსაც არ დაადგა საშველი და ამდენად, ხსენებული ტურნირი არაოფიციალურ, მაგრამ მაინც მსოფლიოს აბსოლუტურ პირველობად მიიჩნევა, განსაკუთრებით წლეულს, როცა გაირკვა, რომ კასპაროვთან ერთად ფიდეს ყოჩი ალექსანდრ ხალიფმანიც ითამაშებს. ხალიფმანმა თანამემამულე და სეხნია მოროზევიჩი შეცვალა, რადგან ლინარესი საჭადრაკო არისტოკრატიის ტურნირია, მოროზოვიჩს კი ორიოდე შარშანდელი ჩავარდნა არ ეპატია. ხალიფმანი რეიტინგით დანარჩენ მოთამაშეებს ძალიან ჩამორჩება, ამიტო მისი ტურნირზე მიწვევა მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოსგან (მსს) ფიდესთვის ხელთათმანის გადაგდებად აღიქმება და ეს ინიციატივა უეჭველად კასპაროვისგან მოდის. ფიდე-ს ჩემპიონს თუ არ ჩავთვლით, დანარჩენი მოჭადრაკეები რეიტინგ-ლისტების ორივე ვერსიით საუკეთესო ათეულებში შედიან: ინდოელი ვიშვანათან ანანდი, რუსი ვლადიმერ კრამნიკი, ესპანეთის სახელით მოთამაშე ალექსეი შიროვი და უნგრელი პიტერ ლეკო. რაიმეს წინასწარმეტყველება ძნელი საქმეა, თუმცა შეიძლება დავასახელოთ პოტენციური ფავორიტი (კასპაროვი) და პოტენციური აუტსაიდერიც (ხალიფმანი), თუკი რეიტინგ-ლისტი საერთოდ რამეს ნიშნავს. და, კიდევ, ამგვარ ტურნირში ყაიმების დიდ რაოდენობასაც უნდა ველოდოთ.



გარი კასპაროვი

**დავით გულუა**

# 19 ტური
საქართველოს ჩემპიონატი

## ანონსი

26 თებერვალი. ვერის ბაღი. 13.00
**თსუ — სდასუ**

26 თებერვალი. ვერის ბაღი. 14.45
**გორი — შევარდენი**

26 თებერვალი. ბათუმი. 15.00
**ბასკო — ასკ**

27 თებერვალი. ვერის ბაღი. 13.00
**დინამო — ვითა**

27 თებერვალი. ვერის ბაღი. 14.45
**სტუ — მაკაბი**

27 თებერვალი. რუსთავი. 14.00
**აზოტი — სსუ**

ამა თუ იმ საკალათბურთო ტურის ანონსი თითქმის იგივეა, რაც წინასწარმეტყველება. ჩვენც ისღა დაგვრჩენია, პროგნოზებს მივეძალოთ, მით უფრო, რომ საცაა გათამაშების მეორე წრეც ჩაილევა, ყველაფერი დალაგდება და ის ექვსეულიც გამოვლინდება, რომელიც „გაზაფხულს მოიყვანს" ქართულ კალათბურთში.

გასარჩევ-გასარკვევი სადღეისოდ ბევრიც არაფერი დარჩა, პირველი კვლავაც ბათუმის „ბასკოა", მას რუსთავის „აზოტი" ჩასდგომია კვალში, „ვითა" და სტუ-ც, ასე თუ ისე, მშვიდად არიან. აი, სატურნირო ცხრილის შუაგულში მიმდინარე ამბებია მხოლოდ, ინტრიგას რომ შეუნარჩუნებს და ტკბილად გამოაზამთრებს ჩვენს მთვლემარე კალათბურთს.

ექვსეულში შესაღწევად სდასუ, თსუ და „მაკაბი" შეეცილებიან ერთმანეთს. რაკი ზემოთ ჩამოთვლილმა ოთხეულმა უკვე დაიბევა ელიტაში თამაში (ყოველ შემთხვევაში, ასეთი პირი უჩანს), გამოდის, რომ დარჩენილია კიდევ ორი საგზური. ეს კი ნიშნავს, რომ სამი მოცილე გუნდიდან ერთ-ერთი აუცილებლად განზე დარჩება.

ვინ იქნება ეს — სდასუ, თსუ თუ „მაკაბი"? თუ დავუკვირდებით, ალმოვაჩენთ, რომ ამ კითხვაზე პასუხი შესაძლოა უახლოესმა, მეცხრამეტე ტურმაც გაგვცეს. მივყვეთ თანმიმდევრობით:

ამ უქმეების ცენტრალური მატჩი ერთბაშად ორია: თსუ — სდასუ და სტუ — „მაკაბი". ხვალინდელი შეხვედრა სტუ-სთან ძალიან ბევრს წყვეტს მაკაბელთათვის, თუ ისინი დამარცხდნენ, თსუ-მ კი დღეს სდასუ-ს სძლია, „მაკაბი" თითქმის უიმედო დღეში ჩავარდება, რადგან მსგავს შემთხვევაში ორი ქულით ჩამორჩება თსუ-ს და ბოლო ტურში უნივერსიტეტელებთან გამარჯვების მიუხედავად ექვსეულს მიღმა აღმოჩნდება. მართალია, თსუ-ს მანამდე კიდევ ერთი მძიმე ბრძოლის გადახდა მოუწევს რუსთავში, იქაურ „აზოტთან", მაგრამ თავის მხრივ „მაკაბისაც" ელის ქულის დაკარგვის საშიშროება, რადგან მომდევნო ტურში „ვითასთანაც" გასარკვევი აქვს საქმე. გათამაშების ერთ-ერთ აუტსაიდერ ასკ-სთან თამაში კი ორივე მათგანს ორი ქულა ვუწინასწარმეტყველოთ.

ვთქვათ და „მაკაბიმ" სძლია სტუ-ს, თსუ კი სდასუ-სთან დამარცხდა. ასეთ სიტუაციაში სხვა გზა აღარ გვრჩება, ცხრამეტ მარტს უნდა დაველოდოთ, სწორედ ამ დღეს დაუპირისპირდებიან ერთმანეთს თსუ და „მაკაბი". ყველაფერიც მაშინ გაცხადდება.

თუ დღეს ლევან მოსეშვილის სდასუ-მ თსუ-ს მოუგო, ფაქტობრივად, გადაწყვეტს ექვსეულში ყოფნა-არყოფნის ბედს. ძნელი წარმოსადგენია, რომ სდასუ-ს სსუ-სთან, თუდაც „დინამოსთან" შეხვედრებში ფეხი დაუცდეს. ამის შემდეგ კი თსუ-სთვისაც მოუწვდომელი გახდება და „მაკაბისთვისაც".

არის კიდევ რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ ამ ეტაპზე მხოლოდ ის ვთქვით, რაც უფრო რეალურია. დანარჩენს კი მეტოქეთა სადღეისო მდგომარეობა, შნო და მარიფათი წარმოაჩენს.

პირველ წრეში „მაკაბი" უიმედოდ დამარცხდა (75:96) ნუგზარ ჭეიშვილის სტუ-სთან. ახლა სხვა ვითარებაა, უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვს „მაკაბის", მისთვის ყოველი ქულა ძვირად ფასობს და უეჭველია, ყველა ღონეს იხმარს, რომ თავის სასარგებლოდ დაასრულოს შეხვედრა. ფავორიტად მაინც სტუ-ს ვრაცხთ, რადგან შემადგენლობის თვალსაზრისით ტექნიკოსებს გაცილებით უკეთ აქვთ საქმე. თანაც ბოლო ტურში „აზოტთან" დამარცხების შემდეგ სტუდენტები მეოთხე ადგილზე დექვეითდნენ და სხვა თუ არაფერი, დათმობილი პოზიციის დაბრუნება უნდა გაიხადონ სტიმულად.

ცნობილი ამბავია, რომ უახლოეს მომავალში „მაკაბი" უნგრულ „ფალკოსთან" კონტრაქტდარღვეულ კახა შენგელიას შეიმატებს, რაც უდავოდ გააძლიერებს მაკაბელთა ისედაც სოლიდურ წინა ხაზს. ოფიციალური მხარე უკვე მოგვარებულია, ეგაა, თავად კალათბურთელი ჯერ არ დაბრუნებულა თბილისში და თუ მისი ჩომოსვლა მოესწრო, ალბათ, ითამაშებს კიდეც ახალი გუნდისთვის ძალიან პრინციპულ მატჩში.

ნოდარ ქორქიას თსუ-ს სდასუ-სთან შეხვედრაში წარმატების მისაღწევად უპირველესად მეტოქის უკანახაზელების, ირაკლი ხოშტარიასა და შოთა უძილაურის გაუვნებლება მოუწევს. შეტევისას ორივე მათგანი ძალიან სახიფათოა და უნივერსიტეტელებს სიფხიზლე მართებთ. ბევრს გადაწყვეტს ცენტრთა დუელიც. სდასუელი შოთა მაჭარაძე ბევრად უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე მისი მეტოქე გიორგი ბერუაშვილი, მაგრამ ხანდაზმულობის მიუხედავად ბოლო ხანს კარგად ათამაშდა „ჯაგა" და თანაგუნდელები ცენტრის საიმედოობაში დაარწმუნა. მოსეშვილის გუნდს ერთთავად გოჩა წოწელიაზე უნდა ეჭიროს თვალი. სწორედ იგია თსუ-ს ლიდერი და ბომბარდირი, რომელსაც გიორგი მარკოიშვილი და გოჩა არსიაშვილიც კარგად უბამენ მხარს.

„დინამო" — „ვითას" დაპირისპირებას სხვა დროსა და ვითარებაში იქნებ ყველაფერი დაეჩრდილა, მაგრამ დღესდღეობით მეტოქეთა სათამაშო კლასში აშკარა სხვაობაა და ვფიქრობთ, შეხვედრის ბედსაც სწორედ ეს ფაქტორი გადაწყვეტს. მთავარია, „ვითამ" ბოლო დროს ნაჩვევი სენი დასძლიოს და თავიდანვე მთელი ძალით შეებრძოლოს მოწინაალმდეგეს.

„გორი" — „შევარდენის" პროგნოზირება ძალიან ძნელია, თუნდაც იმიტომ, რომ უცნობია, რა შემადგენლობით წარდგება მოედანზე „შევარდენი". საავიაციო ქარხნის კლუბში მიმდინარე რეფორმებმა ბევრი რამ თავდაყირა დააყენა და სხვა თუ არაფერი, დროა საჭირო.

გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ „ბასკოს", ისევე, როგორც მის მდევარ „აზოტს", თავი ქუდში აქვს. ორივე შინ თამაშობს, შესაბამისად, ასკ-სთან და სსუ-სთან. ვფიქრობთ, ყველაფერი ცხადზე უცხადესია, ბიჭი ხარ და სხვანაირად მოგიბრუნდეს ენა...

**გიორგი გიძაშვილი**




## იყიდება



**როტვეილერის ლეკვები**

☎ 39 42 65

დარეკეთ 12-დან 17 საათამდე


# მიტევებულმა შენგელიამ «ფალკო» მიატოვა

## უკვე მაკაბელი კახა ჯერ გზაშია, რომ ჩამოვა, ყველაფერს გვეტყვის


კახა შენგელია

კახა შენგელია საქართველოში ითამაშებს. უკვე კლუბიც ცნობილია — თბილისის „მაკაბი". სწორედ ამ გუნდის ღირსებას დაიცავს ამ სეზონის ბოლომდე საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებისა და უნგრული „ფალკოს" აწ უკვე ყოფილი ცენტრი.

გეხსომებათ, ორი წლის წინ ჯერ კიდევ „დინამოში" მოთამაშე შენგელიამ სკანდალურად დატოვა სამშობლო. მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მას სამუდამოდ აუკრძალეს საქართველოში თამაში, რის შემდეგაც კახამ პოლონეთს მიაშურა და იქაურ „ცეპტერთან" ერთად ქვეყნის ჩემპიონიც გახდა.

წლევანდელი სეზონი ჩვენებურმა უნგრულ „ფალკოში" დაიწყო, თითქოს კმაყოფილიც ჩანდა, მაგრამ ფაქტია, რომ შენგელიამ მიატოვა „ფალკო", კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა და საკუთარი მანქანით თბილისს გამოემგზავრა. მანამდე კი მისი გუნდიდან განთავისუფლების ფურცელი ჩამოვიდა საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში, რის საფუძველზეც მეცხრე ეროვნულ ჩემპიონატში შენგელიას სამონაწილეო ლიცენზიაც გაიცა. „მაკაბის" ხელმძღვანელობა პირადად შეთანხმებულა კალათბურთელთან და ამიერიდან იგი სწორედ ამ კლუბის საკუთრება იქნება.

კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის შარშანდელი გადაწყვეტილების თანახმად, შენგელიას საქართველოში თამაშსაც წინ ვერაფერი დაუდგება, რადგან აღმასკომის სხდომამ შეუნდო მას დანაშაული, პირვანდელი გადაწყვეტილება შეცვალა და კალათბურთელს ნებისმიერ ქართულ კლუბში თამაშის ნება დართო.

მიზეზი, რატომ მიატოვა ნაადრევად ქართველმა უნგრული „ფალკო", ჯერჯერობით უცნობია. კახა ახლა გზაშია, დღეს-ხვალ ჩამოვა და ყოველივეს დაწვრილებით შეგატყობინებთ.

# დაითვალეთ ხუთამდე და ითამაშეთ

გასულ უქმეებზე, მეცხრე ეროვნულის მეთვრამეტე ტურში, ერთბაშად ორი შემთხვევა დაფიქსირდა ისეთი, როცა მთელი შეხვედრის მანძილზე გუნდს ერთი ხუთეულით მოუწია თამაშმა. „დინამო" „ბასკოს", „შევარდენი" კი „მაკაბის" ეთამაშა შეუცვლელად. არც ერთ მათგანს სხვანაირად არც შეეძლო, სათადარიგოთა სკამზე კაციშვილი არ ეგულებოდათ ამ კლუბებს და იმიტომ.

ამ ფაქტმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ბევრმა აღნიშნა, ეს დებულების დარღვევააო. ითქვა, რომ ფედერაცია უკრძალავს გუნდს თამაშს, რომელიც კონკრეტული შეხვედრისთვის სულ ცოტა, რვა კალათბურთელს ვერ შეაგროვებს.

გასულ, მერვე საკალათბურთო ჩემპიონატში დიახაც რომ მართალი იქნებოდა ამის მთქმელი და ვერც ვერავინ შეედავებოდა, რადგან შარშანდელი დებულება ნამდვილად ეწინააღმდეგებოდა ზემოთქმულს. ხუთი კაცით მოთამაშე კლუბს კი კანონი ფინანსურ სასჯელსაც აკისრებდა.

წლეულს სხვაგვარადაა, ეს პუნქტი საერთოდ ამოღებულია დებულებიდან და კლუბს შეუძლია, იყოლიოს ნებისმიერი რაოდენობის კალათბურთელი არანაკლებ ხუთისა. ეს ის მინიმუმი გახლავთ, რაც სავალდებულოა მატჩის დასაწყებად. დანარჩენი კი მთლიანად გუნდზეა დამოკიდებული. ყოველივე ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, აკაკი მეგრელაძემაც დაგვიდასტურა.

# ყველაფერი აეწყობა

## სერგოც აქ არის, გივიც აქ არის


შევარდენთა ახალი „ბაზიერი" სერგო იშხნელი

*მეცხრე საკალათბურთო ჩემპიონატის მეთვრამეტე ტურში „შევარდენი" „მაკაბის" ხვდებოდა. ვერის ბაღში შეკრებილი გულშემატკივარი გვარიან გაურკვევლობაში ჩავარდა, როცა „შევარდენის" სახით სულ მთლად სახეცვლილი გუნდი იხილა მოედანზე. საავიაციო ქარხნელები სრული შემადგენლობით ტრიბუნაზე მოკალათებულიყვნენ, მათთანვე იყო „შევარდენის" აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი გივი კოშკელოვიც. გუნდის თამაშს კი ახლადანიშნული თავკაცი, სერგო იშხნელი უძღვებოდა, რომელსაც სახელდახელოდ შეეკრიბა ხუთი კალათბურთელი და „მაკაბის" წინააღმდეგ სწორედ ახალწვეულებით გადიოდა ფონს.*

*ბოიკოტი, აჯანყება — რაც გნებავთ, ის უწოდეთ. ფაქტი კი ის იყო, რომ კალათბურთელებმა იშხნელის ხელმძღვანელობით თამაში იუარეს და გივი კოშკელოვს დაუჭირეს მხარი. ამასვე მოწმობდა მოთამაშეთა განცხადებებიც, სადაც ისინი კოშკილოვის დაბრუნებას ითხოვდნენ.*

*რა მოხდა? რატომ წავიდა (თუ გაუშვეს) გუნდიდან კოშკელოვი? რამ გამოიწვია ასეთი ხმაური? — ამ კითხვებით მივმართეთ კლუბ „შევარდენის" თავმჯდომარეს, სოსო საბაშვილს.*

**— კოშკელოვის გუნდიდან გაშვება ალბათ „შევარდენის" წარუმატებელ თამაშს უნდა მივაწეროთ...**

— სანამ ამ კითხვაზე გიპასუხებდეთ, უნდა დავაზუსტო, რომ კოშკელოვი ჩვენ არ გაგვითავისუფლებია, არ გვითქვამს, რომ კლუბი დაეტოვებინა. მან თავად გადაწყვიტა წასვლა.

**— როგორ ფიქრობთ, რამ აიძულა იგი ეს ნაბიჯი გადაედგა?**

— ეს, ალბათ, შედეგიდან გამომდინარე გააკეთა, სეზონის წინ ჩვენ ექვსეულში მოხვედრა დავისახეთ მიზნად, კოშკელოვთანაც ისეთი სახის კონტრაქტი გაფორმდა, რომ თუ იგი ვერ შეძლებდა დასახული გეგმის განხორციელებას, ავტომატურად უნდა დაეტოვებინა კლუბი. ეს მან იცოდა.

**— ხომ არ ჯობდა, რომ სეზონის ბოლომდე მაინც გეცლიათ კოშკელოვისთვის? ამით შეინარჩუნებდით იმ ბირთვს, რომლითაც მეშვიდეადგილოსნობაზე განაცხადებდით პრეტენზიას.**

— ხომ გეუბნებით, კოშკელოვი ჩვენ არ აგვიჩქარებია, თავად გადაწყვიტა ასე. მეჩვიდმეტე ტურში თსუ-სთან მატჩის შემდეგ მან განცხადება დაწერა და ჩვენც დავაკმაყოფილეთ მისი თხოვნა.

**— რატომ გამოიწვია ყოველივემ კალათბურთელთა გულისწყრომა? თქვენი აზრით, რა უნდა ჰქონდეთ მოთამაშეებს იშხნელის საწინააღმდეგო?**

— პირადად ჩემთვის გაუგებარია ბიჭების იმდღევანდელი საქციელი. ალბათ, მართლა ძალიან განიცადეს ნაჩვევ მწვრთნელთან შელევა და ყოველივეც ასე ამიტომ გამოვიდა. სხვა რა უნდა ვიფიქრო? გაშვებით არავინ გაგვიშვია, უბრალოდ, უარი თქვეს თამაშზე.

**— მომავალშიც ასე რომ გაგრძელდეს, ეს არ განაღვლებთ? ამით ხომ ფაქტობრივად დაიშლება გუნდი...**

— დაშლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენ ეს აზრადაც არ მოგვსვლია, პირიქით, გაძლიერება დავისახეთ მიზნად. ვისაც სურვილი ექნება ივარჯიშებს „შევარდენში", ითამაშებს თუ არა, ამიერიდან ეს უკვე მხოლოდ სერგო იშხნელის გადასაწყვეტია, რადგან სწორედ იგია მთავარი მწვრთნელი. სხვათა შორის, კოშკელოვიც კლუბში დარჩება. იგი მწვრთნელად იმუშავებს „შევარდენში", იშხნელს მიეხმარება.

**— ბიჭები რას ამბობენ, ხომ არ შეუცვლიათ აზრი?**

— ვფიქრობ, უკვე ჩასწვდნენ ვითარების არსს. მიხვდნენ, რომ ეს კლუბია და შესაბამისად თავისი გეგმები აქვს. ამიტომ გარკვეულ რეფორმებსაც გაგებით უნდა მოეკიდონ, რადგან ყველაფერი „შევარდენის" ინტერესებისთვის კეთდება. ამ დღეებში გუნდი სრული შემადგენლობით შეუდგა ვარჯიშს და იმედი გვაქვს, რომ „გორთან" შეხვედრაშიც ხუთი კაცის ამარა არ დავრჩებით. დროდადრო კალათბურთელები იშხნელთანაც გამონახავენ საერთო ენას და ყველაფერი აეწყობა.

**— იშხნელმა მეტისმეტად ახალგაზრდა კალათბურთელები მოიყვანა. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ..**

— სწორად მიმხვდარხართ. გუნდის გაახალგაზრდავებაზე ავიღეთ კურსი, ახალწვეულებიც, რა თქმა უნდა, ნორჩები არიან, რომელთაც გაისად რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე დაემატება. აქედან გამომდინარე, გაიზრდება გუნდის ამბიციაც, ექვსეულში მოხვედრა არ უნდა ექცეს პრობლემად „შევარდენს".

**— მხოლოდ ექვსეულით შემოიფარგლებით?**

— მაინც მომავლის საქმეა და... არ მინდა წინასწარ ლაპარაკი. დრო გამოაჩენს ყველაფერს. ცხადია, მეტის მიღწევა გვსურს, უბრალოდ, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია დღეს ამაზე საუბარი. სერგო იშხნელი გამოცდილი მწვრთნელია, მასზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, მან უნდა შეძლოს ისეთი გუნდის ჩამოყალიბება, რომელსაც ნებისმიერი მეტოქე ანგარიშს გაუწევს. იშხნელი თავად შეარჩევს კალათბურთელებს. აქედან გამომდინარე, შედეგზეც სწორედ ის იქნება პასუხისმგებელი.

**გიორგი გიძაშვილი**

## რეგულარული ჩემპიონატი

24 თებერვალი

**ინდიანა 100:83 ჩიკაგო**
ინდიანა: როუზი (22)
ჩიკაგო: ბრენდი (38)

**ვაშინგტონი 83:92 ფინიქსი**
ვაშინგტონი: რიჩმონდი (19)
ფინიქსი: გულიოტა (20)

**შარლოტი 70:72 სან ანტონიო**
შარლოტი: კოულმენი (19 ქულა, 20 მოხსნა), ჯონსი (17)
სან ანტონიო: რობინსონი (16 ქულა, 10 მოხსნა)

**მინესოტა 116:91 კლიპერსი**
მინესოტა: გარნეტი (16), შჩერბიაკი (16)
კლიპერსი: ტეილორი (22), ნესბი (19)

**დალასი 85:92 იუტა**
დალასი: სებალოსი (26)
იუტა: რასელი (25), მელოუნი (18 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი)

**ჰიუსტონი 97:106 დენვერი**
ჰიუსტონი: მობლი (24)
დენვერი: ვან ექსელი (23 ქულა, 11 პასი)

**პორტლენდი 111:92 ორლანდო**
პორტლენდი: სტუდემაიერი (30)
ორლანდო: არმსტრონგი (16), ეტკინსი (16)

**ვანკუვერი 77:101 ბოსტონი**
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (20), დიკერსონი (18)
ბოსტონი: პირსი (25), უოლკერი (24), ანდერსონი (22)

# მარე რა, რომ დაიჭიმა კუნთი...



დალასი — იუტა. დალასელი დენის როდმანი (მარცხნივ) და კარლ მელოუნი შებმულან

21 თებერვალს „ფინიქსთან" შეხვედრაში „სან ანტონიოს" ლიდერმა ტიმ დანკანმა მცირე ტრავმა მიიღო — მუცლის კუნთი დაიჭიმა. როგორც წესი, ამ ტიპის ტრავმას შედეგად რამდენიმე თამაშის გამოტოვება მოჰყვება, ექიმებმაც სწორედ ეს ურჩიეს დანკანს. და მაშინ, როცა „შარლოტი" იმედოვნებდა, უმისოდ იოლად დავცემთ ჩემპიონ გუნდს შინო, დანკანმა მოულოდნელად ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ჯერ თამაში არ გამომიტოვებია და ახლა რაღაც კუნთის დაჭიმვის გამო გუნდს ხომ ვერ მივატოვებო და კიდეც ითამაშა. არ გახლდათ ეს გუნდისთვის თავგადადებული დანკანის საუკეთესო მატჩი. შეიძლება, ტიმი ცდილობს არად ჩააგდოს ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო ტრავმა, მაგრამ შეუძლებელია, ამან თავისი დაღი არ დაასვას მოთამაშეს. ტიმი დარბოდა, ბურთებს ხსნიდა, აგდებდა კიდეც, სულ 15 ქულა და 12 მოხსნაც მოაგროვა, მაგრამ საკითხავია, რა ფასად დაუჯდა მას ეს. დანკანს ასე ცუდად არასოდეს უსვრია, უამრავ ბურთს აცილებდა — 23 სროლიდან სულ ექვსი ჩააგდო. ცხადია, არც 15 ქულაა მისი შესაძლებლობების ზღვარი. სანანტონიოელს დაცვაშიც უჭირდა. იგი დერიკ კოულმენის წინააღმდეგ თამაშობდა, რომელიც ახლა ლამის თავის სპორტული კარიერის პიკზე იმყოფება, ამიტომაც გვარიანად გააწვალა ბევრის აზრით, ნბა-ს უძლიერესი მოთამაშე. დანკანის ჯინაზე მთლიანად თამაში დაცვითი და ერთობ დაძაბული გამოდგა.

მართალია, ამ შეხვედრაში ტიმ დანკანის გამოჩენა ერთგვარი მოულოდნელობა იყო და იგი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა, მაგრამ მისი მოედანზე ყოფნა ჩემპიონთა უცილობელ გამარჯვებას სულაც არ მოასწავებდა. „შარლოტი" ძნელად მოსარევი გუნდია და მასპინძლები ბოლომდე ეჭიდავენ ტიტულიან სტუმარს. „ჰორნეტსის" გამთამაშებელმა დევიდ ვესლიმ მატჩის დამთავრებამდე 21 წამით ადრე სამქულიანით 70:69 დააწინაურა მასპინძლები და თითქოს მათ გამარჯვებას წინ ველარაფერი დაუდგებოდა, მაგრამ ასე არ ფიქრობდა „სფურზის" 36 წლის გამთამაშებელი ტერი პორტერი, რომელსაც სწორედ ვესლი მეურვეობდა. ბოლო სროლა სწორედ ამ ვეტერანმა ითავა, ცრუმოძრაობით ჩამოიშორა ვესლი და საფინალო სირენამდე სულ სამი წამით ადრე ავანტიურისტული სამქულიანი ჩააგდო. ამოისუნთქეს სტუმრებმა, მიცვივდნენ პორტერს და ლამის ხვევნა-კოცნაში დაახრჩეს მოხუცი. „თხუთმეტი წელია, იგი თამაშობს და კვლავ განაგრძობს მეტოქეთა შოკირებას. ნამდვილი გიჟია, გიჟდება ბოლო წამების დაძაბულ სიტუაციებზე. აქ იგი თავის სტიქიაში გრძნობს თავს" — ამბობდა შეგირდზე მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი. დანკანს ჰკითხეს, რამდენ ხანს შეძლებს ეს კაცი ნბა-ში თამაშს — ორ თუ სამ სეზონსო, რაზეც ყმაწვილმა ტიმმა მიუგო: „აბა ერთი კარგად შეხედეთ, ჰგავს იგი 50 წლის ბერიკაცს? ჩემი აზრით, ტერი მინიმუმ რვა სეზონს კიდევ ითამაშებს".

კი ფიქრობდნენ დალასში, გუნდში დენის როდმანის მოსვლით ფარს დავიპყრობთ და თამაშებსაც მეტს მოვიგებთო, მაგრამ ამ გადარეული ბებერის გადამკიდე „მავერიქსი" ბლომად პრობლემებს აწყდება. როდმანმა სულ რაღაც ხუთ თამაშში მიიღო მონაწილეობა და კლუბის ხელმძღვანელობას უკვე მრავალი საფიქრალი გაუჩნდა. აგერ ახლაც „იუტასთან" მატჩში როდმანმა თავისი გამოხტომებით გუნდი დაალალატა. თავდაპირველად ყველაფერი კარგად დაიწყო, როდმანი „იუტას" ლიდერ კარლ მელოუნს აედევნა და კარგად შეავიწროვა იგი, თუმც ხანდახან ზომაზე მეტად ეუხეშებოდა. მელოუნმა ბევრი ითმინა, ბოლოს ყელში ამოუვიდა და როდმანის უხეშობას უხეშობით უპასუხა, წაკინკლავდნენ კიდეც ეს „დარბაისელი" მოთამაშეები და მსაჯმა ისინი ტექნიკურებით დააშოშმინა. მაგრამ როდმანი რა ბიჭია, მსაჯი და მისი ტექნიკრები რამედ ჩააგდოს, თავისი მაინც არ მოიშალა, აკრძალული ხერხით შეაჩერა მელოუნი და მეორე ტექნიკურსაც გამოჰკრა ხელი. საბოლოოდ როდმანმა თამაში 1 ქულითა და 12 მოხსნით დატოვა, რის შემდეგაც „იუტას" მეტოქის დამარცხება აღარ გასჭირვებია. კალათბურთელის საქციელმა, ცხადია, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია „მავერიქსში", განსაკუთრებით მწვრთნელი დონ ნელსონი გაბრაზდა, მაგრამ გიჟი დენისის გაკიცხვისაგან თავი შეიკავა და ესლა თქვა, მეტი თავშეკავება მართებდაო.

კარგა ხანია, წარსულს ჩაჰბარდა „ჩიკაგოსა" და „ინდიანას" კლასიკური ჯახები. ახლა ეს გუნდები „სხვადასხვა წონით კატეგორიებში" არიან. ასე რომ, განურჩევლად დარბაზისა, გამარჯვება მუდამ „ინდიანას" რჩება. ახლაც ეჭვს არ იწვევდა ლარი ბერდის შეგირდთა გამარჯვება, მით უმეტეს, რომ „ინდიანას" 21 თამაშია შინ არ წაუგია და რაღა ახლა გაუწყრებოდა ღმერთი. ახლაც იოლად დასცა ერთ დროს ძლევამოსილი „ჩიკაგო". მატჩში კი ყველაზე საინტერესო „ჩიკაგოს" ახალბედას, ელტონ ბრენდის ბრწყინვალე თამაში გახლდათ. გუნდიდან ტონი კუკოჩის წასვლის შემდეგ ბრენდი ეულად დარჩა და ასევე მარტოდმარტო ებრძვის მეტოქეებს. ახლაც იგი ერთადერთი იყო, „ინდიანას" წინააღმდეგობას რომ უწევდა. ცხადია, მისმა გუნდმა წააგო, მაგრამ ბრენდმა 38 ქულით სეზონის (მისთვის აგრეთვე კარიერის) რეკორდი დაამყარა და ამით კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა სეზონის უძვირფასესი ახალბედას ტიტულის მოსაპოვებლად.

**ირაკლი ფირაშვილი**

# მომავალ სეზონამდე, ანტუან!

22 თებერვალს „გოლდენ სტეიტის" ერთგულმა ქომაგებმა ცუდი ამბავი შეიტყვეს. გუნდის 23 წლის ლიდერი ანტუან ჯემისონი სეზონის დარჩენილ ნაწილს მთლიანად გამოტოვებს. ჯემისონი ამ ათი დღის წინ შეუწუხებია მარცხენა მუხლს ისე, რომ თამაში ვერ შეძლო. ექიმებმა ტკივილის გამომწვევი მიზეზი ვერ იპოვეს და კალათბურთელს ამ სამშაბათს მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს. დახეთ საოცრებას, ვერაფერი აღმოაჩინეს, ჯემისონი კი ტკივილისგან ლამის კედლებზე ავიდეს მაშინ, როცა გუნდის ექიმი რობერტ აბო ამბობს — „ოპერაციამ ძალიან კარგად ჩაიარა. ჩვენ საფუძვლიანად გამოვიკვლიეთ ანტუანის მუხლი. იგი რამდენიმე დღეში შეუდგება სარეაბილიტაციო პროგრამას და ასი პროცენტით მზად იქნება მომავალი სეზონის საწვრთნელი ბანაკების გახსნისას(!)" წარმოგიდგენიათ? საწვრთნელი ბანაკები ოქტომბერში იწყება. იქამდე შვიდი თვეა დარჩენილი, ჯემისონს კი იმედი ჰქონდა, ორ კვირაში ფეხზე დავდგებიო.

ეს უნდოდა ახლა „გოლდენ სტეიტს"? გუნდმა ამ ბოლო ხანებში თითქოს მოუმატა, თამაშებიც ბლომად მოიგო, „კლიპერსს" გადაასწრო და ბოლო ადგილს თავი დააღწია, მაგრამ... ჯემისონი თავის მეორე სეზონს ატარებს (უკვე აღარ). ამ სეზონში მან ბევრად მოუმატა და გუნდის ლიდერადაც იქცა. თამაშში საშუალოდ 19,6 ქულა საუკეთესოა „გოლდენ სტეიტში". თანაც 206-სანტიმეტრიანი თავდამსხმელის ლაღმა და სანახაობრივმა, ამავე დროს შედეგიანმა თამაშმა მნიშვნელოვნად შეამცირა თავისუფალი ადგილების რაოდენობა გუნდის შინაურ მატჩებზე. ერთი სიტყვით, ჯემისონი სანფრანცისკოელთა კერპად იქცა და უცებ, თითქოს არაფრის გამო, იგი მთლიანად გამოტოვებს სეზონს.

# ვაჭრობა ბოლო ვადაზე

*24 თებერვალი მოთამაშეთა სხვა გუნდებში გადასვლის და გუნდებს შორის ვაჭრობის ბოლო ვადა იყო. სავაჭრო სეზონი დაიხურა და ამიერიდან ვერც ერთი მოთამაშე კლუბს ვერ შეიცვლის მიმდინარე სეზონის ჩამთავრებამდე. წინა სეზონებში, ამ დროს, ყოველთვის ხდებოდა რაიმე მნიშვნელოვანი გაცვლა, მაგრამ ამჯერად ყველაზე დიდი მოვლენა ის გახლდათ, რომ თითქმის არავითარი გარიგება არ შემდგარა. იყო მხოლოდ უმნიშვნელო ვაჭრობა „ორლანდოსა" და „ატლანტას" შორის, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მოთამაშეს გადაეწყვიტა, გუნდი შუა სეზონშივე შეეცვალა.*

*ახლა რაც შეეხება „ორლანდო"-„ატლანტას" შორის განხორციელებულ ტრეიდს, „ატლანტამ" გამთამაშებელი ენტონი ჯონსონი, ვისი საშუალო შედეგიანობაც მატჩში მხოლოდ 2,4 ქულაა, „ორლანდოს" მომავალი დრაფტის მეორე წრის არჩევანის უფლებაში გადაუცვალა. აი, სულ ეს იყო, დაგვეთანხმებით ეს ბევრი არაფერია სხვა სეზონებთან შედარებით, რაც ერთი თვალის გადავლებითაც კარგად ჩანს*

### 1999 წლის 11 მარტი

**ნიუ ჯერსი ნეთსი:** აიყვანა სტივენ მარბერი, კრის კარი, ბილ კერლი (ყველა „მინესოტადან"), ელიოტ პერი („მილუოკიდან")

**მილუოკი ბაქსი:** აიყვანა სემ კასელი, კრის გეტლინგი (ორივე „ნიუ ჯერსიდან"), პოლ გრანტი („მინესოტადან"); აიყვანა ტირონ ჰილი და ჯერალდ ჰონიკატი (ორივე „ფილადელფიიდან") ტიმ ტომასის და სკოტ ვილიამსის სანაცვლოდ.

**მინესოტა ტიმბერვულვზი:** აიყვანა ტერელ ბრენდონი („მილუოკიდან"), ბრაიან ევანსი და მიილო დრაფტის არჩევანი (ორივე „ნიუ ჯერსიდან")

**ბოსტონ სელტიქსი:** აიყვანა ვიტალი პოტაპენკო („კლივლენდიდან") ენდრიუ დეკლერკის სანაცვლოდ

**კლივლენდ კავალერზი:** აიყვანა ენდრიუ დეკლერკი („ბოსტონიდან") ვიტალი პოტაპენკოს სანაცვლოდ

**ვანკუვერ გრიზლიზი:** აიყვანა როდრიკ როუდზი („ჰიუსტონიდან") სემ მაკის სანაცვლოდ

**ჰიუსტონ როკიტსი:** აიყვანა სემ მაკი („ვანკუვერიდან") როდრიკ როუდზის სანაცვლოდ

**ფილადელფია 76:** მიიღო დრაფტის არჩევანი („ნიუ იორკისგან") მირსად თურქჯანის სანაცვლოდ; აიყვანა ტიმ ტომასი და სკოტ ვილიამსი (ორივე „მილუოკიდან") ტაირონ ჰილის და ჯერალდ ჰონიკატის სანაცვლოდ

**ნიუ იორკ ნიქსი:** აიყვანა მირსად თურქჯანი („ფილადელფიიდან") დრაფტის არჩევანის სანაცვლოდ

### 1998 წლის 19 თებერვალი

**ჩიკაგო ბულზი:** აიყვანა დევიდ ვონი („გოლდენ სტეიტიდან") ჯეისონ კეფის და დრაფტის ორი არჩევანის სანაცვლოდ

**გოლდენ სტეიტ ვორიორზი:** აიყვანა ჯეისონ კეფი და მიილო დრაფტის ორი არჩევანი (ორივე „ჩიკაგოდან") დევიდ ვონის სანაცვლოდ

**მაიამი ჰითი:** აიყვანა ბრენტ ბერი („კლიპერსიდან") აიზეკ ოსტინის, ჩარლზ სმიტის და დრაფტის არჩევანის სანაცვლოდ

**ლოს ანჯელეს კლიპერსი:** აიყვანა აიზეკ ოსტინი, ჩარლზ სმიტი და მიილო დრაფტის არჩევანი (ყველა „მაიამიდან") ბრენტ ბერის სანაცვლოდ

**ნიუ იორკ ნიქსი:** აიყვანა ტერი კამინგსი („ფილადელფიიდან") ჰერბ ვილიამსის და რონი გრენდისონის სანაცვლოდ

**ფილადელფია 76:** აიყვანა ჰერბ ვილიამსი, რონი გრენდისონი (ორივე „ნიუ იორკიდან") ტერი კამინგსის სანაცვლოდ

**ნიუ ჯერსი ნეთსი:** აიყვანა რონი საიკლი, ბრაიან ევანსი (ორივე „ორლანდოდან") დევიდ ბენუას, კევინ ედვარდსის, იინკა დერის და დრაფტის არჩევანის სანაცვლოდ

**ორლანდო მეჯიქი:** აიყვანა დევიდ ბენუა, კევინ ედვარდსი, იინკა დერი და მიილო დრაფტის არჩევანი (ყველა „ნიუ ჯერსიდან") რონი საიკლის და ბრაიან ევანსის სანაცვლოდ

### 1997 წლის 20 თებერვალი

**დენვერ ნაგითსი:** აიყვანა ირჟი ზიდეკი, ენტონი გოლდვაიერი (ორივე „შარლოტიდან") რიკი პირსის სანაცვლოდ; აიყვანა ჯერომ ალენი, ვინსენტ ესკიუ, ედი ჯონსონი და მიილო დრაფტის ორი არჩევანი (ყველა „ინდიანადან") მარკ ჯექსონის, ლასეილ თომპსონის და დარვინ ჰემის სანაცვლოდ

**ინდიანა პეისერზი:** აიყვანა დარვინ ჰემი, მარკ ჯექსონი, ლა სეილ თომპსონი (ყველა „დენვერიდან") ჯერომ ალენის, ვინსენტ ესკიუს, ედი ჯონსონის და დრაფტის ორი არჩევანის სანაცვლოდ

**შარლოტ ჰორნეთსი:** აიყვანა რიკი პირსი („დენვერიდან") ირჟი ზიდეკის და ენტონი გოლდვაიერის სანაცვლოდ, აიყვანა დონალდ როიალი („გოლდენ სტეიტიდან") სკოტ ბარელის სანაცვლოდ

**გოლდენ სტეიტ ვორიორზი:** აიყვანა სკოტ ბარელი („შარლოტიდან") დონალდ როიალის სანაცვლოდ

**ტორონტო რეპტორზი:** აიყვანა შონ რესპერტი („მილუოკიდან") ეისი ერლის სანაცვლოდ

**მილუოკი ბაქსი:** აიყვანა ეისი ერლი („ტორონტოდან") შონ რესპერტის სანაცვლოდ

**ლოს ანჯელეს ლეიკერსი:** აიყვანა ჯორჯ მაკლაუდი („ნიუ ჯერსიდან") ჯორჯ კლაინის და დრაფტის ორი არჩევანის სანაცვლოდ

**ნიუ ჯერსი ნეთსი:** აიყვანა ჯო კლაინი და მიილო დრაფტის ორი არჩევანი (ორივე „ლეიკერსიდან") ჯორჯ მაკლაუდის სანაცვლოდ

### 1996 წლის 22 თებერვალი

**მაიამი ჰითი:** აიყვანა ტონი სმიტი („ფინიქსიდან") ტერენს რენშერის სანაცვლოდ; აიყვანა ტიმ ჰარდევეი და კრის გეტლინგი (ორივე „გოლდენ სტეიტიდან") კევინ ვილისის და ბიმბო კოულზის სანაცვლოდ; აიყვანა უოლტ ვილიამსი და ტაირონ კორბინი (ორივე „საკრამენტოდან") ბილი ოუენსის და კევინ გემბლის სანაცვლოდ

**ფინიქს სანზი:** აიყვანა ტერენს რენშერი („მაიამიდან") ტონი სმიტის სანაცვლოდ

**გოლდენ სტეიტ ვორიორზი:** აიყვანა კევინ ვილისი და ბიმბო კოულზი (ორივე „მაიამიდან") ტიმ ჰარდევეის და კრის გეტლინგის სანაცვლოდ

**საკრამენტო კინგზი:** აიყანა ბილი ოუენსი და კევინ გემბლი (ორივე „მაიამიდან") უოლტ ვილიამსის და ტაირონ კორბინის სანაცვლოდ

**ორლანდო მეჯიქი:** აიყვანა კენი გეტისონი და მიილო დრაფტის არჩევანი (ორივე „ვანკუვერიდან") ჯეფ ტერნერის სანაცვლოდ

**ვანკუვერ გრიზლიზი:** აიყვანა ჯეფ ტერნერი („ორლანდოდან") კენი გეტისონის და დრაფტის არჩევანის სანაცვლოდ

**ატლანტა ჰოქსი:** აიყვანა კრისტინ ლეიტნერი და შონ რუქსი (ორივე „მინესოტადან") სპად ვების და ენდრიუ ლენგის სანაცვლოდ

**„მინესოტა ტიმბერვულვზი":** აიყვანა სპად ვები და ენდრიუ ლენგი (ორივე „ატლანტადან") კრისტიან ლეიტნერის და შონ რუქსის სანაცვლოდ

**ტორონტო რეპტორზი:** აიყვანა შერონ რაიტი („ფილადელფიიდან") ედ პინქნის, ტონი მასენბურგის და დრაფტის ორი არჩევანის სანაცვლოდ

**ფილადელფია 76:** აიყვანა ედ პინქნი, ტონი მასენბურგი და მიილო დრაფტის ორი არჩევანი (ყველა „ფილადელფიადან") შერონ რაიტის სანაცვლოდ

### 1995 წლის 23 თებერვალი

**დალას მავერიქსი:** აიყვანა სკოტ ბრუქსი („ჰიუსტონიდან") მორლონ ვაილის და დრაფტის არჩევანის სანაცვლოდ

**ჰიუსტონ როკიტსი:** აიყვანა მორლონ ვაილი და მიილო დრაფტის არჩევანი (ორივე „დალასიდან") სკოტ ბრუქსის სანაცვლოდ

### 1994 წლის 24 თებერვალი

**მილუოკი ბაქსი:** აიყვანა მაიკ გმინსკი („შარლოტიდან") ფრენკ ბრიკოვსკის და დრაფტის არჩევანის სანაცვლოდ; მიილო დრაფტის არჩევანი („ლეიკერსიდან") დენი შეიესის სანაცვლოდ

**შარლოტ ჰორნეთსი:** აიყვანა ფრენკ ბრიკოვსკი და მიილო დრაფტის არჩევანი (ორივე „მილუოკიდან") მაიკ გმინსკის სანაცვლოდ

**ლოს ანჯელეს ლეიკერსი:** აიყვანა დენი შეიესი („მილუოკიდან") დრაფტის არჩევანის სანაცვლოდ

**ატლანტა ჰოქსი:** აიყვანა დენი მენინგი („კლიპერსიდან") დომინიკ ვილკინსის და დრაფტის არჩევანის სანაცვლოდ

**ლოს ანჯელეს კლიპერსი:** აიყვანა დომინიკ ვილკინსი და მიილო დრაფტის არჩევანი (ორივე „ატლანტადან") დენი მენინგის სანაცვლოდ

**იუტა ჯაზი:** აიყვანა ჯეფ ჰორნაჩეკი, შონ გრინი და მიილო დრაფტის არჩევანი (ყველა „ფილადელფიადან") ჯეფ მელოუნის და დრაფტის არჩევანის სანაცვლოდ

**ფილადელფია 76:** აიყვანა ჯეფ მელოუნი და მიილო დრაფტის არჩევანი (ორივე „იუტადან") ჯეფ ჰორნაჩეკის, შონ გრინის და დრაფტის არჩევანის სანაცვლოდ

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანია. ბუნდესლიგა. 22-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 თებერვალი | | | |
| 003 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 004 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 005 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 006 | ბაიერნი-აინტრახტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 007 | ბაიერნი-აინტრახტი | | | |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 008 | დუისბურგი-შტუტგარტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 27 თებერვალი | | | |
| 009 | უნტერჰახინგი-შალკე | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 010 | დორტმუნდი-მიუნხენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-20 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 თებერვალი | | | |
| 015 | მაინცი-კოტბუსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 27 თებერვალი | | | |
| 016 | კიკერსი-კიოლნი (17.45) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 017 | ვალდჰოფი-ჰანოვერი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 018 | ფორტუნა-ნიურნბერგი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 019 | ფიურტი-ობერჰაუზენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 28 თებერვალი | | | |
| 020 | მიონხენგლადბახი-კარლსრუე | 1,5 | 3,4 | 5,6 |

ინგლისი. პრემიერლიგა. 26-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 თებერვალი | | | |
| 021 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 022 | არსენალი-საუთჰემპტონი | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 023 | ბრედფორდი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 024 | ჩელსი-უოტფორდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 025 | ჩელსი-უოტფორდი | | | |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 026 | ქოვენთრი-ტოტენჰემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 027 | მიდლსბრო-ლიდსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 028 | უენსდი-ნიუკასლი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 029 | სანდერლენდი-დერბი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 030 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 031 | უიმბლდონი-მანჩესტერი | 5,0 | 3,2 | 1,6 |

ინგლისი. I დივიზიონი. 33-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 თებერვალი | | | |
| 032 | ბარნსლი-ბოლტონი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 033 | ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 034 | ჩარლტონი-შეფილდი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 035 | ჩარლტონი-შეფილდი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 036 | გრიმსბი-კრისტალ პალასი | 1,9 | 3,2 | 2,3 |
| 037 | მანჩესტერ სიტი-უოლსოლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 038 | მანჩ.სიტი-უოლსოლი | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 039 | ნორვიჩი-ჰადერსფილდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 040 | პორტ ვეილი-სტოკპორტი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 041 | სუინდონი-ქრიუ | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 042 | ვულვერჰემპტონი-ნოტინგემი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 27 თებერვალი | | | |
| 043 | ბირმინგემი-იფსვიჩი (16.00) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 28 თებერვალი | | | |
| 044 | ქუინზ პარკი-ფულემი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

ინგლისი. II დივიზიონი. 33-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 თებერვალი | | | |
| 045 | ბორნმუთი-ბლეკპული | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 046 | ბრისტოლი-სკანთორპი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 047 | კემბრიჯი-მილუოლი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| 048 | ჩესტერფილდი-რედინგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 049 | კოლჩესტერი-ბარნლი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 050 | ლუტონი-ბრენტფორდი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 051 | ნოტსი-კარდიფი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 052 | ოლდემი-როვერსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 053 | ოქსფორდი-რექსემი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 054 | პრესტონი-ჯილინგემი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 055 | უიგანი-სტოკი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 056 | უიკომბი-ბერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

ინგლისი. III დივიზიონი. 33-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 თებერვალი | | | |
| 057 | კარლაისლი-შრიუსბერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 058 | ჩელტენემი-პიტერბრო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 059 | ჩესტერი-ბრაიტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 060 | ჰალიფაქსი-საუთენდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 061 | მაკლსფილდი-ლინკოლნი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 062 | მენსფილდი-დარლინგტონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 063 | ნორთჰემპტონი-ბარნეტი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 064 | პლიმუთი-ჰარტლპული | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 065 | როჩდეილი-როტერჰემი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 066 | სუონსი-ჰალი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 067 | სუონსი-ჰალი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 068 | ტორკი-ლეიტონი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| 069 | იორკი-ექსეტერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

საფრანგეთი. I დივიზიონი. 27-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 თებერვალი | | | |
| 070 | პსჟ-ნანსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 071 | პსჟ-ნანსი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 072 | მეცი-სედანი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 073 | რენი-ლე ავრი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 074 | ტრუა-სენტ ეტიენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 075 | მონპელიე-ლანსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 076 | ბორდო-ნანტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 077 | ბასტია-ოსერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 078 | ლიონი-მარსელი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 27 თებერვალი | | | |
| 079 | სტრასბური-მონაკო | 3,2 | 2,9 | 2,1 |

საფრანგეთი. II დივიზიონი. 28-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 თებერვალი | | | |
| 080 | ლე მანი-ლილი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 081 | ვასკეალი-გინგამი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 082 | ტულუზი-ლავალი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 083 | ლუანი-ნიმი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 084 | შატორუ-ნიცა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 085 | კრეტეი-აიაჩო | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 086 | ვალანსი-ლორიანი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 087 | კანი-გენიონი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 088 | ნიორი-ამიენი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

იტალია. სერია "ა". 23-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 თებერვალი | | | |
| 089 | ლაციო-უდინეზე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 090 | ლაციო-უდინეზე | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 091 | პარმა-ფიორენტინა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | 27 თებერვალი | | | |
| 092 | რეჯინა-ლეჩე | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| 093 | კალიარი-მილანი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 094 | ბოლონია-პიაჩენცა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 095 | ბარი-ტორინო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 096 | ინტერი-ვენეცია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 097 | ინტერი-ვენეცია | | | |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 098 | პერუჯა-ვერონა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 099 | იუვენტუსი-რომა | 1,9 | 2,7 | 4,0 |

იტალია. სერია "ბ". 24-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 თებერვალი | | | |
| 101 | ბრეშა-ალძანო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 102 | ჩეზენა-ემპოლი | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 103 | სალერნიტანა-ჯენოა | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 104 | ფერმანა-პესკარა | 2,6 | 2,5 | 2,8 |
| 105 | კიევო-პისტოიეზე | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 106 | სავოია-რავენა | 2,5 | 2,5 | 2,9 |
| 107 | ატალანტა-ტერნანა | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 108 | ატალანტა-ტერნანა | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 109 | მონცა-ტრევიზო | 2,3 | 2,5 | 3,2 |
| | 28 თებერვალი | | | |
| 110 | ვიჩენცა-ნაპოლი | 1,8 | 2,6 | 5,0 |

იტალია. სერია "ც1/ა". 24-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 თებერვალი | | | |
| 111 | კრემონეზე-ალბინოლეფევე (17.30) | 2,3 | 2,4 | 3,4 |
| 112 | ლუკეზე-კარარეზე (17.30) | 1,5 | 2,9 | 8,0 |
| 113 | ლეკო-ჩიტადელა (17.30) | 2,5 | 2,4 | 3,0 |
| 114 | ვარეზე-კომო (17.30) | 1,7 | 2,5 | 6,5 |
| 115 | სპალ-ლივორნო (17.30) | 1,6 | 2,7 | 7,0 |
| 116 | სანდონა-ლუმეცანე (17.30) | 2,1 | 2,4 | 3,8 |
| 117 | პიზა-მოდენა (17.30) | 1,6 | 2,6 | 7,5 |
| 118 | სიენა-მონტევარკი (17.30) | 1,3 | 3,6 | 9,0 |
| 119 | სიენა-მონტევარკი | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 28 თებერვალი | | | |
| 120 | რეჯანა-ბრეშელო | 1,8 | 2,5 | 5,3 |

იტალია. სერია "ც1/ბ". 24-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 27 თებერვალი | | | |
| 121 | დი სანგრო-ანკონა (17.30) | 3,0 | 2,4 | 2,5 |
| 122 | მარსალა-ასკოლი (17.30) | 3,0 | 2,5 | 2,4 |
| 123 | ფ.ანდრია-ბენევენტო (17.30) | 2,3 | 2,5 | 3,2 |
| 124 | ვიტერბეზე-კატანია (17.30) | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 125 | ატლეტიკო-კროტონე (17.30) | 3,4 | 2,5 | 2,2 |
| 126 | აველინო-ჯულიანოვა (17.30) | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 127 | არეცო-ლოდიჯანი (17.30) | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 128 | გუალდო-ნოჩერინა (17.30) | 2,2 | 2,4 | 3,5 |
| 129 | სტაბია-პალერმო (17.30) | 2,3 | 2,5 | 3,2 |

ესპანეთი. I დივიზიონი. 26-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 თებერვალი | | | |
| 130 | ნუმანსია-ვალენსია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 131 | რეალი-ბარსელონა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 27 თებერვალი | | | |
| 132 | სარაგოსა-სელტა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 133 | რასინგი-სოსიედადი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 134 | ესპანიოლი-რაიო ვალეკანო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 135 | ალავესი-ატლეტიკო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 136 | ვალიადოლიდი-ოვიედო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 137 | ბილბაო-მალაგა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 138 | დეპორტივო-მალიორკა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 139 | ბეტისი-სევილია | 1,6 | 3,3 | 4,7 |

ესპანეთი. II დივიზიონი. 28-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 26 თებერვალი | | | |
| 140 | სპორტინგი-ბადახოსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 27 თებერვალი | | | |
| 141 | ატლეტიკო "ბ"-ლოგრონიესი (15.00) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 142 | ლეგანესი-ლას პალმასი (15.00) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 143 | ვილიარეალი-ელჩე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 144 | ლევანტე-ეიბარი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 145 | უელვა-ალბასეტე | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 146 | ტოლედო-სალამანკა | 3,8 | 3,1 | 1,8 |
| 147 | მერიდა-ლეიდა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 148 | ოსასუნა-კორდობა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 149 | კომპოსტელა-ესტრემადურა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 150 | ტენერიფე-ხეტაფე | 1,5 | 3,4 | 5,6 |

პორტუგალია. 23-ე ტური

27 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 154 | ალვერკა-გიმარაეში | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 155 | ჟილ ვისენტე-მარიტიმუ | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 156 | ფარენსე-სალგეირუში | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 157 | სეტუბალი-სანტა კლარა | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 158 | რიუ ავე-კამპომაიორენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 159 | ამადორა-ბენფიკა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 28 თებერვალი | | | |
| 160 | ბოავიშტა-სპორტინგი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

ჰოლანდია. 23-ე ტური

26 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 162 | სიტარდი-ტილბურგი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| 163 | ფეიენოორდი-მაასტრიხტი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 164 | ფეიენოორდი-მაასტრიხტი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 27 თებერვალი | | | |
| 165 | სპარტა-ნაიმეგენი (17.$^{30}$) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 166 | ვალვაიკი-ვიტესი (17.$^{30}$) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 167 | უტრეხტი-ალკმაარი (17.$^{30}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 168 | ტვენტე-ჰერენვენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

ბელგია

27 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 169 | ბრიუგე-ანდერლეხტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

საბერძნეთი. მე-21 ტური

27 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 170 | კალამატა-პანათინაიკოსი (17.$^{00}$) | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 171 | პანაჰაიკი-ქსანთი (17.$^{00}$) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 172 | ეთნიკოსი-პაოკ (17.$^{00}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 173 | პროდეფტიკი-ოფი (17.$^{00}$) | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 174 | ირაკლისი-აეკ (17.$^{00}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 175 | პანიონიოსი-არისი (17.$^{00}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 176 | პანილიაკოსი-ტრიკალა (17.$^{00}$) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 177 | პანილიაკოსი-ტრიკალა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 178 | აპოლონი-იონიკოსი (17.$^{00}$) | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| 179 | ოლიმპიაკოსი-კავალა (17.$^{00}$) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 180 | ოლიმპიაკოსი-კავალა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

ჩეხეთი. მე-18 ტური

27 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 184 | ვიქტორია-ბრნო (13.$^{15}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 185 | დუკლა-ტეპლიცე (17.$^{00}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 186 | იაბლონეცი-სპარტა (17.$^{00}$) | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 187 | ოპავა-ბუდეიოვიცე (17.$^{00}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 188 | სიგმა-ბანიკი (17.$^{00}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 189 | ბლშანი-ლიბერეცი (17.$^{00}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |

თურქეთი. მე-22 ტური

26 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 192 | ტრაბზონი-გიოზთეფე (15.$^{30}$) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 193 | ტრაბზონი-გიოზთეფე 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 194 | ანკარაგიუჯიუ-ბურსა (15.$^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 195 | ადანა-ანთალია (15.$^{30}$) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 196 | ქოჯაელი-ბეშიქთაში | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 27 თებერვალი | | | |
| 197 | ვანი-დენიზლი (14.$^{00}$) | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 198 | ალთაი-გენჩლერბირლიგი (15.$^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 199 | ისთანბული-ერზურუმი (15.$^{30}$) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 200 | გაზიანთეფი-ფენერბაჩე | 3,0 | 2,9 | 2,2 |

შოტლანდია. 24-ე ტური

26 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 201 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 202 | ჰართსი-კილმარნოკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 203 | სენტ ჯონსტონი-დანდი იუნ. | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 27 თებერვალი | | | |
| 204 | დანდი-რეინჯერსი | 5,6 | 3,4 | 1,5 |

ინგლისი. ლიგის თასის ფინალი

27 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 205 | ლესტერი-ტრანმერი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

ბელგია. თასის 1/4 ფინალი

26 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 206 | სტანდარდი-მონი (III) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 207 | ლიერსი-ლოკერენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 208 | სენტ ტრუიდენი-აალსტი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| | 27 თებერვალი | | | |
| 209 | გენკი-გენტი | 2,0 | 3,1 | 3,2 |

კალათბურთი. NBA

26 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 860 | ნიუ ჯერსი-შარლოტი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 861 | ვაშინგტონი-მაიამი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 862 | ინდიანა-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 863 | დალასი-დენვერი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 864 | კლიპერსი-ატლანტა | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 865 | ვანკუვერი-საკრამენტო | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| | 27 თებერვალი | | | |
| 866 | ნიუ იორკი-ფილადელფია | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 867 | ტორონტო-ფინიქსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 868 | დეტროიტი-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 869 | მილუოკი-ორლანდო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 870 | მინესოტა-სან ანტონიო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 871 | ლეიკერსი-ჰიუსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 872 | პორტლენდი-იუტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | 28 თებერვალი | | | |
| 873 | ბოსტონი-დალასი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 874 | მაიამი-ნიუ იორკი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 875 | შარლოტი-სიეტლი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 876 | იუტა-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 877 | კლიპერსი-ჰიუსტონი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 878 | გოლდენ სტეიტი-ატლანტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |

კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი

26 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 879 | შვეიცარია-სლოვაკეთი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 880 | ხორვატია-ლატვია | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 881 | უნგრეთი-ინგლისი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 882 | ავსტრია-ბელარუსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 883 | ჩეხეთი-ესტონეთი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 884 | საბერძნეთი-პოლონეთი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 885 | ფინეთი-ჰოლანდია | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 886 | ისრაელი-ბულგარეთი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 887 | ბოსნია-შვედეთი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 888 | ისლანდია-პორტუგალია | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 889 | სლოვენია-ბელგია | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 890 | მაკედონია-უკრაინა | 1,7 | 12,0 | 1,7 |

ჰოკეი. NHL

26 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 900 | ტორონტო-ბუფალო | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 901 | მონრეალი-ვაშინგტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 902 | ოტავა-რეინჯერსი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 903 | აილენდერსი-ფილადელფია | 3,0 | 4,0 | 1,5 |
| 904 | პიტსბურგი-ბოსტონი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 905 | ფლორიდა-კაროლინა | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 906 | ნეშვილი-ტამპა ბეი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 907 | კალგარი-ატლანტა | 1,35 | 4,0 | 3,6 |
| 908 | სან ხოსე-ლოს ანჯელესი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| | 27 თებერვალი | | | |
| 909 | სენტ ლუისი-ჩიკაგო | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 910 | ნიუ ჯერსი-მონრეალი | 1,35 | 4,0 | 3,6 |
| 911 | დეტროიტი-ტამპა ბეი | 1,2 | 4,0 | 5,0 |
| 912 | დალასი-კოლორადო | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 913 | ანაჰაიმი-ედმონტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 914 | ვანკუვერი-ფინიქსი | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| | 28 თებერვალი | | | |
| 915 | აილენდერსი-ვაშინგტონი | 2,4 | 4,0 | 1,7 |
| 916 | პიტსბურგი-ოტავა | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 917 | ფლორიდა-ბუფალო | 1,6 | 4,0 | 2,7 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, შინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზე-რაგბი



ველინგტონელთა ჯინი ჯონა ლომუ

*გუშინ სამხრეთ ნახევარსფეროს უმთავრესი საკლუბო ტურნირი დაიწყო. ზე 12-მა მეხუთედ აიღო სტარტი. წლევანდელი ტურნირი წინამორბედებისგან საკმაოდ განსხვავებული იქნება. არა, არც გათამაშების ფორმულა შეცვლილა და არც გუნდები. უბრალოდ, რაგბიში ახალი წესებია. მოიერიშეთა წახალისებისთვის შემოღებული სიახლეები ჩრდილოელებმა უკვე დააჭაშნიკეს და მათზე აღარ შევჩერდებით. სამხრეთში კი ამიერიდან მსაჯებს ვიდეოკამერებიც მიეხმარება, რომლებიც სალელოე მოედნებზე დამონტაჟდება და საკამათო სიტუაციებში მსაჯებს სწორი გადაწყვეტილების მიღებას გაუადვილებს.*

*სეზონის დასაწყისში, ისევე, როგორც შარშან, ბევრი მორაგბეა დაშავებული. მაგალითად, ბობი სკინსტედი ავარიაში დაიმტვრა, ჯანი დე ბეერს კი ადრე მიღებული ტრავმის გამო მოუწევს რამდენიმე მატჩის გამოტოვება.*

*მსოფლიოს თასის შემდგომი წელია და ეს, ალბათ, ზე 12-ისადმი ინტერესს გაზრდის, უპირველესად კი თვით მორაგბეებში. ყველა გამარჯვებისთვის იბრძოლებს და შარშანდელივით ძალების დაზოგვას არ შეეცდება. რა თქმა უნდა, სამი ერის პირველობაც მეტად პრესტიჟულია, მაგრამ მსოფლიოს თასი მაინც სხვა რამეა. ერთი სიტყვით, იმედი ვიქონიოთ, რომ ბრძოლები ძალიან საინტერესო და დაძაბული იქნება და ეგებ პირველად ტურნირი ახალზელანდიურმა კი არა, სხვა ქვეყნის გუნდმაც მოიგოს.*

*მიუხედავად სამხრეთაფრიკელთა და ავსტრალიელთა მცდელობისა, წინა ოთხი ზე-12 ახალზელანდიური კლუბების გამარჯვებით დასრულდა.*

*ახლა ორიოდ სიტყვით თითოეულ გუნდზე ვთქვათ:*

**ოკლენდს** პირველ ოთხეულში და შესაბამისად, ნახევარფინალში მოხვედრის მშვენიერი შანსი აქვს, მაგრამ ამის გაკეთება მაინც ძალიან გაუჭირდება. უკანა ხაზის საშუალო ასაკი ერთდროულად დადებითი და უარყოფითი ფაქტორიც იქნება — დიდი გამოცდილება, მაგრამ ნაკლები ფიზიკური გამძლეობა. ოკლენდელებს დაილენ მიკასა და ენდრიუ ბლოუერსის დაბრუნება ერთობ წაადგებათ, თუმცა 5-6 კვირა, დაშავებული კარლოს სპენსერის გარეშე მოუწევთ თამაში. „ოკლენდი“ წლეულს ყველანაირად შეეცდება, შარშანდელი ჩავარდნა (მე-9 ადგილი) აღარ განმეორდეს.

**დანიდინი** შარშან ძალიან ახლოს იყო ჩემპიონობასთან, მაგრამ ფინალში ფეხი დაუცდა. წლეულს დანიდინის გუნდი ძალიან ძლიერი ჩანს, რაზეც მისი მორაგბეების სახელებიც მეტყველებს. შერკინების პირველი ხაზი მთლიანად ოლბლექსურია — პოლ მილერი, ტეინ რენდელი, ჯოშ კრინფელდი. მე-15 ნომერი კი ჯეფ უილსონია, რომელიც ახალი ზელანდიის ნაკრებში ბრწყინავს და უამრავი ლელოც გააქვს. უნდა ვიჩემპიონოთო, დაიქადნა კიდეც მთავარმა მწვრთნელმა პიტერ სლოუნმა.

**კრაისტჩერჩი** ორგზის ჩემპიონია, მაგრამ წლეულს ფავორიტად მაინც არ ითვლება. თუმცა შარშანაც არავის სჯეროდა მისი გამარჯვებისა... ასე რომ, კრაისტჩერჩულთა მეტოქეებს სიფრთხილე მართებთ. მთავარი ძალა ნახევარმცველებია. უკანა ხაზი რამდენიმე უცხოელითაა გაძლიერებული, რომელთაგან უნდა გამოვარჩიოთ სამოელი აფატო სოოალო და ფიჯელი მარიკა ვუნიბაკა. ეს ორი ფრთა კრაისტჩერჩის შეტევებს მეტად სახიფათოს გახდის.

**ჰამილტონი** საკმაოდ კარგი შარშანდელი სეზონის (მე-6 ადგილი) შემდეგ წლეულს სასწაულს არ უნდა ელოდეს. მათ შემადგენლობაში მჭუხარე სახელები არაა. მსოფლიოს თასზე ამ გუნდიდან მხოლოდ ფიჯელთა კაპიტანი გრეგ სმიტი თამაშობდა.

**კრისტიან კალენი**, ტანა უმაგა, ჯონა ლომუ, ალამა იერემია... ეს ველინგტონის ველინგტონის უკანა ხაზია და არა „ოლ ბლექსისა“. შერკინებაც რომ ასეთი დონის ჰყავდეს, ამ გუნდს ვერავინ აჯობებდა, მაგრამ წინა ხაზი საკმაოდ სუსტია და მისი დანიშნულებაც მხოლოდ ბურთის სამმეოთხედელებამდე მიტანაა, მერე კი — კალენი, უმაგა, ლომუ, იერემია... მხოლოდ მათ ხარჯზეც შეიძლება წარმატებაზე ფიქრი.

**პრეტორია** სავარაუდოდ ამ სეზონსაც ისევე უსახურად ჩაატარებს, როგორც შარშანდელს, როცა მხოლოდ ერთი გამარჯვება მოიპოვა და ბოლო ადგილზე გავიდა. გუნდი ერთ-ერთმა ლიდერმა იოსტ ფან დერ ვესტჰოიზენმა დატოვა, თუმცა პირველ ტურებში მხოლოდ მას არ მოისაკლისებს — როგორც ზემოთ ვთქვით, ჯანი დე ბეერი დაშავებულია და კიდევ 2-3 კვირა ვერ ითამაშებს. ნაკა დროცკესა და ოსტ დიუ რანდტის კლუბში მისვლა კი ყველა სისუსტეს ვერ ამოფხვრის.

**შარშან** მეთერთმეტე ადგილზე გასულ იოჰანესბურგს წლეულსაც საკმაოდ გაუჭირდება. მით უმეტეს, რომ ორი მოწინავე მოთამაშე — დროცკე და დიუ რანდტი პრეტორიაში გადაბარგდა.

**დურბანის** შემადგენლობაში რამდენიმე კარგი მორაგბეა, თუმცა ეს სულაც არ კმარა იმისთვის, რომ გუნდმა მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს. „შარქსი“ უეჭველად კარგი საშუალო გუნდი იქნება, რომლის დამარცხებაც, განსაკუთრებით დურბანში, ყველას გაუჭირდება. სეზონის დასაწყისი გუნდისთვის მძიმე იქნება — ჯერ ერთი, მას ზედიზედ ოთხი მატჩი ელის სტუმრად, მეორეც — მსოფლიოს თასის მცირე ფინალში ერთადერთი ლელოს გამტანი დეონ კეიზერიც დააკლდება.

**სამხრეთაფრიკულ** გუნდთაგან ყველაზე ძლიერი უდავოდ კეიპტაუნია. შარშან მან მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ მერე ნახევარფინალში დანიდინთან დამარცხდა. იგივე წარმატების გამეორება ამჯერად გაძნელდება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. გუნდი თავიდან დაშავებულ ბობი სკინსტედს მოისაკლისებს, თუმცა რობი ფლეკს, პერსი მონტგომერის, პიტერ როსოუს და კობეს ვიზაჟის მისი არყოფნის დროსაც არ გაუჭირდებათ.

**ავსტრალია** ამჟამად ზე 12-ში თავისი გუნდების რაოდენობის გაზრდას მოითხოვს, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ სამი გუნდია ძლიერი მორაგბეებით დაკომპლექტებული. სწორედ ამის გამოა, რომ კანბერა შემადგენლობით ერთ-ერთი უძლიერესია ტურნირში და ბუქმეიკერებიც უმთავრეს ფავორიტად სწორედ მას მიიჩნევენ. უნდა ითქვას, რომ სტივენ ლაკჰემის, ჯორჯ გრეგანის, ჯო როფის და სხვათა ძალისხმევით ამ გუნდს შარშანდელივით ცოტა აღარ უნდა დააკლდეს (მე-5 ადგილი) ნახევარფინალამდე. ავსტრალიელ ქომაგებს ამის დიდი იმედი აქვთ.

**მეორე** ავსტრალიური გუნდი, ბრისბენიც საკმაოდ ძლიერია საიმისოდ, რომ ესოდენ პრესტიჟულ ტურნირზე ღირსეულად ითამაშოს. შარშან მან ჯგუფური ტურნირი მოიგო, მაგრამ ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონთან დამარცხდა. შემადგენლობა მართლაც რომ ძლიერია. კაპიტანი „ვოლაბების“ წინამძღოლი ჯონ ილსია. მას გარდა „ქვინზლენდ რედსის“ რიგებში კიდევ რამდენიმე მსოფლიოს ჩემპიონია — ტუტაი კეფუ, ბენ ტიუნი...

**ავსტრალიურ** რაგბიში სიდნეი საკმაოდ სუსტ გუნდადაა მიჩნეული და ზე 12-შიც მისგან არავინ ელის დიდ წარმატებებს, და ეს მიუხედავად იმისა, რომ კლუბში ისეთი ძლიერი მორაგბეები თამაშობენ, როგორებიც არიან მეტიუ ბარკი ანა ტიენ სტრაუსი. მათ გარდა აქ ბევრი ახალგაზრდა, იმედისმომცემი მოთამაშეა, მაგრამ ფინალურ ოთხეულში მოხვედრა სიდნეელებს მაინც უნდა გაუჭირდეთ.

**გაიოზ თალაქვაძე**

ძიუდო





ბიძინა მაზიაშვილი

# მაზიაშვილმა თქვა...

**გუშინ** ჟურნალისტთა სახლში ძიუდოისტთა ამაგდარმა მწვრთნელმა ბიძინა მაზიაშვილმა პრესკონფერენციაზე მიგვიწვია. ბატონი ბიძინას მიერ დასმული კითხვა — ღირს თუ არა სრული გუნდით ლიცენზიებისთვის ბრძოლაო, ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

თუმცა პრესკონფერენცია მხოლოდ ამ საკითხით არ შემოფარგლულა და დროდადრო ძიუდოს ფარგლებსაც გასცდა. მაზიაშვილი უამრავ თემას შეეხო, ფედერაციის დაფინანსებიდან დაწყებული, დეპარტამენტთან ურთიერთობით დამთავრებული, თუმცა იმასაც არაერთხელ გაუსვა ხაზი, სათქმელ კიდევ ბევრი დამრჩაო. მას თურმე არ მოსწონს, რომ ფედერაცია ფინანსურად დეპარტამენტზეა დამოკიდებული და ჯიბეთხლადაა, რომ მწვრთნელ-სპორტსმენები ვერ იღებენ ხელფასებს... თუმც პრობლემათა გადაჭრის რეალური გზა მაინც ვერ მოიძებნა.

ღირს შვიდი კაცით ოლიმპიადაზე წასვლა, როცა მედალს უმეტესობისგან არ ველით. ხომ არ აჯობებს, სალიცენზიო ტურნირებზე მხოლოდ ისინი წავიყვანოთ, ვინც მედლის კანდიდატია, გამოთავისუფლებული ფული კი მომავალ თაობას მოვახმაროთ? ეს კითხვა ბიძინა მაზიაშვილს გასჩენია, გუშინ ჩვენამდე მოიტანა და აზრის გამოთქმა გვთხოვა. არა მგონია, ეს პრესკონფერენცია მას ტკბილ მოგონებად დარჩეს, რადგან სტუმართა უმრავლესობამ მისი მოსაზრება არ გაიზიარა. მით უფრო, ვერც მაზიაშვილმა დაგვისახელა კრიტერიუმი, როგორ გამოვავლინოთ მედლის რეალური კანდიდატები.

მაზიაშვილმა ფედერაციასაც უსაყვედურა, ოთხი წელია, აღმასკომის სხდომა არ ჩატარებულაო, თუმც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ანზორ მარტყოფლიშვილმა იქვე უპასუხა, სხდომებს თავად არ ესწრებოდით და საიდან გეცოდინებათო.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა

# გიორგაძემ და გულიაშვილმა სიდნეის ბილეთები აიღეს

**„ბერძენ-რომაელმა“** მირიან გიორგაძემ (მძიმე) ტაშკენტში ჩატარებულ სალიცენზიო ტურნირზე რომ სიდნეის ოლიმპიადის საგზური გაინაღდა, გუშინწინ გაცნობეთ. ნაკრების მთავარ მწვრთნელ, ბეგი დარჩიასთან საუბარში ისიც გაირკვა, რომ ლიცენზია თურმე კობა გულიაშვილმაც (58) მოიპოვა. დარჩიამ სხვა საინტერესო ამბებიც გვიამბო. კერძოდ ის, რომ 14-16 აპრილს მოსკოვში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრები ლამის მეორე შემადგენლობით იასპარეზებს.

**— სალიცენზიო ტურნირების ნახევარზე მეტი უკვე მოილიეთ და ალბათ, გარკვეულ დასკვნებსაც გამოიტანდით.**

— ბოლო ტურნირში ლიცენზიის მოპოვების შანსი სამ წონაში გვქონდა. ტაშკენტში კობა გულიაშვილმა (58) და მირიან გიორგაძემ (მძიმე) საბოლოოდ გაინაღდეს ოლიმპიადის საგზურები. ჩატარებული სამი სალიცენზიო ტურნირის შედეგების მიხედვით შედგენილ რეიტინგში გიორგაძე პირველია, გულიაშვილი — მეორე. რაც შეეხება მესამე წონას, ეს 63 კილოგრამია. აქ აკაკი ჩაჩუას ტრავმის მერე სხვადასხვა მოჭიდავე გამოვცადეთ, რათა გუნდსაც ქულებით შეშველებოდნენ და თავიც გამოეცადათ. ამ წონაში საქართველო მეშვიდე-მერვე ადგილებს იყოფს ბულგარეთთან. ისე, ტაშკენტში მსაჯებმა ლევან ოდიშარია დაგვიჩაგრეს, თორემ იქნებ ლიცენზია აქაც მოგვეპოვებინა. მომავალ ტურნირში ამერიკაში ჩაჩუა წავა. 69 და 85 კილოში თეორიული შანსიც არ გვქონდა და არავინ წაგვიყვანია. მათ იმედად მხოლოდ ევროპის ჩემპიონატი დარჩათ.

**— ჩაჩუას ტრავმის მერე კლერმონფერანში შმაგი გოქაძის წაყვანა იძულებითი ნაბიჯი იყო, ტაშკენტში კი დებიუტანტი ლევან ოდიშარია იახლეთ. რატომ, გოქაძის ჭიდაობამ არ დაგაკმაყოფილათ თუ ოდიშარიას თავის გამოჩენის შესაძლებლობა მიეცით?**

— გოქაძითაც უკმაყოფილო ვიყავი და ოდიშარიას სტაბილურობაც ყურადღებას იქცევდა. მან კარგად იჭიდავა, მიუხედავად იმისა, რომ დებიუტი ჰქონდა დიდებში. პირველივე შეხვედრაში ოლიმპიურ ჩემპიონს, პოლონელ ვლოძიმეჟ ზავადსკის შეხვდა და წააგო კიდეც. ოდიშარიას მომდევნო მეტოქე შვედი მოზერი იყო, რომელიც რეიტინგში მესამეა. აი, სწორედ მაშინ დაჩაგრეს მსაჯებმა. სამაგიეროდ, მოუგო სწორედ იმ ბულგარელს, რომელიც სალიცენზიო ადგილში გვეზიარება.

**— ჩაჩუა საბოლოოდ გამოჯანმრთელდა?**

— უკვე ვარჯიშობს. თუმცა მას ისევ დავაკვირდებით. თუ ბოლომდე არ გამოკეთდა, მისი წასვლა უაზრობაა.

**— ეს ტურნირი რომ გამოეტოვა და ეგვიპტეში წასულიყო? მანამდე ხომ გამოჯანმრთელდებოდა კიდეც.**

— საქმე ისაა, რომ ჩვენ გვაინტერესებს მონაწილეთა სიმრავლე, რადგან ქულები მათი რაოდენობის მიხედვით გაიცემა. რაც უფრო მეტია სპორტსმენი, მით უფრო დიდია მაღალი ქულების მიღების შესაძლებლობა. როგორც ვიცი, ამერიკაში ბევრად ნაკლები მოჭიდავე იქნება, ვიდრე აქამდე. ეგვიპტეში კიდევ უფრო ცოტანი მოიყრიან თავს. სწორედ ამიტომ, რადგან ეგვიპტური ვარიანტი ნაკლებად მისაღებია, ვაგზავნით ჩაჩუას ამერიკაში. ყველაზე დაბალი შედეგი ოდიშარიამ აჩვენა და იქნებ იგი გაუქმდეს. როგორც იცით, რეიტინგში სამი საუკეთესო შედეგი შედის. თუ ამერიკაში აკაკიმ უკეთესი ქულები მიიღო, მაშინ სწორედ ეს შედეგი ჩაგვეთვლება, ხოლო ტაშკენტისა — არა.

**— ბოლოს, ლიცენზირებულთა საოლიმპიადო მზადებაზეც ვთქვათ. მით უფრო, ისინი უკვე ხუთნი არიან.**

— გულიაშვილი და მელელაშვილი (76) ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებენ და ოლიმპიადისთვის ინდივიდუალური გეგმით მოემზადებიან, რომელიც უკვე შევიმუშავეთ. კარგა ხანია, გიორგაძეს მუხლები სტკივა. მართალია, მკურნალობამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ თუ ბოლომდე არ გამოჯანმრთელდა, არც მას ვიახლებთ მოსკოვში. იქ აუცილებლად წავლენ ალექსანდრე ცერცვაძე (54) და გენადი ჩხაიძე (97), რომლებსაც პრაქტიკა აკლიათ. ჩვენთვის უმთავრესი ოლიმპიადაა და არა ევროპა. კონტინენტის პირველობაზე გაემგზავრებიან იმ წონების ლიდერები, სადაც ლიცენზია ჯერ არ მოგვიპოვებია, ოღონდ თუ 69-ში გიორგი ჯინჭველაშვილის გამოსვლა გადაწყვეტილია, 85-ში ვის დავაყენებ, ჯერ გასარკვევია. მოსკოვში ძირითადად ახალგაზრდებს წავიყვანთ გამოცდილების შესაძენად. რაც შეეხება ლიცენზირებულთა საოლიმპიადო მზადებას, ისინი ახლა ბაკურიანში არიან შეკრებაზე.

**ირაკლი თავაძე**

# ფილადელფიაში პინგვინები არ უყვართ

24 თებერვალი

**კაროლინა — ფლორიდა 2:4**

1:1 0:0 1:3

1:0 ონეილი 3'53 (17); 1:1 რ. ჯონსონი 10'10 (4); 1:2 ლოსი 43'51 (4); 2:2 კოფი 47'00 (6); 2:3 უიტნი 50'19 (23); 2:4 ნიდერმაიერი 59'51 (9)

**მონრეალი — ნიუ ჯერსი 3:2**

0:0 1:1 1:1 1:0

0:1 ნემჩინოვი 24'29 (8); 1:1 რუჩინსკი 39'28 (19); 1:2 სიკორა 46'51 (18); 2:2 ჟოლტოკი 49'22 (20); 3:2 ბრიუნე 60'58 (9)

**ფილადელფია — პიტსბურგი 4:3**

0:0 2:1 1:2 1:0

1:0 დელმორი 32'08 (1); 1:1 ჰრდინა 38'08 (13); 2:1 რეკი 38'51 (24); 2:2 კოვალიოვი 50'02 (18); 3:2 ტ. უაიტი 53'11 (1); 3:3 ბარნაბი 53'42 (7); 4:3 რიჩარდსონი 64'51 (2)

**ტამპა — ოტავა 5:4**

1:2 2:1 2:1

1:0 მ. ჯონსონი 0'33 (12); 1:1 რედენი 9'34 (9); 1:2 პროსპალი 11'44 (18); 2:2 სილინჯერი 20'55 (17); 3:2 მ. ჯონსონი 29'31 (13); 3:3 ზამუნერი 29'50 (6); 4:3 ეკმანი 47'56 (2); 5:3 მარტინსი 50'18 (5); 5:4 პროსპალი 54'06 (19)

აგერ უკვე მეშვიდე წელი, პიტსბურგი ვერაფერს უხერხებს ფილადელფიას მის მოედანზე, მაშინაც კი, როცა იაგრი თამაშობს. ხუთშაბათს „პინგვინები“ ზედიზედ მეთოთხმეტედ დამარცხდნენ ფილადელფიაში და მხოლოდ იმით შეუძლიათ თავი ინუგეშონ, რომ ახალი საოვერტაიმო წესების თანახმად უქულოდ მაინც არ დარჩნენ.

აღმოსავლეთის ორი დიდი გუნდის შეხვედრამ, რომელიც წესით და რიგით დღის ცენტრალურ მოვლენად უნდა ქცეულიყო, მნიშვნელობა დაკარგა, რადგან ორივე გუნდს ლიდერი აკლდა... იაგრის შესახებ გუშინ გაუწყეთ. მართალია, თავიდან თითქოს მუხლის ტრავმა იყო მიზეზი, მაგრამ ოთხშაბათს გაირკვა, რომ სუპერფორვარდი თეძოს დაზიანების გამო საავადმყოფოში დააწვინეს. ასე რომ, იაგრი არ იყო, „მფრინავებს“ კი ერიკ ლინდროსი აკლდათ. მან წინა მატჩში ზურგის ტკივილი იგრძნო და ამჯერადაც დასვენება ამჯობინა.

მატჩი მაინც საინტერესო გამოდგა. ორივე გუნდს ჰქონდა გამარჯვების შანსი. სტუმრებმა ძალიან მოიწადინეს. გულით სურდათ, მათთვის არასასიამოვნო ტრადიცია დაერღვიათ. მათ სამჯერ გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ ფილადელფიელთა კლასი მაინც მაღალი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ წამყვანმა მოთამაშეებმა, განსაკუთრებით ჯონ ლეკლერმა (3 პასი), ასისტენტობა არჩიეს და ერთბაშად სამ ნაკლებად ცნობილ პარტნიორს ჩინებული გოლები გაატანინეს. ენდი დელმორმა პირადი ანგარიში გახსნა ლიგაში, ხოლო გადამწყვეტი შაიბის ავტორმა ლუკ რიჩარდსონმა ბოლო სამ თვეში პირველად გაიტანა.

„ვამაყობ ბიჭებით, დღეს ისინი ერთობ თავდაჯერებულნი იყვნენ და არცთუ იოლ მატჩში გარდატეხა შეიტანეს“ — შეაქო შეგირდები მონრეალის მწვრთნელმა. კანადელები ბოლო ხანებში მართლაც შეუჩერებელნი გახდნენ. მათ ვერც ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა, ნიუ ჯერსიმ აჯობა. ზედიზედ მეშვიდე მოგება გუნდს იღბლიანმა ბენუა ბრიუნემ მოუტანა (ზედიზედ მეორედ გაიტანა გადამწყვეტი გოლი), თუმცა ფორვარდმა შაიბა ერთობ საეჭვო ვითარებაში შეაგდო — ყვანჯი საკმაოდ მაღლა ჰქონდა აწეული, მაგრამ მსაჯებმა ეს წესების დარღვევად არ ჩათვალეს. ნიუ ჯერსი ზედიზედ მესამედ დამარცხდა, რაც ამ სეზონში პირველი შემთხვევაა.

აი, ტამპასთვის კი მოგება სანატრელია, ზედიზედ ორი გამარჯვება ხომ ნამდვილი ზეიმია (ეს ბოლო 5 თვეში პირველად მოხდა). როგორც ჩანს, სულ ახლახან ტორონტოსა და ტამპას შორის მომხდარი გაცვლით ორივე მხარე კმაყოფილი უნდა იყოს. ექსტამპელი დარსი ტაკერი კანადურ კლუბში გადასვლისთანავე ათამაშდა, მის ნაცვლად „ელვების“ შემადგენლობაში გადასული მაიკ ჯონსონი კი თანდათან ამართლებს იმედებს. ამჯერად 3 (2+1) ქულით ახალწვეული თავის გუნდში საუკეთესო იყო.

კაროლინამ ფლორიდასთან მატჩის ბოლო, მესამე პერიოდი ჩაატარა უფრო შინაარსიანად, მაგრამ დახეთ იღბალს, სწორედ ეს მესამედი გამოდგა საბედისწერო მათთვის. მას შემდეგ, რაც სახელიანმა პოლ კოფიმ ჩინებული გარღვევით ანგარიში გაათანაბრა, „ქარიშხლებს“ არაერთხელ შეეძლოთ წინ გასვლა, მაგრამ მაიკ ფერნონის კარი ვერაფრით დალაშქრეს. ამის გამო დაისაჯნენ — „პანტერების“ ერთ-ერთმა ოლსტარელმა, რეი უიტნიმ, 11-მატჩიანი უგოლობა შეწყვიტა.

**სამველ ლარიბიანი**

## სატურნირო ვითარება

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 61 | 36 | 7 | 5 | 18 | 192:147 | 84 |
| ფლორიდა | 61 | 34 | 4 | 4 | 23 | 187:149 | 76 |
| ტორონტო | 60 | 31 | 7 | 3 | 22 | 178:162 | 72 |
| ფილადელფია | 60 | 32 | 11 | 1 | 17 | 177:139 | 76 |
| ვაშინგტონი | 60 | 30 | 10 | 1 | 20 | 162:146 | 71 |
| ოტავა | 60 | 29 | 9 | 2 | 22 | 170:154 | 69 |
| პიტსბურგი | 61 | 26 | 6 | 6 | 29 | 184:176 | 64 |
| რეინჯერსი | 61 | 25 | 9 | 3 | 28 | 172:173 | 62 |
| ბუფალო | 61 | 25 | 9 | 2 | 27 | 150:157 | 61 |
| მონრეალი | 60 | 25 | 7 | 3 | 28 | 140:140 | 60 |
| კაროლინა | 62 | 25 | 9 | 0 | 28 | 156:171 | 59 |
| ბოსტონი | 60 | 18 | 16 | 4 | 26 | 153:176 | 56 |
| აილენდერსი | 60 | 17 | 7 | 1 | 36 | 137:193 | 42 |
| ტამპა | 59 | 14 | 7 | 6 | 38 | 153:224 | 41 |
| ატლანტა | 59 | 12 | 6 | 4 | 41 | 128:217 | 34 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 60 | 39 | 6 | 0 | 15 | 187:122 | 84 |
| დალასი | 61 | 34 | 5 | 2 | 22 | 150:133 | 75 |
| ედმონტონი | 62 | 23 | 15 | 8 | 29 | 173:162 | 69 |
| დეტროიტი | 62 | 36 | 6 | 1 | 20 | 207:165 | 79 |
| ფინიქსი | 60 | 32 | 6 | 1 | 22 | 177:159 | 71 |
| ლოს ანჯელესი | 60 | 29 | 7 | 3 | 24 | 193:175 | 68 |
| კოლორადო | 62 | 28 | 9 | 1 | 25 | 170:162 | 66 |
| სან ხოსე | 63 | 25 | 8 | 7 | 30 | 170:162 | 65 |
| კალგარი | 61 | 25 | 6 | 5 | 30 | 154:187 | 61 |
| ანაჰაიმი | 62 | 25 | 10 | 1 | 27 | 167:174 | 61 |
| ვანკუვერი | 60 | 20 | 11 | 6 | 29 | 157:177 | 57 |
| ნეშვილი | 61 | 22 | 6 | 5 | 33 | 159:184 | 55 |
| ჩიკაგო | 60 | 20 | 7 | 2 | 33 | 172:195 | 49 |



AP ფოტოქრონიკიდან

ფოტოც კარგია და ეპიზოდიც: ფილადელფიელი ტოდ უაიტი თავისას კი ეცადა, მაგრამ პიტსბურგის მეკარე ჟან სებასტიან ობენი უფრო მაგარი გამოდგა

# არა პაც ჰკლა, არა იუხშმო!



მარტი მაკსორლი

ორშაბათს ბოსტონისა და ვანკუვერის მატჩში საზარელი ამბავი მოხდა. თამაშის დამთავრებამდე 3 წამით ადრე „დათვთა“ სახელგანთქმულმა მოჩხუბარმა მარტი მაკსორლიმ ისეთი ძალით ჩაარტყა სახეში ყვანჯი ვანკუვერელ დონალდ ბრაშირს, რომ ძალ-ღონით სავსე შავკანიანი მოთამაშე, რომელიც ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო და მრისხანე პოლიციელად ითვლება, ყინულზე დაეცა და რამდენიმე წუთის განმავლობაში ვერ შეძლო ფეხზე წამოდგომა. მაკსორლიმ თვით უხეშობის დიდოსტატ დეილ ჰანტერსაც კი (მას ლიგის ანტირეკორდი, 21-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ეკუთვნის) „აჯობა“. ყველაფრის თავიდათავი კი თავად ბრაშირი იყო, რომელიც მე-7 წუთზე ბოსტონელ მეკარე ბაირონ დაფოს ისე დაეჯახა, რომ იგი საკაცით გაიყვანეს. თამაშის ბოლოს კი მასაც იგივე ბედი ეწია. ამიტომ იყო, რომ მაკსორლი ორჯერ ეჩხუბა ბრაშირს, მაგრამ ამით გული ვერ იჯერა და შური მაინც იძია.

ბრაშირი კიდევ კარგად გადარჩა, თუმც ტვინის შერყევა მიიღო და მაქსიმუმ სამ კვირას გამოტოვებს. დღეს საავადმყოფოდან გამოწერილმა ჰოკეისტმა კომენტარზე უარი განაცხადა. სამაგიეროდ, ამ ამბავს უამრავი სხვა მოთამაშე და მწვრთნელი გამოეხმაურა და უმრავლესობამ მკაცრად გააკრიტიკა მაკსორლი. ვანკუვერელი მარკუს ნესლუნდის თქმით, ასეთი უხეშობა სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის და ლიგამ მაკსორლი სანიმუშოდ უნდა დასაჯოს. ედმონტონელი ტაფგაი, ჟორჟ ლარაქი კიდევ უფრო შორს წავიდა. „მე ბრაშირთან არაერთხელ მიჩხუბია, მაგრამ ასეთ რამეს მტერსაც არ ვუსურვებ. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, საერთოდ ავუკრძალავდი თამაშს“ — თქვა მან. როგორც ოთხშაბათს გაირკვა, მაკსორლი სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს. ბოსტონს კიდევ 23 თამაში დარჩა ჩასატარებელი, ჰოკეისტი ავტომატურად ლიგის ახალი ანტირეკორდის მფლობელი გახდა.





ტონია ჰარდინგი

# მისი ცხოვრების გზა ყინულია

## ტონია ჰარდინგი ისევ დაეცა: კაციც გალახა

ერთ პატიოსან ამერიკელს, რომელიც 23 თებერვალს ვაშინგტონის შტატის ქალაქ კამასის ერთ გაუქმებულ გარაჟში თავისთვის ჩხირკედელაობდა, გარედან ხმაური შემოესმა. მან ფანჯრიდან გაიხედა და... პერი დემარკომ, როგორც შემდგომ პოლიციას განუცხადა, ერთობ უსიამოვნო სურათი იხილა — გამძვინვარებული დედაკაცი მოტოციკლთან მდგომ მამაკაცს ენერგიულად უშენდა მუშტებს. მამაკაცი თავის მხრივ წინააღმდეგობას არ უწევდა, ეგ იყო მხოლოდ, ერთი-ორჯერ ხელები დაუჭირა და დაუღრიალა: „მოდი, შე ძუკნავ, დამარტყი! ხალხი ყველაფერს ხედავს!“ მალე მდედრმა, ეტყობა, ბუნებით ნაბოძები იარაღის გამოყენება არასაკმარისად მიიჩნია და იქვე, შინიდან გამოტანილი მრგვალი, ბლაგვი საგანი მოიშველია, რომელიც ისე მარჯვედ გასტყორცნა, რომ საწყალ კაცს ლოყა გაუხეთქა და ცხვირიდანაც სისხლი აღინა. მერე დაზარალებულმა ორჯერ სცადა პოლიციაში დარეკვა, მაგრამ პირველად არ დასცალდა — დამზარალებელმა ტელეფონის ყურმილი აპარატს მოაგლიჯა. მეორედ მამაკაცის ღაღადისი, როგორც იქნა, ისმინეს წესრიგის მცველებმა. ამის შედეგი კი ის გახლავთ, რომ ამერიკის ექსჩემპიონი ფიგურულ სრიალში, ტონია ჰარდინგი დღეს ვირის აბანოში ყურყუტებს.

ბარემ ყველაფერი ბოლომდე ვთქვათ. ტონია ჰარდინგი ციგურაობიდან 1994 წელს მოკვეთეს, თითქმის მაშინვე, როგორც კი აშშ-ის ჩემპიონი გახდა. „სარბიელის“ მკითხველს იქნებ ახსოვდეს კიდეც ის გახმაურებული სკანდალი, რომელსაც ჰარდინგის სამუდამო განტევება მოჰყვა. მოციგურავის მაშინდელმა ქმარმა (ქმრებს და საყვარლებს კი იგი ხელთათმანებივით იცვლის), იქნებ სულაც ცოლის თანხმობით, ერთ თავისნაირ ნაგიჟართან ერთად ჰარდინგის მთავარ მეტოქეს, ნენსი კერიგანს მუხლი მოსტეხა, ჩემს ცოლს ხელს რატომ უშლიო. ამით ტონიასთვის სპორტის კარი მჭიდროდ დაიხურა. შარშან ჰარდინგმა ESPN-ის ტურნირში, მართალია, ისრიალა, მაგრამ რა ხეირი... ოფიციალურ შეჯიბრებაში მას არავინ დაუშვებს, მით უმეტეს, ამიერიდან, როცა ყველა სიკეთესთან ერთად ეგებ ციხის კედლებსაც გაუშინაურდეს.

დაზარალებული ჰარდინგზე ერთი წლით უმცროსი, 28 წლის დარენ სილვერია, აშკარად არაქართული მენტალიტეტის პატრონი, რომელმაც პოლიციას მომხდარი სულ მარცვალ-მარცვალ ჩაუკაკლა და შესაბამისად, ინციდენტის ის დეტალებიც დავფქვა, რომლებზეც მოწმეს არაფერი უთქვამს. წყვილი თურმე მოტოციკლით ვიდეოთამაშებიდან ბრუნდებოდა და მთელი გზა კამათობდა, როგორც საერთოდ შეყვარებულებსა და საყვარლებს სჩვევიათ. ყველაფერი მაშინ დაწყებულა, როცა ისინი ჰარდინგის სახლს მიუახლოვდნენ. ქალი უეცრად გაავთრებულა. თავიდან ერთი ათჯერ მუშტი ჩამარტყაო, უყვება პოლიციას სილვერი, მერე კი ისე ამომცხო წიხლი საზარდულში, კინაღამ გონება დამაკარგვინაო. „ტაისონივით მირტყამდა, კაცო!“ — დაუკონკრეტა პოლიციას ნაცემმა და არც ის გამორჩენია, რომ თვითონ თითიც არ გაუნძრევია.

და თავად ჰარდინგი? ჰარდინგი რა... ახლა იმას ხომ არ იტყვის, ასე იყო ყველაფერიო, ამერიკაა იქ და გინდ კაცს უცემია ქალი, გინდ პირიქით — მკაცრი სასჯელია ორივე შემთხვევაში. ამიტომ ქალს თავისი ვერსია აქვს, რომლის თანახმადაც კაცმა იგი მიწაზე წამოაქცია და რომ მოეშორებინა, მუხლიც მხოლოდ ამიტომ ამოარტყა. რაც შეეხება მრგვალ, ბლაგვ საგანს, ჰარდინგი მისი სროლის ფაქტს არ უარყოფს, ოღონდ აცხადებს, მიზანმა მიმტყუნა, თორემ სილვერის კი არა, მისი მოტოციკლის(!) დაზიანება მინდოდაო.

დაგვრჩა პოლიციის აზრი, რომელიც საბოლოო განაჩენიც იქნება. წესრიგის მცველებს ჯერჯერობით სამი უტყუარი მტკიცება გააჩნიათ — სილვერის დასახიჩრებული სახე, მრგვალი საგანი, რომლის ფორმაც დაზარალებულის ჭრილობას ზუსტად მოერგო და ალკოჰოლის მყრალი სუნი, ორივე მოჩხუბარს რომ ასდიოდა. ყველაფერიც, ალბათ, ამის საფუძველზე დადგინდება.

**დავით გულუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

XXII ტური

არმინია — ულმი

28 თებერვალს გაიმართება

ჰანზა 1:1 ფრაიბურგი

1:0 ვიბრანი (51), 1:1 ჰოლეჩეკი (54ს.კ.)

II ბუნდესლიგა

XX ტური

ოფენბახი 2:0 ქემნიცი

ბოხუმი 2:0 ზანქტ პაული

ბერლინი 1:2 ალემანია

## იტალია

სერია B. XXIV ტური

სამპდორია 2:0 კოზენცა

## პორტუგალია

XXIII ტური

ბრაგა 0:2 ლეირია

## ჰოლანდია

XXIII ტური

როდა 1:2 პსვ

0:1 ვან ნისტელროი (4), 1:1 ვალგაერენი (56), 1:2 ბრუგინკი (70)

## ჩეხეთი

XVIII ტური

დრნოვიცე 3:0 ბოჰემიანსი

## თურქეთი

XXII ტური

გალათასარაი 3:1 სამსუნი



# ვაკა, ვაკა

*კვლავ ოკლენდი, კვლავ ჰაურაკის ყურე. ახალზელანდიური და იტალიური ეკიპაჟები ამერიკის თასის მორიგი რეისისთვის ემზადებიან. მსოფლიოს უძველესი თასის მფლობელ და დამცავ ახალზელანდიელებს, იქაურ მაორთა ძველებური საბრძოლო ნავით, „ვაკათი" მოსული აბორიგენი მეომრებიც კი ამხნევებენ.*



# სერ ჯეფრი ბანგკოკში

*ინგლისელებს ძალიან უნდათ რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი მათ ქვეყანაში ჩატარდეს. მათი ფეხბურთის ორი სერი, ბობი ჩარლტონი და ჯეფრი ჰერსტი მთელს მსოფლიოში მოგ ზაურობენ და ამ იდეის პრომოუშენს, ანუ მხარდაჭერას დაეძებენ. საქმე წარმატებით მიდის. ახლა ბანგკოკში მყოფი ჰერსტი იქაურ ბიჭებს ფეხბურთს ეთამაშება და მერე ალბათ რამეებს უამბობს. მოსაყოლი კი ბევრი აქვს — ერთადერთი კაცია, ვისაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში სამი გოლი გაუტანია.*

REUTERS სურათიდან



# ტაენეუნგის ბილიკი

დღეს სეულში მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. ტაენეუნგის ყინულოვან ბილიკზე უკვე გამოფენილან სწრაფად მოციგურავენი და თავიანთ სადღეისო გზატკეცილს ეჩვევიან. ეს მოვარჯიშე კი პოლონელი პაველ აბრატკეიჩია.

# ქამრების შემგროვებელი



REUTERS ფოტოქრონიკიდან

ტომას „ჰითმენ" ჰერნსი (მარჯვნივ) ქვემძიმე წონის ლეგენდარული კაცია. ჯერჯერობით ერთადერთი ვინმეა კრივში, ექვს სხვადასხვა წონაში რომ უპყრია ქამარი. მერე რა, რომ ეს ქამრები უფრო ხშირად საეჭვო ღირსებისა იყო და ჰერნსიც არ ჩანს ქვემძიმე (კრეისერის) წონის სარეიტინგო ათეულში. ოცდასამი წელიწადია რინგზეა და ახლა ბრძოლით ეთხოვება კრივს. დეტროიტის „ჯო ლუის არენაზე" „ჰითმენს" იბო-ს ჩემპიონის ქამარი გამოუტანია და ბრიტ კრაუფორდ ეშლის (მარცხნივ) ელაბუცება, ვნახოთ, შენ დაგრჩება, თუ მეო. ეშლისაც რა ენაღვლება, ქამარი პირველი ხარისხისა არ არის, მაგრამ ყოველ ქვაბს თავისი ხუფი აქვს.

# ამასაც ცოდნია

აბა, რუსეთის ახლანდელი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სპორტსმენი კაციაო და საპრეზიდენტო არჩევნებში ჩართულმა კომუნისტთა ლიდერმა გენადი ზიუგანოვმაც ბურთი დაიჭირა ხელში. ორიოლის უნივერსიტეტში, რომელიც თავის დროზე დაუმთავრებია ზიუგანოვს, კანდიდატი თბილად მიიღეს და მის წაბურთავებასაც ტაშით შეხვდნენ.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კეღელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli.